


მ ი ჯ ნ ა

№2 (11) მაისი, 2018 წელი



ბუნების წესის ასეთი: მახინჯი ლამაზობას
ყოფნას მიეტოვოს მუდამ, მახინჯი
- უმანუბობს, რეგვენი ბრძენს აეხილება
სილამე, ყბელი - მღუმანებს, სილამე ლამაზი -
გმარს.

თუ თქვენ დაგაინტერესათ ჩვენმა ჟურნალმა,
მაშინ შეგიძლიათ მისი ელექტრონული ვერსია
მოიძიოთ:

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



ივერიელი

ციფრული ბიბლიოთეკა

dspace.nplg.gov.ge



მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 2 (11), მაისი, 2018

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:
თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა
„მიჯნა“, რეგისტრაციის
№ B12127840

რედაქტორ-
გამომცემელი
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
ჯემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X



ს ა რ ჩ ე ვ ი

კლასიკა

კონსტანტინე გამსახურდია
ილია ჭავჭავაძე 3
მაგიური შანდლები 6

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავი

მურმან ზაქარაია
დამოუკიდებლობის ორი აქტი — ორი
მიდგომა 9

პოეზია

ზაურ მოლაშხია
ლექსები 16

პროზა

ლაშა გვასალია
სინდისი (მოთხრობა) 22

პოზიცია

თენგიზ კუბლაშვილი
აზრთანყობით აზვავებულნი 24

განათლება

მურმან ზაქარაია
ფაზისის სკოლა (აკადემია) – ანტიკური
საგანმანათლებლო კულტურიდან
ქრისტიანულში გადასვლის კერა 29

კრიტიკა

ლაშა გვასალია
სულიერი კულტურის ფილოსოფიური
წიალი... (მიტროპოლიტ გრიგოლის
(ბერბიჭაშვილი) მონოგრაფიის
მიდევნებით) 56

თარგმანი

ჩარლზ ბუკოვსკი (აშშ) 60

ეთნოგრაფია

თენგიზ კუბლაშვილი
ჭიდაობა და ქართველი მორკინალნი 66

მადლიერება

ნათელა ვაჰუნაშვილი
ქართველ ერს გადაშენება არ უწერია! 75

კონსტანტინე გამსახურდია

ილია ჭავჭავაძე

ყოველი დროისთვის ღრმა სიმბოლოდ დარჩება ის მომენტი, როცა მოსემ თავისი განაწამები ერი ვულკანურ მთასთან მიიყვანა. ცეცხლშია აიის დიდი მაგია. ყოველი დრო, ყოველი რელიგია და ყოველი დროის პოეზია ამ ცეცხლს უკავშირებს თავის პირველყოფას. ჩვენ სამშობლოსთან დაკავშირებული მითიც ერთი ადამიანის ხელით მასებისადმი ცეცხლის გადაცემის შესახებ გვიამბობს.

ცეცხლი დასაბამიდანვე წმინდანობის ნაწილად არის მიჩნეული. ცეცხლი მუდამ სუბსტანციურ არსობად ჰქონდათ წარმოდგენილი, ცეცხლი – ღმერთი, ცეცხლი – ლოგოსი, ცეცხლი – იარაღი მოგვებისა და ფაკირების ხელში მასების დასაელექტრონებლად არჩეული, ცეცხლი ვითარცა ემანაცია ღვთაებრივი სულისა, ათორმეტ მოციქულის თავზე გადმოსული, ცეცხლი – კატარზის. აქედან მცნება განათებისა იდენტიურია კულტურასთან. ძველ ინდოელთა რიტუალებშიც ცეცხლია ცენტრალური პუნქტი ღმერთთაყვანისცემისა. თანამედროვე დასავლეთის კულტურაც უშველებელი ცეცხლის ბორბლიანი ეტლის სახით უნდა წარმოვიდგინოთ.

საქმე მუდამ ამ ცეცხლთან ზიარებაშია, ერისთვის სწორედ ამ ცეცხლში მონათვლაა საქმე.

არის რაღაც საშინელი მოირა იმ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი, ათასების ვარამი ერთმა უნდა იგრძნოს.

ასე იყო მოსე, ასეთი იყო ბუდდა, ასეთი იყო ქრისტე და ქრისტიანული სარწმუნოებაც. იმიტომ არ ინამა იგი მასიურმა ჰომოლოგურმა აღმოსავლეთმა, რომ აქ „ჩვენ“ ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე „მე“.

ქრისტიანობაც ინდივიდუალისტური რელიგიაა დასავლეთისა, რამდენადაც მთელი დასავლეთის კულტურა, მისი ეთოსი, მისი ფილოსოფია, მისი ხელოვნება ინდივიდუალისტურია. თეორიამ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ შეიძლება სულ მალე ბანკროტი გამოაცხადოს, რადგან ჩვენი დროის ახალი ეთოსით გაბრწყინებული

ედეალიზმი ახალ მასშტაბებს ეძებს ხელოვნებაშიაც. ამ მხრივაც სულ ადვილია ილია ჭავჭავაძესთან კონტაქტის მოძებნა.

„დიდი ღმერთის საკურთხეველის მისთვის ღვივის ცეცხლი გულში, რომ ერისა მოძმე ვიყო ჭმუნვასა და სიხარულში“.

თუ ქართულის მასშტაბით მივალთ ილიასთან, აქ ყველაზე უნინ მისი პიროვნება გეცემათ თვალში. არც ერთ ქართველ მწერალს გასულ საუკუნეში ისეთი ლოგიკურად გამიჯნული და მტკიცე მსოფლმხედველობა არ ჰქონია, როგორც ილია ჭავჭავაძეს. გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა ის, რაც მის საუკუნეში არამც თუ არც ერთ ქართველ მწერალს, არც ერთ ქართველს არა ჰქონია, ეს იყო პიროვნება.

პიროვნება უდიდესი სამკაულია ადამიანისა, პიროვნება დიდი და ძლიერი ხასიათის მატარებელი. მე მინდა ილია ჭავჭავაძე გამოვარჩიო მთელ ქართულ მწერლობაში სწორედ ამ ხასიათიანი პიროვნებით. ისეთ ქვეყანაში, სადაც ინდივიდუალისტური კულტურა სუსტია, სწორედ ამგვარ ქვეყანაში იშვიათია ხასიათიანი პიროვნება, ხასიათი პიროვნების კულტურის გრადაციამ. უკულტურო ერს სწორედ თავისი უხასიათობის მიზეზით იმორჩილებს კულტურულს.

ხასიათის უდიდეს კრისტალიზაციად მოსე ითვლება ყოველ დროში, მიქელანჯელოს მოსე გრანიტის ბლოკზე მჯდარი. ერთი მისი შემოხედვა ხორცმესხმული მრისხანებაა. თითქოს უნდა წამოდგეს და უდიდესი მუქარა მის მძლე სახის ნაკვეთებზე აბეჭდილი, ეს არის შიში მისი წარმოდგომისა და ამოძრავების მიმართ აღძრული.

ილია ჭავჭავაძეშიაც იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა. ღმერთიც დიდკაცს ირჩევს ყოველთვის თავისი ურყევი ნებისყოფის ეგზეკუტორად. როგორ სჯეროდა ამ მართლაც დიდკაცს, რომ ის დიდის ღმერთის საკურთხეველის ცეცხლის მატარებელი იყო!

ამიტომაც ილია ჭავჭავაძის პიროვნება მადლია საქართველოს გასული საუკუნის გაუხარებელ ისტორიაში. მე მგონია საქართველოს სულს

დიდხანს, კიდევ დიდხანს დასჭირდება სისტემატიური განწმენდა იმ საშინელი ბალასტისაგან, რომელიც შემოიჭრა ჩვენს სხეულში და სულში აღმოსავლეთის პასიურობისა და აზიური ინერტიულობის სახით.

ქართველობა გადაურჩა ისტორიის სასტიკ გრიგალებს იმიტომ, რომ ჩვენი ხასიათი პროტოპლაზმასავით მერყევი და მოქნილი იყო. დანგრევა, დალენვა შეიძლება მხოლოდ მკვიდრი სხეულების.

ამიტომაც გასაგებია მრისხანება ქსერქსისა, რომელმაც ზღვის წყალი ნკებლებით ვერ გასტეხა. ქსერქსის მრისხანებით ბრუნდებოდნენ საქართველოს ლაშქრობიდან თემურ ლენგები, მურვან ყრუები, აღამაჰმად ხანები, ალიხანოვები, რადგან ქართველობა დარდანის წყალივით ელასტიურობას იჩენდა მუდამ.

მე მიმაჩნია უდიდეს გამარჯვებად რომაელების გამარჯვება სიკვდილში. ისინი თავიანთ ლეგიონებთან ერთად მწყობრი მარშით ჩავიდნენ სამარეში, როცა მიწაზე მათ ენას, მათ კანონს და მათ ღმერთებს გასავალი აღარ მისცეს. ასეთი სიკვდილი უდიდესი გამარჯვებაა ყოველი ერისთვის.

ჩვენი პასიურობა, ჩვენი ელასტიურობა ჩვენი მონობის ხარკი იყო მუდამ ჟამს. განახლებულ საქართველოს ისტორიაში ილია ჭავჭავაძით იწყება ახალი აქტივი ხასიათისა. ახალი დინამიური ძალის შემოჭრას ნიშნავდა ილია ჭავჭავაძის გამოსვლა ჩვენი უახლოესი წარსულის ასპარეზზე.

მის პირველ ნაწერებში „მგზავრის წერილები“ ჩაითვლება შედეგად, მე ახლაც მიკვირს, რისი იმედით მოდიოდა ილია ჭავჭავაძე იმდროინდელ საქართველოში... „მოძრაობა“ გამოაცხადა და მან მსოფლიო განვითარების იმპულსად. ეს იყო უდიდესი პოსტულატი მის გეგმებში.

მოძრაობა ხომ თანამედროვე გაგებითაც იმპულსია კულტურისა, ცივილიზაციის და შემოქმედებისა. მოძრაობა სიტბოა, გადაუხურდავებელი ცეცხლი, ენერჯია. საქართველოს კარებთან შეხვედრილ თერგში და მყინვარში ილია თერგს ირჩევს, თერგს – ენერჯიას, მათა დაძვრვებულს. მას არ უყვარს მყინვარი – ნირვანა აღმოსავლური პასიურობის, უძრაობის სიმბოლო. მარტო ამ სიტყვებით ილია გაცილებით უფრო თანამედროვეა, ვიდრე რომელიმე მწერალი მის პლეადას ჩამორჩენილი, რომელიც

დღესაც სწერს, რადგანაც წერა ისევე ძნელად გადასაჩვევი ჩვეულებაა, როგორც ლაპარაკი. ილიას დროს ამდენი კამათიც არ ყოფილა ხელოვნების ნაირნაირი თეორიების გამო.

ილია ხელოვნებასა და რელიგიას შორის დიდ მანძილს არ ხედავდა, ასე უყურებდა ყოველი დიდი მწერალი ლიტერატურას. მართლაც ტომები შეიძლება დაინეროს ლიტერატურის ინფერნალსა და ცუდ გავლენაზე, თუ მას გამოაკლებთ იმათ ნაწერებს, რომელთაც ხელოვნება მუდამ რელიგიის მომიჯნედ ეგულებოდათ.

თუ რელიგიური პროცესი თაყვანისცემისა ისეთი ძლიერი არ არის მწერალში, როგორც სკეპტიკური ცხოვრების უარყოფისა, ამგვარ მწერალს ღირსეულნი არასოდეს თაყვანს არ სცემენ.

მე არ ვიცი, ჩვენ წინ წავედით თუ უკან ილიას შემდეგ, ამაზე სხვებმა თქვან, ის კი ვიცი, რომ მისი ერთადერთი ფიქრი და ზრახვა ჩვენს მარად სათაყვანოს დასტრიალებდა თავზე დღენიდაგ.

და მაგონდება დარიალის ხეობაში გაბურძვნილ, ტყაპუჭიან მოხვევსთან მოლაპარაკე ილია ჭავჭავაძე. მან ყველაზე უკუღმურეო ეგზემპლარს ქართველთა შორის ათქმევინა ის დიდი სიტყვა, რომელშიაც 30 წლის კამათის შემდეგ ძლივს გაერკვა ქართველი ინტელიგენცია და რამდენი მაგიაა მართლაც ამ სიტყვებში! არიან სიტყვები, რომელნიც ველის ყაყაჩოსავით სულ მალე, მეორე-მესამეჯერ ხმარებაზე ჭკნებიან და ცვდებიან, სამაგიეროდ არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძველებელი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში.

„ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო“!

აქ ვხედავ მე დიდ ანალოგოს: ილია – მოსე. აქ არის გზადაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა. აქედან უნდა გადაშლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნებოს მთისა და ახალი ცხოვრებისა. აქვე გაკვანძულია ჩვენი ახალი ისტორიისა და ახალი ყოფის ჯერაც ჰამლეტისებური მერყეობით წარმოქმული: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო.

მუდამ ახალი იქნება ის მეთოდი ბრძოლისა, რომლითაც იგი თავის წრეს ებრძოდა, ვერც ერთი დიდი პიროვნება ვერაფერს გააკეთებს,

თუ მან ჯერ თავისი წრე არ დაამარცხა, არ დაიმორჩილა.

ილიას ბიოგრაფია ჯერაც არ დაწერილა. ყველა მისი თანამედროვე ამონებებს, რომ ილია საქართველოს დიქტატორი იყო: დიქტატორი ბანკში, დიქტატორი ლიტერატურაში, დიქტატორი სტამბაში.

დღეს ქართველი მწერლები მეგობრულ კილოს ვეძებთ ასოთამწყობებთან ლაპარაკში, რადგან ვიცით, რომ თუ ასოთამწყობი გააჯავრე, გაზეთს „ჩაგდებ“. ილია ჭავჭავაძეს „კნიაზს“ ეძახდნენ სტამბაში, როცა ის შემოვიდოდა, ასოთამწყობები ჩველებრივ ოხუნჯობას შეწყვეტდნენ.

საინტერესოა ილია როგორც ფეოდალი, როგორ შეეგუენ მასში ლიბერალიზმის იდეები და ნამდვილი „გრანსენიორის“ ბუნება ერთიმეორეს. ფუნდამენტურობა იყო ძირითადი თვისება მისი ხასიათისა. ყველაფერში თავისი სიჯიუტით გაჰქონდა. ჯიუტი კარტის თამაშში, ჯიუტი წერაში, ჯიუტი საზოგადო საქმეში. ასეთ დიდ ჯიუტებს შეუქმნიათ მუდამ დიდი ღირსებულებანი. მის ნაწერებში საქართველო გროტესკული კარიკატურებით გამოიხატა. ეს იყო საქართველო აზიური პასიურობის, უფიცობის, სიბინძურისა; საქართველო თათქარიძის, დარეჯანის, დათოსი და სუტკენინებისა, ის საქართველო, რომელზედაც თვითონვე ამბობდა პოეტი: „ყველა ცრუა, ყველა ყრუა“.

ლუარსაბ თათქარიძის კარ-მიდამო ეს უმახინჯესი სურათია ქართული სინამდვილისა!

სიმბოლური სურათი თითქმის ყოველი ქართული წარმონეებისა და ქართული საქმიანობისა.

არც ლუარსაბ თათქარიძეს გასვლია ვადა, თუმცა ის წოდება მოკვდა, რომელსაც იგი წარმოადგენდა, მაგრამ ბევრ ქართველში დღესაც ცოცხალია თათქარიძისეული დაუდევრობა, უხასიათობა, პასიურობა.

მხოლოდ ოთარაანთ ქვრივში ელავს იმედის ღიმილი, ტყრუშულის ღობით შემორაგვული ეზო ოთარაანთ ქვრივისა და მისი დიდი მომჭირნეობა. აქ არის დიდი პანორამები იმ საქართველოსი, რომელიც არც გუშინ ყოფილა, არც დღეს არის, რომელიც უნდა იქნეს, თუ არსებობა გვინერია, საქართველო აქტიური, დინამიური ენერჯის, საქართველო შრომისა და შემოქმე-

დებისა. „ოთარაანთ ქვრივში“ ილიამ სწორედ ის გვიჩვენა, რაც ქართველობას აკლია არა მარტო ეგზემპლიარულად, არამედ ნაციონალურად: ენერჯიული ხასიათი, ენერჯიული პიროვნება.

50 წელი დიქტატორობდა ილია ჭავჭავაძე საქართველოს აზროვნებაში, პოეზიაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მუდამ მარტოობას გრძნობდა.

ილია ჭავჭავაძე უკანასკნელი დიდი საჩუქარია გვაროვნული არისტოკრატის წრიდან.

ილიას გაუტყეხელი ხასიათი სიბერემდის შერჩა. არც სახელმა, არც პატივმა, არც ლიტერატურულმა გამარჯვებამ მისი გაუტყეხელობა ვერ შეარბილა.

უაღრესად არისტოკრატიული შესტი იყო მისი მხრით, რომ მან თავის თანამედროვე საქართველოდან საიუბილეო გვირგვინიც იუკადრისა.

თითქმის ყოველ მწერალში ბუდობს ლუციფერი და კლოუნი. ლუციფერი ნეგატიურობის სტიქიონია, კლოუნი ქალაჩუნაა – ბრბოს ტაშისცემას დახარბებული. ლუციფერი იძლევა მუდამ იმპულსს ბრძოლისა და შემოქმედებისა.

გამარჯვებს თუ არა მწერალში კლოუნი, მწერალს იცნობს თავისი წრე და მრევლი. აქ არის სწორედ მისი სამარეც.

ილია ჭავჭავაძეში სწორედ ლუციფერი უფრო ძლიერი იყო.

„განდეგილში“ ილია თემატიკურად განსხვავებულია მთელ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ამ პატარა პოემაში ცდაა სულიერი არისტოკრატის მისი გამართლებისა.

განდეგილი ბერის მაღალ შუბლზე მაღალი დაფიქრებაა აღბეჭდილი, მის წყევლაში სააქაოზე გულგაცრუებული ილია ჭავჭავაძის მრისხანება ისმის. ყოველ ადამიანს უწერია ამქვეყნად ერთგვარ უღელტეხილთან მიღწევა, ყოველ მწერალს და მებრძოლს მოელის თავისი შავი ვატერლოო.

ილია ჭავჭავაძესაც განუმზადა ქართულმა სინამდვილემ თავისი ვატერლოო, რადგან ყოველი გმირი ბოლოს და ბოლოს უნდა დამარცხდეს. საოცარი ბედი ერგო მაინც ილიას. მას მოუხდა ისტორიულ ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში. ამ ისტორიული ტენდენციის სახელით აუტყეხა ბრძოლა ორ თაობას: უძველესსა და უახლესს. ამ ბრძოლაში დავაჟკაცდა ილია, ამ ბრძოლაში მოხუცდა იგი. პირველი შეტაკება

მაგიური შანდლები

ამ ისტორიული ტენდენციის წინააღმდეგ ილიას მოუხდა გრიგოლ ორბელიანის თაობასთან. გრიგოლ ორბელიანმა „ოქროს ჯაჭვი“ არჩია თავისუფლებას, ილიამ თავისუფლება გამოაცხადა უდიდეს პოსტულატად.

ილია რომ ჩვეულებრივი საშუალო კაცი ყოფილიყო, მას მუდამ გაუჩნდებოდა მიმდევრები და მოწაფეები, მაგრამ დიდი კაცი მუდამ უმემკვიდროდ კვდება, რადგან დიდი კაცი ყოველთვის დიდი საფრთხეა იმ სოციალური წრისთვის, რომელშიაც მას ბრძოლა და მოქმედება უხდება.

დღეს ყოველივე ბრძოლა ორგანიზაციულად სწარმოებს, როგორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურულიც. ვერც ერთი დიდი პიროვნება დღეს ორგანიზაციულ შეტევას ვერ გაუძლებს. ეს ტრადიციასა თუ გნებავთ ჩვენი ეპოქისა, რომ გმირი – ჰეროსი, რაც დრო მიდის, უფრო უმწეო ხდება. ილია ჭავჭავაძეც ნაცრისფერმა ჟურნალისტებმა დაამარცხეს. მით უფრო ტრადიციული იყო ეს დამარცხება, რომ მის წრეში ერთი კაციც არ აღმოჩნდა, რომელიც მას მიეშველებოდა.

დღეს ქართველი ერი ხელახლა იკრეფს ახალ ენერგიას. მიტომაც განსაკუთრებით გვენატრება ჩვენ ძლიერი სიტყვა და ძლიერი საქმე, მიტომაც უნებურად ვიხედებით უკან. ჩვენ ისევ გვინდა მრისხანე შემოხედვა ერის ბელადისა, ჩვენ კიდევ გვინდა ვულკანურ მთასთან მიყვანა.

დიდი სიყვარული გმირისა და წმინდანისადმი არასოდეს გაცივდება ერის გულში. ქართველ ერს იმ საწყალი გლეხის ბიჭის სახელიც არ დავინწყებია თავის სიმღერებში, რომელმაც სისხლით აგებინა პასუხი საქართველოს სისხლის მსმელს, არც იმ ჭაბუკის სახელი, რომელმაც კისრამდის ცემენტში ჩააკირვინა თავი, საქართველოს მტრების წინააღმდეგ ასაგებ ციხე-გალავნებში.

მით უმეტეს ვერ დაივინწყებს ახალგაზრდა საქართველო ილია ჭავჭავაძის სახელს, რომელიც 50 წელი ამაყი სარანგი იყო ქართული სულისა და სიცოცხლე თავისი მონამებრივი სიკვდილით დაასრულა.

მინა და ღმერთი ორივე სისხლს მოითხოვს ერის რჩეულთაგან. ამაშია ღრმა მისტერია ჩვენი აქ ყოფნისა.

ლეგენდა გვიამბობს: როცა წმ. მამა ქრისტიან როზენკროიცი გარდაიცვალა, მისმა მიმდევრებმა მისი უხრწნელი სხეული საპატიო სამოსით შეჰმოსეს და თავიანთ ორდენის სახლის ქვეშ დაასაფლავეს, ხოლო მის საფლავზე დაანთეს მაგიური შანდლები, რომელთაც მომავალ თაობათა და საუკუნეთათვის გზა უნდა გაენათებინათ სამუდამაჟამოდ.

ასე ანათებდნენ მაგიური შანდლები, ვიდრე ერთმა მისმა მიმდევართაგანმა უცაბედის ფეხის ნაკვრით არ გადააგდო ისინი საფლავის ლოდოდან.

მე მგონია ადამიანის ფანტაზიასაც ისე მოექცნენ ევროპაში ამ ორიოდე საუკუნის წინად, როგორც წმ. მამის ქრისტიან როზენკროიცის ცხედარს – მისი მონაფენი.

იგი დაასაფლავეს და მის საფლავზე აღმართეს რომანტიზმისა და კრიტიციზმის ანთებული შანდალი.

რომანტიზმის შანდალი უცაბედის ფეხის ნაკვრით გადააგდო ვილაცამ ევროპაში, დარჩა შანდალი კრიტიკული სულისა, მისმა შუქფენამ დაჰფარა ყოველივე; ერთის თვალმოკვრით ადამიანს ეგონება, რომ ჩვენს სულში აღარ დარჩენილა არცერთი ბნელი კუნჭული, რომელიც გონების რენდგენის სხივებს არ გაენათებოთ. ამ კრიტიკულმა სულმა გაკოტრებულად გამოაცხადა ყოველივე მისტიკა და ყოველივე შესაძლებელი მეტაფიზიკა. *Mister de la Philosophoe*¹ იყო ამ კრიტიკული საუკუნის პაროლი. კრიტიკულმა სულმა ააფეთქა სახელმწიფო, კრიტიკულმა სულმა დაანგრია ოჯახის ტრადიციები. ეს რევოლუცია და ამბოხი, რომელიც ფილოსოფიაში დაიწყო, ქარიან ღამეს გაჩენილი ცეცხლივით მოედო ქარხანას, ქუჩას, ოჯახსა და სახელმწიფოს. საქმე იქამდის მივიდა, რომ ადამიანის სულის სუბსტანციურ არსების ხელშეხება მოინდომეს და ის იყო რომ ექსპერიმენტალურ პსიხოლოგიის აუდიტორიებში ისეთივე ექსპერიმენტები მოუხდომეს იმ სულს, რომლის პირითაც ასე მჭევრმეტყველურად, ასე ამაყად ამბობდა ნეტარი ავგუსტინე: *cealum et terram ego impleo*², როგორსაც ახდენდა პასტერი, კურდღლის ბაჭიებზე. ფანტაზიის დედოფლობის ეპოქას

¹ ფილოსოფიის სილატაკე (ფრ.).
² ცასა და მიწას აღვავსებ მე.

ეკუთვნოდნენ უუმშვენიერესი და უძვირფასესი ფურცლები ადამიანობის ისტორიისა, გოტიკა, როკოკო, ბაროკო, რენესანსი და რომანტიზმი.

ჩვენ დღეს კრიზისს განვიცდით, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მოქალაქენი.

ჩვენი საუკუნის ახალთაობას, რაგინდ მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს იგი თავისი ინდივიდუალური სულიერი სტრუქტურით და ნაშენებით, ერთი რამ აერთებს, – ეს არის უარყოფა ჩვენი თანამედროვეობისა.

სადღაც სულით გლახაკნი თავს იყრიან, იქ არის კიბე უფლის სასუფეველისკენ აღმართული.

ის, რაც ჩვენს თაობას აერთებს, ეს არის პროტესტი გადაჭარბებული ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ მიმართული. ჩვენ თუმცა მონყვეტილნი ვიყავით უკანასკნელი წლის განმავლობაში ევროპისგან, მაგრამ იდეები ხშირად ჰაერის ტალღას მიმოჰყვებიან, ამიტომაც ჩვენი უახლესი ლიტერატურის დვრიტა დასუნთქულია ამ ზოგად ევროპიული სულიერი განწყობილებით.

ეს პროტესტი მიმართულია იმ საშინელი ამერიკანიზმის, იმ კოლოსალური მექანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც ასე გაიტაცა ჩვენი საუკუნე. პოლიტიკურად ეს ამერიკანიზაცია საგრძნობელი გახდა ევროპაში მას შემდეგ, რაც ამერიკელი იანკები თავიანთ ტანკებით მოედნენ ფლანდრიის და შამპანიის მიდამოებს. გაუგონარი ამბავი – რომ ფერადი ხალხები მოსულიყვნენ ევროპის შინაურ საქმეებში ჩასარევად.

მაშინებს იდეები დაჰყვება თან, რადგანაც მაშინა ისეთივე სვიმბოლური გამოხატულებაა სულობისა, როგორც ფრესკები, სურათები, ქანდაკებანი.

ამ ამერიკანიზმს ახასიათებს წრეგადასული ბატონობა რაციონალიზმისა და უსასოო სკეპტიციზმი, ნიშანდობლივი თვისება ყოველივე დეგენერაციისა და სულიერი დეგრადაციის. ადამიანობა მეოცე საუკუნეში ველურული პსიხოზითაა შეპყრობილი. ამ უსაშველოდ მოფუსფუსე ეპოქას ახასიათებს გადაჭარბებული მნიშვნელობის მირწყვა და მიზომვა მატერიალური ფაქტორებისადმი, თითქოს არ წერილ იყოს, რომ სიცარიელე გადანთქავს სამყაროებს და ისევე ცარიელი დარჩება ბოლოს.

ამ უსაშველო პროგრესული მექანიზაციის სული არა ერთსა და ორ სულიერ ჰეროდეს

გამოუნვევია ხმალში და მათ შორის უდიდესის, ფრიდრიჰ ნიცშეს გმირული ცხოვრება ამ ინტელექტუალური დუელის მსხვერპლი გახდა...

ჭემმარიტად იმ დღიდან უნდა ითვლიდეს ჩვენი პროტესტანტი ახალი თაობა თავის არსებობის ანალებს, რაც ნიცშემ თავის ტრადიციის წარმოშობაში ეგ ზომ გულწრფელი პათოსით წამოიძახა: „უნდა ემღერა ამ ახალ სულს, – არ კი მოეთხრო“. ეს ახალი ირაციონალიზმი ჩვენს საუკუნეში, ჩვენშიაც პარალელურად მიჰყვება ნელის ტემპოთი მომავალ – ინდუსტრიალიზაციას, როგორც ევროპიული პესიმიზმი გასული საუკუნის ორმოცდაათიან და სამოციან წლებში.

ჯერ კიდევ 1870 წ. წერდა ფრიდრიჰ ნიცშე: უახლოესი მომავლის კულტურულ მდგომარეობას მე დიდის გულისწუხილით შევჰყურებო.

ჩვენმა საუკუნემ უარჰყო ყოველივე – რელიგია, ვითარცა ფაქტორი და სათავე კულტურისა და სანაცვლოდ გაამეფა პრაქტიკული რელიგია სოციალიზმისა. ყოველ ეპოქას, ყოველ საუკუნესა და თაობას თავის მომნანიებელი ჰყავს. ჩვენც ხშირად გვესმის დღეს თანამედროვეთა საყვედური, რომ ჩვენ დროს ისეთი დიდი მუსიკოსები აღარ ჰყავს, როგორც იყვნენ რიხარდ ვაგნერი და სებასტიანე ბახი, არც დიდი სტილის ფილოსოფია, არც დიდი სტილის ხელოვნება.

რომ ამ დროის პოეტები პროტოკოლისტები არიან, მისი მემუსიკენი – მთარგმნელები, მისი მოაზროვნენი – უნაყოფო ფელეტონისტები, მისი ხელოვანნი – კაბარეს მოშაირენი და ქლეჩიანი ბოჰემელები.

ამიტომაც ეშინია ჩვენ დროს თავის სახის სარკის, შეგნება უსრულობისა უკმაყოფილების პირველი წყაროა! ახალი სული გრძნობს, რომ მატერიალური ფაქტორი წარმავლობის მტვერია მხოლოდ. აკი გვარწმუნებდა კარლაილ, რომ მთელი ლონდონსიტის სიმდიდრე ერთ საცოდავ ფეხსაცმელების მწმენდელს ვერ გაამდიდრებსო.

ადამიანს სწყურია ახალი რწმენა და ახალი ღირებულებანი.

გადაჭარბებულმა რაციონალიზმმა და ინდუსტრიამ თვით ჩვენი ცხოვრების უძლიერესი სტიქიის გამოხატულება – მუშაობა, უმიზნო იდიოტურ ხელების ქნევად აქცია, მუშაობას

დაუკარგა სიხარული და სიხალისე იმისადმი, რასაც ადამიანის ხელი ჰქმნის და აკეთებს და ის მაშინები, რომელნიც განთავისუფლებული ადამიანობის მაგივრად უნდა შეეხებოდნენ ჩვენი ცხოვრების უღელში, თვით ადამიანის ბორკილი და უღელი გახდნენ. ჩვენი საუკუნე უკვე კარგად ჰხედავს, რომ მატერიაში, არც ჩვენი დროის კოლოსალურ მანქანებში, არც თანამედროვე მსოფლიო კაპიტალიზმში და არც მისი სულის ჩამდგმელ მატერიალისტურ-პრაქტიკულ რელიგიაში ხსნა აღარ არის.

უკუვიქცეთ ღვთაებრივ გულუბრყვილობისკენ, უკუვიქცეთ იმ უცნობ ღმერთისკენ, რომელიც უჭვნეულის ღიმილით გვიცინის ჩვენ ჩვენი სულის სიღრმეში!

გაისმის ხმა, მაგრამ საკითხი ისმება – იმას, ვისაც ჩვენი საუკუნის ბოროტი გენიის – სკეპტიციზმის ბაგის შეხება ერთხელაც მოჰკარებია, სათნოება და ღვთაება თუ შეივრდომებს. საკითხია: გამოვდგებით ან ჩვენ ღვთისმოსავთა და სულით სპეტაკთა შორის რომ დავდგეთ და გავიმეოროთ: *caelum et terram ego impleo?*

არის ნიშნები, რომ ჩვენი თანამედროვეობა დაინყებს ამ სპირიტუალურ ანაბაზისს.

მეტაფიზიკური შანდალი ფანტაზიისა უნდა ავანთოთ ისევე, რომ გზა გავუნათოთ ჩვენს უკან მომავალ თაობებს, ასე მესმის მე ჩვენი თაობის ვალმოხდა და ამოცანა.



**ბიორგი მარგველაშვილი,
საქართველოს პრეზიდენტი:**

„წელს ძალიან მნიშვნელოვანი წელია ყველასთვის; წელს ქართულ რესპუბლიკას უსრულდება 100 წელი და ის გზა, რომელიც დაიწყო ჩვენმა წინაპრებმა, ჩვენს მიერ გაგრძელებულია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს მომავალშიც. ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს მაშინდელი სახელმწიფო [1918 წელს], რეალურად ერთ-ერთი ყველაზე მონინავე სახელმწიფოთაგანი, მოდელი სახელმწიფოსი, რომელიც უნდა განხორციელებულიყო, რომ არ ყოფილიყო შემდეგ საბჭოთა ოკუპაცია. ის მთავარი ღირებულებები, ის მთავარი პრინციპები, რომელზეც მაშინ ევროპაშიც კი მიმდინარეობდა მსჯელობა, განხორციელებული იყო ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტში, მაგალითად ისეთი თემა, როგორცაა ქალებისთვის საყოველთაო ხმის უფლება“.



მურმან ზაქარაია

დამოუკიდებლობის ორი აქტი – ორი მიღბომა!

2018 წლის 26 მაისის საზეიმო ღონისძიებებით, შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სოციალური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღნიშვნის „სახელმწიფო პროგრამა“ ნორმალურად აღსრულდა. საერთაშორისო თვალსაზრისით მან, ზოგადად, ასეთი დიდი ეროვნული დღესასწაულების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა შეძლო. თითქოსდა მიღწეულია მთავარი მიზანი, თანამედროვე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო წარსდგა მსოფლიოს წინაშე თავისი 100-წლიანი ბიოგრაფიით და კიდევ ერთხელ შეახსენა სამყაროს, რომ ის **რუსეთის იმპერიისგან განთავისუფლების** პირველი დღიდანვე ესწრაფვოდა დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას და ამ პრინციპზე აგებული ევროპული (დასავლური) ტიპის სახელმწიფოს აშენებას, როგორც ეს მითითებულია „დამოუკიდებლობის აქტის“ მეორე მუხლში: „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“.

ამასთან, სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით „შიდა ფრონტზე“. აქ ამ ფუნდამენტალური მნიშვნელობის მქონე აქტის გარშემო ასი წლის შემდეგაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ მის მიმართებაზე 1991 წლის 9 აპრილს მიღებული „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“-სადმი, რომელზედაც აგებულია ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობა და მისი კონსტიტუცია. მისითაა განსაზღვრული ჩვენი ქვეყნის (საზოგადოების) ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში, ურყევი რწმენა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისა გახდეს ისეთი პოლიტიკური გაერთიანებების წევრი, როგორცაა ევროკავშირი და ნატო.


ძირითადად მწვავე დავა-კამათი მიმდინარეობს იმის ირგვლივ, თუ დამოუკიდებლობის ამ ორი აქტიდან, რომელია უფრო მნიშვნელოვანი და რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და სტატუსი დამოუკიდებელი საქართველოს

მთავარი კონსტიტუციური დოკუმენტისა.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენიდან 28 წელი გავიდა, მაგრამ ამ თითქოსდა მარტივი საკითხის გადაწყვეტას საშველი ვერ დაადგა, რაც არა მარტო ირონიას იწვევს ჩვენს მტერ-მოყვარეებში, არამედ პირდაპირ წყალს ასხამს იმ ძალების წისქვილზე, ვინც მუდამ ებრძოდა და ებრძვის დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს არსებობას და ცდილობს მის შებრუნებას იმპერიულ ორბიტაში.

დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთვის მზადების პროცესში ბეჭდვით მედიაში, ტელევიზიებში თუ სოციალურ ქსელებში გამომზეურებული მასალებიდან ისე ჩანს, რომ საქმე სახუმაროდ არაა, ამ ჩვენი უგერგილობითა და უნიათობით, უაზრო ამპარტავნობითა და წამხედურობით განპირობებულმა უთანხმოებამ და დაპირისპირებამ შეიძლება ასპარეზი გაიფართოოს, საერთაშორისო არენაზე გაიჭრას და ევროსასამართლოს მიაკითხოს.

აი, რას აცხადებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი ბიმურზა დადემქელიანი – აფრასიძე საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საერთაშორისო მნიშვნელობაზე: „ეს გახლავთ დამოუკიდებლობის აქტი, რომლის საფუძველზე საქართველო განვერიანდა გაეროში ევროსაბჭოში, ეუთოში, ღმერთმა ქნას, მალე ევროკავშირშიც...“. თითქოს ასეთი წყალგაუვალი ფაქტების შეხსენება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის 28 წლის თავზე არ უნდა იყოს საჭირო, მით უმეტეს, რომ არა მარტო ეს საკითხები, არამედ ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობის არსებობა, მთელი ჩვენი ეგზისტენცია, ამ აქტზეა აგებული, როგორც ეს ავტორის მიერ იქვე მოყვანილი კონსტიტუციის პირველი მუხლიდან ჩანს: „საქართველო არის დამოუკიდებელი ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ



სატყუარა დამოუკიდებლობა

სატყუარას დამოუკიდებელი ქრება—ძრწული ჰარაბაზია, თინაშრონი, სერუკლიანი, ფარული და პროპაგანდალიანი საბრძოლო სისტემა ორივე სჯესის მიქედელთა მიერ—ათვის პირველადე სტადიაზე 1919 წ. მარტის 12-ს, ჟენევისა და ისტორიის წიხიბე აღიარებს, რომ იმ სჯესით იდეის და დამტყუარეს სატყუარას ერთეულ საშობს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშაღლეთის 5 კ და 10 წ. თხილბიბი გა-შავსავებულს სატყუარას დამოუკიდებლობის შემდეგ აქცე

სატყუარა დამოუკიდებლობის ატვი

- 1) სატყუარა დამოუკიდებელი სახე, სერუკლეთი უფლები სერუკლეთი და სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი.
- 2) დამოუკიდებელი სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი.
- 3) სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი, სერუკლეთი სერუკლეთი.
- 4) სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი.
- 5) სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი.
- 6) სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი სერუკლეთი დამოუკიდებელი სერუკლეთი.

Handwritten signatures and names in Georgian script, organized in columns. Some names are clearly legible, such as 'მ. მკვირვალაძე' and 'პ. პეტრიაშვილი'. The text is densely packed and appears to be a list of individuals associated with the document.



საქართველოს სახალხოცივობის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს ხალხოცივობის, რამდენიმე ხუცუცი სიძნულე იღეს საოცრად, ქართველებმა 19-სეკუნდის დარჯი რუსეთის იმერეთის მთავრობის მხარეში და სხვადასხვა მიზნის მიხედვით შედგა ქართველთა ხალხის ანთროპოლოგიის მუშაობის დასაწყისი. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იღეს საქართველოს ხალხოცივობის, ზეპირი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა ხალხოცივობის წინამძღვრობის რეგისტრაცია და კონტროლი.

1921 წლის თებერვალში საქართველოს ხალხის უმეტესობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

საქართველოს ხალხის უმეტესობის რეგისტრაცია დასრულდა 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

საქართველოს ხალხის უმეტესობის რეგისტრაცია დასრულდა 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

1990 წლის 28 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის უმეტესობის რეგისტრაცია დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია დასრულდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით დასრულდა საქართველოს ხალხოცივობის რეგისტრაცია და კონტროლი.

თბილისი, მაგისტრის სახლი, 1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

Handwritten signatures and names in Georgian script, including names like 'მ. თაყაიშვილი', 'მ. ჯანაშია', 'მ. კახიანი', etc.



ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით** ავტორი უთითებს: კონსტიტუციის მე-2 მუხლში წერია, რომ „საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით“. დეპუტატი იქვე აცხადებს, რომ ხელისუფლების (ხელისუფლებათა) მხრიდან ხდება და ხდებოდა რეფერენდუმის და სახელმწიფოს აღდგენის აქტის შედეგების უგულვებლყოფა. ის აფრთხილებს ხელისუფლებას, რომ, როგორც უზენაესი საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ვალდებული ვარ, „კონსტიტუციის, რეფერენდუმის შედეგების ასეთი არნახული იგნორირების, გაყალბების გაგრძელების შემთხვევაში, მივმართოთ კონსტიტუციურ სასამართლოს, **ვეროპის სასამართლოს და ა. შ.** (ხაზი – მ. ზ.). შეიძლება ითქვას, რომ ეს „პრობლემა“ – როგორ ვიდღესასწაულოთ, თაობათა მიერ უდიდესი ძალისხმევითა და სისხლდანთხევით მოპოვებული დამოუკიდებლობა, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვერ გადაგვიწყვეტია.

ამ თითქოსდა უმტივირებულად გადასაწყვეტ საკითხს პრობლემური სახე რომ მიუღია, ამას ადასტურებს უზენაესი საბჭოს კიდევ ერთი დეპუტატის, პროფესორ თამაზ ყურაშვილის წერილი, გავრცელებული იმავე სოციალური ქსელებით. მისი სწორი განმარტებით, „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საფუძველზე საქართველო გახდა მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი, აღიდგინა ისტორიული მისია მსოფლიო ცივილიზაციაში, როგორც დამოუკიდებელმა და თავისუფალმა სახელმწიფომ და დაიმკვიდრა ტერიტორიული მთლიანობის გარანტია, ამ აქტმა ჩაუყარა საფუძველი თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. საქართველო არის

ერთადერთი ქვეყანა ყოფილ რესპუბლიკებს შორის, რომელმაც ჩაატარა საყოველთაო რეფერენდუმი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

რა თქმა უნდა, ავტორის მიერ ხაზგასმა ჩვენი რეფერენდუმის ერთადერთობაზე მიმანიშნებელია **1991 წლის 9 აპრილის აქტის შეუვალ, არაუკუქცევად მნიშვნელობაზე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის**, რომელსაც ყველა საერთაშორისო ნორმით ყოველგვარი პოლიტიკური კავშირი განწყვეტილი აქვს საბჭოთა იმპერიასთან (კავშირთან) და მის მემკვიდრე რუსეთთან; მაშინ როცა ამის გარანტია, პოლიტიკურ სიტუაციათა მკვეთრი შემობრუნების შემთხვევაში, ნაკლებად შეიძლება ჰქონდეთ ბელოვეჟესკისა და ალმა-ატის, აქტებით დამოუკიდებლობამოპოვებულ რესპუბლიკებს „ესნგედან“, ამიტომ, იმავე ავტორის მიერ ამ საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარების საქმეში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას როლის შეფასება, რომ ეს იყო შორს გამიზნული პოლიტიკური ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი საზღვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად, მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ამ დოკუმენტებს ემყარება თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობა მისგან მომდინარე მიზეზ-შედეგობრიობით. ამიტომაც, 31 მარტს გამოვლენილ ხალხის ნებაზე (ამომრჩეველთა 98,9%) დამყარებული 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი წარმოადგენს იმ მთავარ დოკუმენტს, რომელზედაც აგებულია ჩვენი თანამედროვე ყოფაცხოვრება, ყოველი ადამიანის – მოქალაქის, ბედ-იღბალი, მთელი ჩვენი ეგზისტენცია.

ამდენად, სწორედ ეს დღე – 1991 წლის 9 აპრილი – საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სახელმწიფოებრიობის საზეიმოდ გამოც-

* ჩვენი აზრით ამ მუხლის ფორმირება, პოლიტიკური თვალსაზრისით, უკეთესად შეიძლებოდა, კი არა და, აუცილებელიცაა. მასში პირდაპირ გვესმის შევარდნაძისეული საბჭოურობიდან გადმოსული პოლიტიკური სუნთქვა. აქ არ იყო საჭირო აფხაზეთის ასსრ-სა და სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის რეფერენდუმში მონაწილეობის საგანგებოდ ხაზგასმა. ეს რალაცნაირად აფიქსირებს მათი სეპარატისტული მოთხოვნებისთვის საფუძვლის არსებობის ილუზიას, რაც განსაკუთრებით აბნევს დასავლურ საზოგადოებას. უნდა იყოს „... დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ავტონომიურ წარმონაქმნებში და შემდეგ ფრჩხილში (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) შემდეგ როგორც ტექსტში.

ხადება და ამ აქტზე ხელმოწერანი წარმოადგენს იმ ღირსშესანიშნავ მოვლენას, რომელიც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს უმთავრეს დღესასწაულად უნდა იქნეს დადგენილი, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ 1918 წლის 26 მაისი იქნეს ისევე იგნორირებული, როგორც ამდღევანდ ამავე აკეთებს ხელისუფლება ვაი-ექსპერტებზე დაფუძნებით 1991 წლის 9 აპრილის აქტის მიმართ.

დიდი უბედურებაა, როცა საკითხი დგება ან-ან, მაშინ ჩვეულებრივ ყველა ღონეს ხმარობენ ერთის დასაკნინებლად და მეორის უზომოდ ასამაღლებლად. ამიტომ, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოიხსნას საკითხი ან-ანი-სა, ვინაიდან მისი ასე დაყენება ეწინააღმდეგება როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს, ასევე ზნეობრივ და მორალურ პრინციპებს. არადა, სამწუხაროდ, საკითხისადმი მიდგომა სწორედ ასეთია.

რატომ ხდება ასე? რატომ ვერ ერკვევიან ხელისუფალნი ან უკვე განხორციელებული სასიცოცხლოდ აუცილებელი მოვლენების რაობაში და მათ საფუძველზე მიღებული ფუნდამენტური აქტების დანიშნულებაში, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი ქვეყნის იდენტობა, მისი ანმყო და მომავალი?!

რატომ ვერ გადაუწყვეტია ხელისუფლებას (ან თუნდაც, მეცნიერულ დონეზე მაინც) ისეთი, ერთი შეხედვით ტრივიალური საკითხი, როგორცაა უკვე განხორციელებული ზოგადეროვნული და ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენათა სტატუსი და ვერ დაუდგენია ამ ღირსშესანიშნავ მოვლენათა შესაბამისი სახალხო დღესასწაულები, რომელნიც შესაძლებელს გახდიდა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის კონსოლიდაციას ამ კონსტიტუციური დღესასწაულების ირგვლივ. ამის მიზეზები სუკუნეებს მიღმა ისტორიულ შრეებშიცაა საძებარი ჩვენი ფსიქოლოგიური განწყობის თვალსაზრისით, მაგრამ დღევანდელ სინამდვილეში უმთავრესი და დამანგრეველად მოქმედი მიზეზი არის სამხედრო-კრიმინალური გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობა და ხელისუფლებაში ანტისახელმწიფოებრივი და პროსაბჭოური ძალების მოსვლა, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ უმთავრეს

აქტზე, რომლის ძალითაც ცხადდებოდა სახელმწიფოებრიობის აღდგენა, ვერც პუტჩისტთა მემკვიდრე არაკანონიერი მმართველობა წვდებოდა გამოცხადებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და მისი უმთავრესი დოკუმენტის რეალურ საზრისს. ის კანონიერ ხელისუფლებასთან ბრძოლაში ანადგურებდა ამ სამარდჟამო მნიშვნელობის მოვლენის ყოველგვარ გამოვლენას. ეს გაბოროტებული ძალები თვითონვე იჭრიდნენ იმ ტოტს, რომელზედაც ისხდნენ (ზოგიც წინასწარგანზრავით და ზოგიც თავისი უვიცობით) და ქვეყანა მიიყვანეს კატასტროფამდე. რა თქმა უნდა, ასეთი, რეალობას მონყვეტილი ხელისუფლება, ვერ და უფრო არ ცდილობდა საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დაწესებას. ისინი 9 აპრილს გლოვის დღედ უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე დღესასწაულად, თუმცა არც ამ შემთხვევაში იყვნენ გულწრფელნი, ვინაიდან თვითონვე იყვნენ მონანილენი იმპერიის მიერ მოწყობილი ამ სასაკლავოსი. ისინი და მათი სულიერი მემკვიდრენ დღესაც სვამენ საკითხს 9 აპრილი ეროვნული კონსოლიდაციის დღეა თუ უფრო საზოგადოებრივი დაპირისპირების? ტელ. I. არხი. ირ. აბსანძის საავტორო გადაცემა) ამ საზარელ და მკრეხელურ კითხვას (ჩვენ ავტორს არ ვსდებთ ბრალს მის ასე ფორმულირებაში), რომელიც დღესაც მსოფლიო თანამეგობრობის შემადგენლობაში შესული ქვეყნის საზოგადოების ერთ ნაწილში რომ გაისმის, მართალია ამ კონკრეტულ შემთხვევაში რესპონდენტმა, შესაფერისი პასუხი გასცა, მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას. სამწუხაროდ, ეს რეაქციული ძალები მტრულადაა განწყობილი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გამოცხადებისადმი, მეორე ნაწილი კიდეც თავიანთი ძველი შეცდომების (რომელიც სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო) მიჩქმალვას და ამიტომ დღემდე ეწინააღმდეგებიან ყველა საკითხისთვის თავისი სახელის დარქმევას. არადა 1991 წლის 9 აპრილს მსოფლიო ცივილიზირებულ ერთა წინაშე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. 9 აპრილის აქტმა გააცოცხლა 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტი“ და მას, მხოლოდ ისტორიული დოკუმენტის ფუნქცი-

მქონეს, შთაბერა ახალი სული, ახალი სიცოცხლე და შესძინა ის მარადიულობა, რომელიც ქართველ ერთან, ქართულ სახელმწიფოებრიობასთან ერთად იარსებებს და მოქმედებაში იქნება.

ამიტომ, 1918 წლის 26 მაისის აქტის მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ 1991 წლის 9 აპრილის აქტით არის განსაზღვრული.

იმავე დროს პოლიტიკური სამართლიანობისა და ზნეობრივი ნორმების სრული დაცვით უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომაზე განისაზღვრა 1989 წლის 9 აპრილის მნიშვნელობა და მისი ადგილი ამ საყოველთაო-სახალხო მოვლენაში. „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი, 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ, და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა“. ამით გაცხადდა მარადიული სიხარული და ზეიმი ცასა და მიწაზეც. ამიტომ იწერებოდა იმ „ცხელ გულზე“: „უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო ეს ნანატრი, ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტი“. ის, ვინც დღეს ცდილობს, ამ ნანატრი და ჭეშმარიტი, ისტორიული დოკუმენტის, შესაბამისად მოვლენის მიჩქმალვას

და იგნორირებას, 1918 წლის 26 მაისის აქტის ზედმეტად წინ წამოწევის მზაკვრული ხერხითა და ფარისევლური მიდგომით, ისინი დანაშაულს სჩადიან, ამასთან არც ისინი არიან მართალნი, ვინც თითქოს, საპასუხოდ აკნინებს 1918 წლის 26 მაისის მოვლენებს და სოციალ-დემოკრატების ჯინაზე ცდილობენ მას „გადაუარონ“. მაგრამ, ამაზე შემდგომ წერილებში გვექნება მსჯელობა. ამ წერილს კი იმით დავამთავრებთ, რომ ჩვენი თანამედროვე სახელმწიფოებრიობა აგებულია ორ უდიდეს მოვლენაზე და მათ განმსაზღვრელ ორ უმთავრეს ფუძემდებლურ დოკუმენტზე.

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ და „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“, ამ ორი სხვადასხვა მოვლენის აღმნიშვნელი დოკუმენტია, როგორც სახელდებებიდანაც ჩანს, მიზნით – დამოუკიდებლობის მოპოვება, ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ როგორც ქრონოლოგიურად, ასევე თავიათნი სტრუქტურითა და ტაქტიკით, აღსრულებული ისტორიული ფაქტებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შესაბამისად, ეს ორი მოვლენაა, რომელიც თავიანთ ისტორიულ ადგილს ითხოვს ჩვენი სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობაში და შესაფერისი სახალხო დღესასწაულის კონსტიტუციურად დაკანონებას.



ზაურ მოლაშხია



ან რა ვიღონოთ...

„არის ევროპის ზღუდეთა თანა
ერთი მცირეზე მცირე ქვეყანა,
ქვეყანაც მცირე,
ცხოვრებაც მცირე!
დაჯექ, იტირე... იტირე, ნანა!“
გალაკტიონი

„ჩვენ რას ნავიღებთ ამ სოფლით,
სხვას არა ნაუღია რა“.
მისა ხელაშვილი

ან რა ვიღონოთ, ჩემო ძმობილო,
უჩინი უკრავს მიმწუხრის ჩელოს...
ვაი, სივრცეო – შემომცრობილო, –
შემოფლეთილო – მინაო ჩვენო!

რა ვქნათ, ასეთ დროს რალა ვიღონოთ?
დრო გვეღირება დემონურ რქებით...
ეს მცირე სივრცე შემოვიღობოთ,
გარს მოვილაგოთ დუმილის ქვები!

საჩვენოდ ახლა მოიცლის ვინლა? –
მათ არ ეკმარათ მონახვეჭარი...
თითქოს მიჰქონდეთ სანუთროს მიღმა: –
განძი... გარემო... ზვარი... ზეკარი...

სიხარბის ვნება... ნუხილი კაცთა...
უდაბნო სულის... სიბნელის ნიში...

ჯერ ყელყელობს ჯღანუანთ კასტა,
ძლივს კანტიკუნტობს სარაჯთა ჯიში!

ასეთ დროს, რა ვქნათ, ჩემო ძმობილო,
ვინ გაიტანა სიკეთით ლელო?
ვაი, სივრცეო, – შემომცრობილო, –
შემოფლეთილო – მინაო ჩვენო!

ის ვერ შეერთო მარადისობას

ინახით იჯდა, ხანდახან სვამდა,
ხან ყვინთაობდა, ვით გალეშილი...
ეზმანა ქუშად ქაოსი ჟამთა –
შეკრთა, შეძრწუნდა გილგამეშივით...

(ცეცხლის უდაბნო ალებს ისროდა,
ციურ ოაზისს ცა არწყულვდა...)
ის ვერ შეერთო მარადისობას, –
დარჩა პირისპირ ყოფის წყლულებთან!

ამ ცათა მიღმა...

ღურღუნცი ღამე... იძახის ვიღაც...
ჩვენში უხმო ხმა არ ისმინება...
სადღაც, წკვარამის იქით თუ მიღმა,
სინათლის კვანტი გაიბრწყინება...

სივრცის სივრცეში ნამყო გაიცრა,
როგორც ლანდები დინოზავრების...
ამ ცათა მიღმა სხვა მინა იძრა,
სხვა ცას აღვიძებს ვარსკვლავთ ზარები!

გამწკრივებულან
კვადრიგებად რუხი ღრუბლები,
მეეტლე ელვას
მათარახივით მიაშხუილებს...
ხეები უწყლოდ
და ლოდინით დანაღმულები –
ცისაკენ ცქერით
იოკებენ გამშრალ წყურვილებს!

კოშკი

აქ იყო სერობა... სხივთა გირლანდები...
აქ მუდამ
კამკამებს ზენური ნათელი...
შენირულ რაინდთა ფხიზლობენ ლანდებიც,
ერთგულად
დარაჯობს თასს არიმათელი!

შენ, მარტოსულო პოეტო

ედუარდ ფალიანის ხსოვნას

სივრცეს გავცქერი ნესტიანს,
დანესტიანდნენ ფიქრებიც...
წამომავონდა მესტია –
იქ ახლა სულით იქნები!
.....
უშურველო და ალალო,
ყოფნაში ეულმავალო;

გულხელგაშლილო, ერთგულო,
ერთისთვის გადაგებულო!

შენ, მარტოსულო პოეტო,
გაგთანგა სიმარტოვემო!
.....
თბილისში არის საფლავი –
სვანეთში დასადაფნავი!

ზღვა – ჭიროლი

ზღვაა ვეება ლურჯი ჭიროლი –
თითქოს სანუთროს დასარწყულებლად
დედამინის მკერდში ჩადგმული.

როგორც მდინარეს მცირე ნაფოტი, –
დროს მიაქვს ჩვენი წილი მყოფობა;
რა უარყვავით, რას ვესწრაფოდით
ან ვინ შეესწრო ვარსკვლავთ ტოფობას!

გვალიზიანებს ხორკლი სივრცეთა –
ხინვებდაყრილი უამინდობით;
იმ დროს, გული რომ ნდობით გვიცემდა –
გადაგვიძოვეს ჩქოლა მინდორი...

ძლივს აგვეხილა როცა თვალები –
მყის აგვაფარეს კრეტსაბმელები...
დღეის დღე, – ნამყოს მონაცვალები,
უცხო გზით მიდის – ტყით და ველებით!

ყველაფერს ჯერაც ვუძლებთ და ვუმზერთ,
ისეა, როგორც მავანს ენება...
და, ხელოვნური სინათლის შუქზე
სურთ, რომ ვირწმუნოთ დღის გათენება!

რადგან ცის კარის გახსნა-გაღება
ვერ იქნა...
დროს კი ჩვენი მზე მიაქვს...
აქ მევახშეთა უღვთო ლაღობა –
უნდათ, გასაღდეს ერის ზეიმად!

ძლივს აგვეხილა როცა თვალები –
მყის აგვაფარეს კრეტსაბმელები...
დღეის დღე, – ნამყოს მონაცვალები,
სხვა მხარეს მიდის – ტყით და ველებით!

ქველი სახლები

„სახლები შენდებიან და ინგრევიან...
სახლები ცოცხლობენ, სახლები კვდები-
ან“...

ტომას სტერნზ ელიოტი

ღვართქაფის შემდეგ შლამით ან ქვიშით
ივსება ქუჩა თუ შესახვევი...
იბურებიან სახლები შიშით,
უარყოფილი, ძველი სახლები –
და სტკივათ ფუძე, მხრები, სახსრები...

მოერყათ ლიბო გამობრულ კედლებს...
მათ მწარედ ახსოვთ: ტყვიები, სისხლი,
კივილი, ლანძღვა... და იმის შემდეგ
ლაქად შემორჩათ შიში და ზიზღი!

მომდგარა მათი ჟამი და რიგი –
სააღსასრულო ებურვით ნისლი;
როგორც უმწეო, უხმო ტარიგი, –
ბედს შეურიგდნენ ჩამავალ მზისთვის...

დღეს უკვე გამჭოლ ქართა სახლები!
მათი ყოველი წუთი დათვლილა...

არ ჩანს ნამცეცი გადაახლების,
ამაოების სუსხმა დათრთვილა!

ღვართქაფის შემდეგ ხრეშით თუ ქვიშით
ივსება ქუჩა თუ შესახვევი...
დაბურულია სახლები შიშით,
უარყოფილი, ძველი სახლები –
და სტკივათ ფუძე, მხრები, სახსრები!

შეგონება

იცრიცება ნისლეთი, გზად ჩრდილები დარიალობს:
– ხიდი გასდევ ისეთი, შვილთაშვილმა გადიაროს!

ხნულში ღვივის უკვე თესლი – მოდის რალაც ახალიო...
რა უნდა ქნა უკეთესი: – დარგე ნერგი სახვალის!

ხვალე, ხვალე, – იმედი! მოლოდინთა ჩანჩქერია, –
ყველანი მას მიელტვიან, გულმწყურვალედ გასცქერეან!

ხვალეს ვინლა დაენევა, მიჰქრის მარადიული:
უნყვეტ დროს ვინ გაეცევა, – როს ქროლვაა წრიული!

წუთისოფლის მისტერია! მზერა – ცისკენ მიმართული...
ხვალე – ფიქრში მზისფერია, ოცნებისთვის – პრიმატული!

.....
მზემ დაშუბა ნისლეთი, ცად სხივები დარიალობს...
– ხიდი გასდევ ისეთი, შვილთაშვილმა გადიაროს!

პატარა მათეს – ჩემს შვილიშვილს

ერთად გამოვვლეთ ცეცხლი... სეტყვები...
სევდა მდგმურობის... განცდა კირთების...
ჯერაც ყველაფერს, რა ვქნა, ვერ გეტყვი,
დრო მოვა,
თვითონ ჩაუკვირდები...

რეკავს დრო-ჟამი – მალლით რხეული,
მზე შუქით წურავს სივრცეს ნისლიანს...

მგონია: შენ ხარ ცით კურთხეული,
გიხმობს მყოფადში შენი მისია!

მათე, გვერდით გყავს ერთგული ცოტნე,
და მოდის თქვენთან ერთად ნინოცა...
შვილიშვილებო, იმედი გქონდეთ,
ყოვლის შემქმნელი გზებს დაგილოცავთ!

დაჯუჯებულან ბლენძი კაცები

დაჯუჯებულან ბლენძი კაცები,
სკამით ამაყნი – ჯუჯა კაცები!
ტანახოვნები – სულით ჯუჯები,
უცხო ორანით განაყურები,
ნაანკესარი აქვთ ლაყურები!

.....

ერთ დროს წინაპრით მხნენი, ურჩები, –
მზის შვილნი და მზით განარუჯები...
ნაქნარ-ნაქებნი სიგელ-გუჯრებით,
გულს უმხნევებდათ ცანი ლურჯები!

.....

დღეს არ ანუხებთ გრძნობის ნამცეცი –
არც უარყოფის, არც აღტაცების,
არც თანაგრძნობის, არც ერთგულების...
მხოლოდ ფულები!
მხოლოდ ფულები!

.....

დაჯუჯებულან ბლენძი კაცები!

ცეცხლის წვერზე ვარ!

ცეცხლის წვერზე ვარ! –
აქეთ არვინ არ იყურება
თანამგრძნობელის დამდობი მზერით;
ხანდახან სივრცე წაიბურება,
დუნდება სხივთა ჩქერი!

მგზავრნი კვლავ ვლიან, –
წალიკ-წალიკ გაბმულნი გზაზე,
ცეცხლის წვერიდან
ვეცინები გამვლელ-გამომვლელს...
არავის უკვირს! –
შერეკილებს რალა გამოლევს
ამ დუნიაზე!

ყველას ჩვენ ჩვენი გვაქვს კამელოტი,
თუ არ გვაქვს – უნდა გვექონდეს!
ოხრავს უდაბნო – მინა მელოტი –
შორს მდელი ფრთონავს ოდეს...
ყველას ჩვენს გულში გვაქვს კამელოტი –
თუ არ გვაქვს – უნდა გვექონდეს!

ელვის ბეჭედი

ელვის ბეჭედი ზეცამ წაიძრო,
მიჰყვა ქაოსით ელვას ელვები...
მერე...
წამისად აქ მინა იძრა, –
სივრცეს შეასკდა ცხელშადრევენები!

ღლეული*

რამდენი ილანძლა,
იბლავლა.
იგინა...
ბილწსიტყვაობით
მის კეთილში გაიშლიგინა!
არ დაუტოვა მისხის მისხი გაულანძლავი;
გადაიბრიქა,
გადმოიბრიქა,
მიმოიბღვირა... გაუპარსავი
წვერი იწინკნა,
ბოლმით იწინკნა წვერი ზღარბული...
.....
ველზე კი შლეგად
ჭიხვინებდა ცეცხლის ზაფხული!

* ღლეული – ძვ. ნასვამი, მთვრალი (ქეგლ).

ბაიძვერა

„იყავი კარგი, ხარ გაიძვერა
და შენში მოკვდა ადამიანი“.
ტერენტი გრანელი

ლაღად და სუფთად დიან ჩქერები,
სადღაც ქაოსით იშვის მნათობი...
ადრე არაფრით დავიჯერებდი –
თუ შენც სუნთქავდი მუხანათობით!
იცვლება დრო და დროის ფერებიც..
ვის ეზმანება მნათის ჩაქრობა?
სხვა დროს – არასდროს დავიჯერებდი
შენს თვალთმაქცობას თუ ჩემ მზაკვრობას!
როგორ მჯეროდა! შენი მჯეროდა!
გული ელოდა ქცევას თანაბარს...
ნუთუ დაგჩემდა ყრუანჩელობა,
შენში სიკეთემ სული განაბა!
გიბჟუის ყური მოყრუებული...
(რით ენამლება სულით სნებიანს?)
შენგან უწყალოდ მოტყუებული
თავად ვიხილე, – კი არ მსმენია!
მიგრძნია ყალბი სიტყვის ჯერებიც,
მწარედ რომ სწენდა სულს, უცილობლად...
მანც ვერაფრით დავიჯერებდი –
ამგვარ ფლიდობას თუ გულცივობას!
ვიცი, არიან მთმენიც, ურჩებიც...
მუდმივობს მიწის და ცის სხვაობა!
სადაც ნაქცეულს ზურგს უჩვენებენ –
იქვე მთავრდება კაცის რაობაც!
კვლავ სიანკარით დიან ჩქერები,
ჩქერალს აჩქროლებს ჩქერთა ჩქერობა...
ადრე არაფრით დავიჯერებდი
შენგან ამნაირ გაიძვერობას!

უპოვრისადმი

სადმე რომ თავი მიიდრიკო, არა გაქვს ჭერი!
ზედაც არავინ შემოგხედავს მორჩილად დახრილს...
არვინ იკითხავს:
– რა გორის ხარ, მოძმე თუ მტერი,
გადგას ზეგარდმო ეს სამყარო – უჭერო სახლი!

ხარ მდუმარე თუ შველას ითხოვ, მავედრებელი,
დახვალ ძლეული, უნუგეშოდ გულდასერილი...
ხარ ახალგაზრდა,
დროული თუ ხვედრით ბებერი, –
მანც ეს ყოფნა გაიტანო უნდა სვრელივით!

კატაბენვა*

ჩასჭიდებია კლდეს კატაბენვა,
 არ ეპუება ელჭექს თუ მერეხს...
 ქარბუქმა ბევრი ხე გადალენა,
 რისხვად დაატყდა ტყესა თუ სერებს, –
 ველარ მოსწყვიტა კლდეს კატაბენვა,
 მშობლიურ კლდიდან ის აღარ იძვრის, –
 აქ ხვდება მოყვასს, მტერს თუ გარენარს
 და სიცოცხლისთვის ფესვებით იბრძვის!

*კატაბენვა – (კუთხ. მთიულ.) მაგარი, ნაცრისფერი ბალახი, კლდეზე იზრდება (ქეგლ).

ლოდინის მოლოდინი

მე მელოდება შენი ლოდინი,
 ჩემთვის განკუთვნილი ლოდინი,
 სადღაც,
 ბალის კუთხეში,
 ერთ ადგილზე მოწრიალე...
 და ნიავევით მელამუნება
 შენი ლოდინის მოლოდინი –
 მთელი ცხოვრება
 მოთმინებით ნაერთგულევი...

სადღაც ვიყავი...

სადღაც ვიყავი, ვწუხდი, გეძახდი, –
 მარტოეული ცა-მყარის შუა...
 ვგრძნობდი: –
 ჰყვოდა ახლოს ვენახი,
 დრო ქსელს აბამდა, ვით ბაბაჭუა.
 ჭაბუკ ვარსკვლავთა თრთოდნენ კვირტები,
 სამყარო ახალს ისხამდა ნაყოფს...
 ვგრძნობდი: –
 ცის თვალი მაკვირდებოდა, –
 რომ სეტყვამ სადმე არ მიმანაყოს,
 არ გავეგუდე ქაოსის ქარბუქს,
 რომ ბულრაობდა, როგორც დემონი...
 მერე...
 ვისმენდი ციერთა ქართულს, –
 მემშობლიურა გარეშემონი!
 მიმოვცურავდი ლაჟვარდის ზღვაში,
 ცის შუაგულში ბრწყინავდა თასი;
 სამყაროული უკრავდა ვალსი,
 ცეკვავდა ციურ სხეულთა დასი!

ასტეროიდთა იყო ხმაური,
 კომეტებს ჰქონდათ ცაში მარულა...
 დრო კი ბრუნავდა,
 დრო – უცნაური,
 ხან – გამწირველად, ხან – მხიარულად!
 მე კვლავ გიხმობდი, ყველგან გეძებდი...
 ბინდს იშორებდა ცა – საანკარო...
 შორს,
 სანთერზე ჩანდნენ ვერძები...
 მზე გაჰყურებდა ახალ სამყაროს!

იგი – წმინდანი

თანდათან ფერი იცვალა ზეცამ,
 აღჩნდა ნათელი ჯერ უხილველი;
 თითქოს ბნელშავი გადაიხვეწა, –
 სხვა აღმაფრენით ფრინავს ფრინველიც!

გადასხვაფერდა ველიც და მთებიც,
 დაცხრა ქარბუქიც ავად ამტყდარი...
 იგი – წმინდანი, – მეუფის ნებით, –
 ხორცშემოსილის გახდა საყდარი.

სად არის იგი...

(სტანსები)

სად არის იგი, – სიზმრად ნანახი, –
 რომელი სიზმრის მწვერვალზე დარჩა?
 ის, ჯადოსნური „ოქროს ბალახი“, –
 ლამით რომ ბრწყინავს და დღისით არ ჩანს!
 სად არის იგი, რასაც ველტვოდი,
 მენახა მაინც, ცხადად მენახა;
 ის რას მეტყოდა, მე რას ვეტყოდი,
 იქნებ ყოველი მეგრძნო ხელახლა!
 სად არის იგი, რაიც დღეს არ ჩანს
 ან ის, რაც დღემდე აქ არ ყოფილა...
 სანამ ვუსმინო ცრუსა და არჯალს,
 სანამდის ვიყო გულგაყოფილად!
 ვით მოვიხელთო ის წუთი, წამი, –
 რომ უხილველის გაგხდე მხილველი...
 ხვალ რას მაუწყებს მინა ან წყალი,
 ან ჰაერს შიგან ცეცხლის ფრინველი?
 კვლავ მას მიველტვი, რასაც ველტვოდი, –
 მენახა მაინც, ერთხელ მენახა...
 ის რას მეტყოდა, მე რას ვეტყოდი,
 იქნებ ყოველი მეგრძნო ხელახლა!

სინდისი

(მოთხრობა)

– არა და მორჩა, რო მომკლათ, მაგას არ ვიტყვი!

– ძაან კარგადაც იტყვი!

– თქვენ მე ვინა გგონივართ, არა და ვერა-მეთქი, კაცო, მორჩა და გათავდა.

– არაფერი მორჩენილა, იზამ და იტყვი.

– ვახ, ეგ ვინ არის, კაცო, რა კიბოსავით შემომიჩნდი, თავი გამანებე, ადამიანი არა ხარ?!

– არ დაგანებებ, კარგი მინდა შენთვის, კარგი და მიტომ.

– რა კარგი, დალოცვილო, ცილი დასწამე კაცსო, მეუბნები და ეგაა კარგი?.. ნუ გამაგიჟეთ, ვახ, ეს ვისთან მაქვს საქმე, ღმერთო, არ გებრალეები, დამიხსენ ამ ვაებთან და მომაშორე ეს ჯოჯო!

– რა გაყვირებს, ვისაა რო უყვირი, ვინმეში ხო არ გეშლები?!.. დაფიქრდი და ისე ისაუბრე, არ გაქვს ასე თამამად ენის ტრიალის არც უფლება და არც ზურგი შენი!..

– კიდე მე მეუბნები, რა გაყვირებსო?.. ეს ვინ ყოფილა, ღმერთო, მეუბნები: უდანაშაულო კაცს ცილი, ტყუილი დასწამეო და ხმამალალი საუბარი გიკვირს ჩემი, შე არამზადავ შენა, მოდი აქ, შენი!..

– ჰა, ჰაა, ხელი არ გაგექცეს, თორემ ხო იცი, ივანიჩი რასაც გიზამს?

– ერთი შენი ივანიჩის და შენიც მერე, თქვე არაკაცებო, თქვენა...

– გივარგ, ნუ დაიღუპავ თავს, ნუ აიძულე იმ კაცს, მსვლელობა მისცეს შენს საქმეს და გაგიშვას ციხეში.

– გამიშვას მერე, გამიშვას და მორჩეს ამ წამებას... არ შემიძლია ამის გაკეთება, ვერ ვიზამ, ვახ, ვინ არიან ესენი, კაცო. ხალხი არა ხართ, საიდან მოხვედით?!..

– შე, კაი კაცო, მომაკვდავია ის მაინც, ცეროზი დაუდგინდა, ხო იცი ცეროზი რასაც ნიშნავს, ღვიძლის კიბოს, მამაზეციერიც ვერ უშველის, მოკვდეს უნდა, გარდაუვალია, შვილი იმას არა ჰყავს და ცოლი, მარტოკანა გდია

იმ თავის გამოყრუებულ ქოხში, პატრონი და მომკითხავი არავინ გააჩნია და...

– ჰოდა, ამის გამო ციხეში უნდა ამოხდეს სული?!

– ივანიჩმა, კარგ ზონაში მოვახვედრებ, მერე „რეზბალნიცაზე“ გადავიყვან და ვუპატრონებო...

– აქ უპატრონოს, კაცო, თუ ასეა...

– გივარგ, რა ბავშვივით იქცევი შენც, მორჩი იმ პაპიროსის ქაჩვას, მოგკლავს ამდენი კვამლი, გაგვუდავს, მომისმინე კარგად, ივანიჩს დიდ თანამდებობას ჰპირდებიან, ოღონდ ის დედააფეთქებული საქმე უნდა გაიხსნას, ვილაც დიდი კაცი გამოუჩნდათ თოფურიებს და არ ჩერდება ის ვილაც ნახიშტარი, რა დანი-ნაურება, ის საქმე არ გაუხსნია და ვერაფერს ეღირსებაო,- ეგრე დაუქადნია!

– და მერე ის სანყალი უნდა გავწიროთ ამისთვის?

– ვახ, ეს ვინ არის, კაცო, ის განწირულიცაა და დასრულებულიც, მომაკვდავია, თანაც უმკურნალებენ ციხის საავადმყოფოში, რეზბალნიცაზე, რა...

– კარგით რა, კარგით, მე თავი გამანებეთ და რაც გინდათ ის გიქნიათ!..

– დაიცა, დაიცა, ეგრე არ არის, ძმაო ალი-მაო, შენი საქმე თაროზე უდევს ივანიჩს, ერთი გაგულისება უნდა და გააცოცხლებს ეგრევე და ჰაიდა...

– ჰოდა, დამიჭიროს და გაათავოს.

– დაგიჭერს და დაგასრულებს, უპატრონოდ დაგრჩება ცოლ-შვილი, მოხუცი დედა და სახლ-კარი. უცხოელების ტრაქტორს ნაწილს რომ ხსნიდი და იპარავდი, რა გეგონა, შეგარჩენდნენ? ივანიჩის დამსახურებაა – გარეთ რომ ხარ და არა ვირის აბანოში.

– არ შემარჩინონ, დამიჭირონ და დამასვენონ...

– კი, მაგრამ რატომ, დალოცვილო, რატომ? ეს საქმეც მოგვარდება, ფულს იმდენს

მოგცემენ, ახალ ტრაქტორ- „ბელორუსს“ იყიდი და იცხოვრებ ბედნიერად. ის უპატრონო ლოთი და პიანიცა მომაკვდავია მაინც.

- ეგეთი ბედნიერების დედაც...
- გივარგ, დაფიქრდი, ყოველთვის არ გექნება ასეთი შანსი.
- არ მექნება და ნუ მექნება, ასეთ რამეს სიკვდილი მიჩვენებია.
- სულელი ყოფილხარ...
- ვიყო...
- დაგიჭერენ, ხვალვე გაგიშვებენ ვირის აბანოში.
- მაგის დედაც, თუ გამიშვებენ.
- კარგად დაფიქრდი, ვერ გაიგებს ის უპატრონო, შენ რომ ჩაუშვი, ივანიჩი გაძლევს პირობას, დახურულად, საიდუმლოდ გააკეთებენ ყველაფერს.
- ეჰ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, რომ ვერ გაიგებენ, მე ხომ მეცოდინება, ასეთი სისაძაგლე რომ გავაკეთე. სინდისი არ მომცემს ამის საშუალებას, სინდისი.
- კარგი რა, კარგი, რა სინდისი, სისულელეა რალაც გამოგონილი სინდისით ცხოვრება და ამაზე ფიქრი.
- როგორ კაცო, სინდისია სისულელე?
- არც არსებობს სინდისი, გამოგონილია, არარსებული...
- არ მინდა გითხრა და დამანებე თავი.
- რა არ უნდა მითხრა?
- რავი, ჰო, ისა, მოკლედ, არ მინდა, არა...
- მითხარი, კაცო, მითხარი...
- გული რომ დაგწყდეს?
- არ დამწყდება, მიდი...
- ჰოდა, თუ არ დაგწყდება, გეტყვი. ბაბუაშენი დოროთე ომიდან რომ ვერ დაბრუნდა, გეცოდინება შენ?
- კი, ვიცი, როგორ არა.
- ბაბუაჩემი კალი ბრიგადირად მუშაობდა თურმე მაშინ კოლექტივში.

- და რა შუაშია ეს?
- რა შუაშია და ბებიაშენი ვარო მისულა ბაბუაჩემთან და უთქვამს, მიჭირს სამი ობლის გაზრდა, კაცი დამხმარე არავინ მყავს, შეძლებული კაცი ხარ, დამეხმარე ბავშვების გაზრდაში და აგერ შენი ვარ და რამეო...
- რასაა რო ამბობ?
- კი, ასე ყოფილა, ჩემო კიუტი, და იცი, რა უთქვამს ბაბუაჩემს, იმის სულს ვენაცვალე, - წადი ახლა შენ სახლში, ვარიჩკა, დაივიწყე რაც მითხარი, ამოიგდე მსგავსი რამეები თავიდან და ყოველდღე მოგიტან სახლში ბავშვებისთვის საჭმელსაც და რაც შემეძლება ყველაფერსო, არაფერზე იდარდო, შენ და და მე ძმაო! პირობა და მიცემული სიტყვა პირნათლად შეუსრულებია ბაბუაჩემს, მამაშენი, ბიძაშენი და მამიდაშენი ბაბუაჩემის გაზრდილები ყოფილან, საკუთარი შვილების ლუკმას ალაღად უყოფდა ობლებსო და ეს ყველამ იცის მთელ სოფელში, თუ რამე და დაადასტურებენ კიდეც. და იცი, რატომ მოიქცა ბაბუაჩემი ასე?
- რატომ?
- სინდისს ვერ გადააბიჯა. უთქვამს სულმნათს, ჯერ ეს ერთი, მეზობელი იყო, მეორეც, ომში დაკარგულის ცოლი და როგორ მეკადრებინა ასეთი რამეო. სინდისის ქენჯნამ არ მისცა საშუალება უზნეო ნაბიჯის გადადგმისა. სინდისი სულია ადამიანის და ის უნდა მართავდეს ხორცს, თორემ ხორცის ჭკუაზე მცხოვრები კაცების ამბავი კარგად ვიცი, როგორც წარმართულა და დასრულებულა!..
- გივარგი დაიჭირეს, ამ უკანასკნელს კი ის უხაროდა, რომ კიუტიმ საუბრის დასასრულს ასეთი რამე უთხრა: ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმაო, შენს სინდისს გაუმარჯოს და იცხოვრე ისე, როგორც ჩათვლი საჭიროდო!..
- სინდისიერად უფლისმიერნი ცხოვრობენ მხოლოდ!..



აზრთაწყობით აზვავეხულნი

ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი.
ვაჟა-ფშაველა

დღეს ძალიან ადვილია თავი წარმოაჩინო ყველაზე ჭკვიან, ყოვლისმცოდნე პოლიტიკოსად, ფილოსოფოსად, მწერლად, მსახიობად, ჟურნალისტად... და ამავე დროს დიდ ეროვნულ მოღვაწედ. საკმარისია ცილი სწამო და ლანძლო ზვიად გამსახურდია, კანონიერი ხელისუფლება, ეროვნული მოძრაობა, თვით ქართველი ერი...

მაგალითები? რამდენიც გნებავთ!

მ. მამარდაშვილი: „ქართული ხასიათი ეფუძნება კერპთაყვანისმცემლობის მოთხოვნილებას, ყალბად გაგებულ პატრიოტიზმს, ჩამორჩენილობას“... კოსმოპოლიტმა და მარქსიზმის ქადაგებით პურისმჭამელმა ფილოსოფოსმა ეროვნული მოძრაობის გამარჯვება 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ასე შეაფასა: „საქართველოში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა სუფთა სახით“.

გ. ნოდია: ქართველი ერი დაუნდობელია, ფაშისტია, სასტიკია. საქართველოში ფაშისტური მეთოდებით უსწორდებიან მცირე ეთნოსებს, ხდება მათი კონცლაგერებში გამომწყვდევა.

დ. ზურაბიშვილი: თანამედროვე ქართველი კვლავ ფეოდალისტური ფსიქიკის ტყვეობაში რჩება. ფეოდალისტურმა ფსიქიკამ დაბადა ისეთი უბედურება, როგორიც არის „ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა“. „სანამ ჩვენ, ქართველები არ დავამსხვრევთ დრომოჭმული ფსიქიკის ბორკილებს, თვითეული ჩვენთაგანის გულში იცოცხლებს ჩვენი მონური სულისკვეთების ჯოჯოხეთური ხატი“.

ნ. სარჯველაძე: ეროვნული მოძრაობა გამსჭვალულია ნეკროფილური ხასიათით, რადგან იგი ეფუძნება ნეგატიური თავისუფლების პრინციპს. ეროვნული მოძრაობა ანტიინტელექტუალური მოძრაობაა... ეროვნული მოძრაობა აღვიძებს აგრესიულ ინსტინქტებს, ხალხს ეგზალტირებულ ბრბოდ აქცევს.

გ. ნიჟარაძე: ქართველებს ინფანტილიზმი გვჭირს, რაც ცუდი აღზრდის შედეგია. ინფანტილიზმმა წარმოშვა ფანატიზმი, რამაც განაპირობა ბრბოს ხელისუფლება ქარიზმატული ლიდერით. ქართველი ქალის სექსუალური თავდაჭერილობა და წესიერება მისი ტრაგედიის მთავარი მიზეზია. დაუკმაყოფილებელმა სექსუალურმა ლტოლვამ განაპირობა ქართველი ქალების აქტიურობა ეროვნულ მოძრაობაში.

ქართველო მამაკაცებო! ჩვენ უფრო მძიმე, ბევრად მძიმე დიაგნოზი დაგვისვეს!

ე. ჯგერენაია: ქართულ სუფრაზე ვლინდება ქართველი მამაკაცების სექსუალური ლტოლვა ერთმანეთის მიმართ. ქეიფის დროს ერთმანეთს რომ მიმართავენ „მომენატრე“, „მიყვარხარ“, „ჩავეხუტოთ ერთმანეთს“, „რავა ხარ ბიჭო“ ღრმა ეროტიზმის და ურთიერთნდომის გამომხატველი სიტყვებია. ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტური და შინაარსით ტრაგიკეტეროსექსუალურია, ხოლო ქართველი მამაკაცი — არ შემდგარი ქალი ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა.

ასეთია ე. ჯგერენაიას დიაგნოზი.

ძალზე საინტერესოა **გ. მარგველაშვილის** დიაგნოზი: ქართველი ერის დღევანდელ მდგომარეობას ახასიათებს გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმა, შეუსაბამო თავითმეფასებასა და ნებელობასთან მიმართებაში: ის მოკლებულია სოციალურ აზროვნებას და პასუხისმგებლობის გრძობას!

ამ დიაგნოზის წამკითხავს მაგონდება ბატონი ელიზბარ ჯაველიძის გულიდან ამოსული სიტყვები:

„ავაჰმე, ჩემო მამულო, ვის ხელთაა ბედი შენი!“

ზოგიერთი ფიქრობს, რომ „მრგვალებმა“ ერს მუქთა სმა-ჭამის პერსპექტივა დაანახეს და ამით გონება გადაუკეტეს... ქართველმა ერ-

მა მიტინგზე „გაუს“ ყვირილის მეტი არაფერი იცის... და ა.შ. და ა.შ.

ერთი სიტყვით, სიმართლის მაძიებელი კი არა, ქონების მაძიებელი ინტელიგენცია ერთმანეთს დიაგნოზის დასმაში ეჯიბრება. მთავარია დიაგნოზი, ქართველი ერის ავადმყოფ ერად გამოცხადება და დიდი პოლიტიკოსი შევარდნაძე აუცილებლად განკურნავს.

ფილოსოფოსების გ. ბარამიძის, ი. ბრაჭულის, თ. ფიფიას ავტორობით 1995 წელს თბილისში გამოიცა წიგნი ინგლისური სათაურით, რომელიც ასე ითარგმნება: „ედუარდ შევარდნაძე — შეგნების გარდაქმნა საქართველოში“.

ავტორთა მიზანია შევარდნაძის დამსახურების წარმოჩენა ქართველი ერის გადარჩენისთვის ბრძოლის გზაზე: „ედუარდ შევარდნაძის უპირველესი ამოცანა, მისი ქანცგამცლელი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო მითოსური შოკით განამებული ქართველის ცნობიერების დემითიზირება და განმეინდა, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დეოკუპაციის იდეალის განხორციელება მის ყველაზე უღრმეს ფენაში - აზრთანყოფაში“.

ზვიად გამსახურდია კი... ოჰ. ღმერთო, რას არ გაიგონებ! **„ეროვნული მოძრაობის პატრიარქის პიროვნებაში შეთავსებულია უამრავი შრე, ფენა, პლასტი, დანალექი... ის ხომ შემზარავი კაცთმოძულეცაა და გულჩვილი ფილანტროპიც, რელიგიური ფანატიკოსი და მკრეხელი ათეისტი, საღისტიცაა და მაზოხისტიც“**.

ამ ფილოსოფოსთა აზრთანყოფა ძალიან ჰგავს მათსას, ილია ჭავჭავაძეს მოკვლის წინ სახელს რომ უტეხდნენ და ათას სიავეკაცეს აბრალებდნენ!

1992 წელია. ხარობენ და ზეიმობენ პუტჩისტები. შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ინტელიგენციას იარაღის ხელში აღებისთვის.

ყოველკვირეული გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობილი მწერლის რ. მიშველაძის ინტერვიუ. მისი მწერლური აზრით, ე.წ. ეროვნულმა ხელისუფლებამ ერს ეროვნული ფსიქოზის საშიში სენი შეჰყარა. ახლა, ბრძანებს მწერალი, მადლობა ღმერთს, ამ სენისგან განკურნების პროცესი დაიწყო და მთავარი მკურნალი დიდი პოლიტიკოსი ედუარდ შევარდნაძეაო.

ასეთია მწერლის მრწამსი და შევარდნაძე-

სადმი უდიდესი მადლიერების გრძნობა.

ტერიტორიებდაკარგულ საქართველოს ასიათასობით თურქი, არაბი, ჩინელი თუ ხატაელი შემოესია. მილიონი ქართველი უცხოეთში გადაიხვეწა ლუკმაპურის საშოვრად... სკოლებში ჩვენს შვილებს უცხოეთიდან მოწვეული ფალოსის მწუნწავი ფლექტერა მასწავლებლები მოძღვრავენ... ფულის გადაუხდელობის გამო ქართველ სტუდენტებს სასწავლებლიდან რიცხავენ, ნიგერიიდან და მოზამბიკიდან ჩამოსულ შავტუხა ახალგაზრდებს კი უფასოდ ასწავლიან... ეროვნულ ბოზებს დიდ ფულს სჩუქნიან და ამერიკაში აგზავნიან, მაშინ როცა ბევრ ქართულ ოჯახში ჩვილები შიმშილობენ...

პატივცემულო მწერალო! პრეზიდენტი გამსახურდია ახალი პიჯაკის ჩაცმისთვის და საქართველოსთვის ნაჩუქარი „მერსედესით“ მგზავრობისთვის ჯვარს აცვით! დღეს, ერის გენოციდის შემყურენი ხმას არ იღებთ! რატომ? სამაგიეროდ, ასეულობით არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების ხელმძღვანელობით ქუჩებში ხმაურიანი მიტინგები იმართება ნარკომანების, მამათმავლების, ლესბოსელების დასაცავად, ერთსქესიანთა ქორწინების კანონის მისაღებად!

განა ეს არის განკურნების პროცესის დაწყება, ბატონო მწერალო?

საქართველო გადაიქცა საროსკიპოების, კაზინოების, ლომბარდების ყველაზე დაცულ არენად, სადაც ყვაჯების ქექვით სერენადებს მღერიან! ახალი ჯიშის კონჩიტები კი მომხიბვლელად კეკლუცობენ!

მწერალი ზვიად გამსახურდიას ახასიათებს, როგორც „ნერვებსუსტს“ (ნერვებსუსტი და დიქტატორი გაგიგონიათ?), მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და აღნიშნავს მის კიდევ ერთ მიუტყვებელ ნაკლს: იგი უსაშველოდ პროვინციალი ყოფილა და „რაც შეეხება მისი ლექციების წიგნს „საქართველოს მისია“ - ურაპატრიოტიზმისა და პროვინციალიზმის ნაზავია“.

პროვინციალი ზვიად გამსახურდია ცდილობდა მწერალთა კავშირის, როგორც ეროვნული ბუდის მოშლას, გადაგვარებას, - ბრძანებს ბატონი მწერალი და ასახელებს დიქტატორის ნების უსიტყვოდ შემსრულებლებს მუხრან მაჭავარიანს, ხუტა ბერულავას, ენვერ ნიჟარაძეს, რომლებმაც თურმე მწერალთა კავ-

შირს ბოქლომი დაადეს!

ამ ცილისწამებას მხოლოდ ის დაიჯერებს, ვისაც ასე სურს!

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა. ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, ხუტა ბერულავა, ენვერ ნიჟარაძე (მრავალი სხვა მამულიშვილი) ხელს აღარ გიშლიან, არისტოკრატი მწერლებო, პოეტებო, მსახიობებო, მაგრამ ვაგლახ, რომ მწერალთა კავშირი, როგორც ეროვნული ბუდე, ეროვნულ ხელისუფლებასთან ერთად დაამხეთ და დღეს იგი ბუღაძეთა, ბურჭულაძეთა, შამუგიათა, დეისაძეთა... საპარპაშოდ აქციეთ!

მწერლის აზრით, ზვიად გამსახურდიას „მედიდური ყოყოჩობა“ ახასიათებს, შევარდნაძეს კი უზარმაზარ ავტორიტეტთან ერთად – საოცარი თავმდაბლობა, სიბრძნე და ჰუმანურობა.

ამ ჰუმანურმა ადამიანმა ორი დასახვრეტად განწირული ძმის მშობელს „დიდსულოვნად“ საშუალება მისცა დასახვრეტად ერთ-ერთი ამოერჩია!

ამ ბრძენი პოლიტიკოსის წყალობით დავკარგეთ აფხაზეთი!

ეს ჰუმანური დიდი პოლიტიკოსი სამეგრელოს სისხლიან ეგზეკუციებს ამართლებს. აი, რა განაცხადა ტელევიზიით 1994 წლის 24 ივნისს: **„სწორია, რომ შევედით სამეგრელოში. ეს ჩვენ უნდა გავვეკეთებინა. ყველამ უნდა მიიღოს საკადრისი პასუხი. ჩვენ უნდა გავანადგუროთ პროვინციალური ფაშიზმი და განვხორციელოთ კიდევ. როდესაც ბოროტ ძალას ებრძვი, ზედმეტია წუნუნნი გაუპატიურებაზე და მსხვერპლზე. მე მაღლობას ვუხედი ყველას, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო“.**

ვფიქრობ, ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება.

რამდენიმე წლის წინ „საერთო გაზეთმა“ ცნობილ ქართველ მსახიობთან ინტერვიუ გამოაქვეყნა. მსახიობის გვარს არ დავასახელებ, იმიტომ რომ გარდაცვლილია.

მისი აზრით, საქართველოს დღევანდელი კატასტროფული მდგომარეობა ეროვნული მოძრაობის, პირადად ზვიად გამსახურდიას ბრალი ყოფილა.

„თურმე არა სცოდნიათ არც სახლის აშენება, არც ქვეყნის მოწყობა და „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო“ – მარტო ამას

გაჰკიოდნენ. ასეთ თავისუფლებაზე საზიზღარი რამე ნახე, შენ, ახლა?“ – ცოტა გულმოსული ეკითხება გაზეთის კორესპონდენტს, - **„ამ თავისუფლებამ მოსპო, გაანადგურა, გაათახსირა საქართველო...“**

კორესპონდენტი ხვდება, რა ნესტრითაც არის ნაჩხვლეტი, და ამგვარ კითხვას აძლევს: **„თუმცა ყველა ჩვენს უბედურებას სააკაშვილს ვერ დააბრალებთ, ალბათ, თქვენი აზრით, სამშობლოს დაკარგვა ეროვნული მოძრაობიდან დავიწყეთ?“**

„მართალი ხარ, ამას სააკაშვილს ვერ დავაბრალებთ, პირველ რიგში ამაში ბრალი ზვიად გამსახურდიას მიუძღვის. ამას ვიტყვი თუ არა, მომცვივდებიან ხოლმე ზვიადისტები, - აუ, ეს რა თქვიო, აუ კი არა, შეხედონ ქვეყანას, რა დღეშია!“ – აღშფოთებით აცხადებს ცნობილი მსახიობი.

როცა ზვიადისტები საქართველოს **„ანგრევდნენ, ანადგურებდნენ, ათახსირებდნენ“**, აჰა, გამოჩნდა კაცი, რომელმაც წყვილიაღმი შუქურასავით გაანათა და ქართველ ერს გადარჩენის გზა უჩვენა!

ცნობილმა მსახიობმა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა მოინდომა!

„სოფელს ავაშენებ...“ ამ თხოვნით მისულა მსახიობი პრეზიდენტთან, მაგრამ იქ, მისაღებში, კომუნისტი მინისტრები დაუნახავს... **„მათთან ერთად რიგში როგორ ჩავდგებოდით“** და ამიტომ პრეზიდენტთან შეხვედრა გადაიფიქრა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, კარგი მსახიობს და ასევე კარგ თამადას სუფრაზე კომუნისტი მინისტრები, რაიკომის მდივნები, ცეკას მდივნები ბევრჯერ უდღეგრძელებია. მათთან ერთად ქეიფი შეიძლება, პრეზიდენტის მისაღებში საქვეყნო საქმისთვის მისულ კომუნისტ მინისტრებთან ერთად დგომა კი „გრეხია“?

მსახიობის აზრით, სოფელი რომ ააშენო და გააუმჯობესო(!), ამისთვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა ყოფილა საჭირო, თანაც მინიმუმ ერთი წლით!

„ერთი წლით ვითხოვდი თავმჯდომარეობას, ნახე, სოფელი როგორ გავაუმჯობესო-მეთქი, მაგრამ არ მოინდომა, იმიტომ რომ დიდი და კარგი კაცი გამოვიდოდი“, – გულისტკიველით იხსენებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეობის მაძიებელი ცნობილი მსახიობი.

ყველასთვის საყვარელ მსახიობს რაჭის მშობლიურ სოფელში რომ ეთხოვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა, მიზანს აუცილებლად მიაღწევდა. ამისთვის საჭირო იყო არა პრეზიდენტის მისაღებში კომუნისტ მინისტრებთან ერთად რიგში დგომა, არამედ კოლმეურნეობის ჩანერა და საერთო კრება თავმჯდომარედ ერთსულოვნად, ტაშის გრიალში აირჩევიდა, გახდებოდა თავმჯდომარე, ერთ წელიწადში სოფელს ააშენებდა, დაამშვენებდა, გააუმჯობესებდა და პრეზიდენტ გამსახურდისას ჯინაზე „დიდი და კარგი კაცი გამოვიდოდა“.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა მსახიობის ჰობი არ გეგონოთ. ამ გადაწყვეტილებამდე იმ მწარე სინამდვილემ მიიყვანა, რომ თურმე ზვიადისტებს „არა სცოდნიათ სახლის აშენება“, რომ ყურად არ იღეს მისი ფრიად გონივრული რჩევა: **„ჯერ ააშენე შენ თვითონ, მერე გლეხები შეუშვი შიგნით, ცოტა სული მოითქვან და მერე დაანგრე კომუნისტების აშენებული“**...

ზვიადისტებმა შენება თუ არ იცოდნენ, მაშინ როგორღა შესძლეს მიწისძვრით დანგრეული იმერეთისა და რაჭის აღდგენა უმოკლეს დროში? როგორ მოახერხეს დანგრეული გზების გარემონტება და ასფალტის დაგება თერჯოლიდან ონამდე, როგორღა მოახერხეს დანგრეული და დაზიანებული საცხოვრებელი სახლების მაგიერ ახალი, ბლოკის კაპიტალური სახლების აშენება, შიგ „გლეხების შეშვება ცოტა სულის მოსათქმელად“ ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე? და ეს კეთდებოდა ისე, რომ საგარეო ვალი ერთი დოლარიც კი არ აუღიათ!

ცნობილი ფაქტია: სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რაჭა-იმერეთში აღდგენითი სამუშაოები პუტჩისტებმა შეაჩერეს, ერთი აგურიც აღარ დადებულა!

ხელისუფლებისადმი მოსახლეობის სოლიდარობა და მხარში დგომა იმაშიც გამოიხატა, რომ იმერეთსა და რაჭაში აღდგენით სამუშაოზე ფიზიკურად შრომობდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული მოხალისენი ანაზღაურების გარეშე.

ამას ვერ გააკეთებდა ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელმაც სახელმწიფო კრიმინალური გადატრიალება იდეოლოგიურად მოამზადა, ხელში იარაღითაც იბრძოლა, რისთვისაც

შევარდნაძემ დიდი მადლობა გამოუცხადა და სახელმწიფო ქონების ძარცვის ნება დართო.

ჯართად გაიყიდა უზარმაზარი ქარხნები უნიკალური ჩარხებით... გაიყიდა საზღვაო ფლოტი... საბჭოთა მეურნეობების ქონება... მთავრობაში მოკალათებული ჩინოვნიკები სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად ყიდულობდნენ პრესტიჟულ დაჩებს თუ უზარმაზარ კორპუსებს... მინებს, ტყეებს ყიდულობენ ჩინელები, არაბები, ინდოელები...

ვნახოთ, როგორ აფასებს ამ მოვლენებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო:

„ხელისუფლებამ (შევარდნაძის ხელისუფლებამ – თ. კ.) რეალურად ვერ შეაფასა არსებული სიტუაცია, განვითარების ტენდენციები და გარდაქმნის გლობალური პროცესი სტიქიურად წარმართა, რამაც, ბუნებრივია, გზა გაუხსნა სახელმწიფო ქონების მასობრივ დატაცებას, მისი პრივატიზაციის უხემ შეცდომებს, საკრედიტო რესურსების განიავებას, ეროვნული სიმდიდრეების (სხვადასხვა ფორმით) საზღვარგარეთ გატანას, კრიმინალური მაფიოზური სტრუქტურების ჩამოყალიბებას და ა.შ.“

„პრივატიზაციამ ხელი შეუწყო სრულიად ახალი თვისობრიობის ჩამოყალიბებას – ქვეყნის სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის მკვეთრ დაქვეითებას, ეკონომიკის კრიმინალიზაციის გაღრმავებას. იგი კორუფციის გაფართოების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ იქცა“. „საქართველოში სახელმწიფო პრივატიზაცია 1993 წლის მარტიდან დაიწყო“.

ეს ამონარიდები მოტანილი მაქვს ბატონ ნოდარ ჭითანავას ნიგნიდან „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“ (II ნაწილი თბ., 1995 წ. გვ. 65; 125; 131).

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ (№42, 2005 წ.) გამოაქვეყნა ბატონ ნოდარ ლაზარიაშვილის წერილი, სადაც აღწერილია ის ფინანსური მაქინაციები, რომლის საშუალებითაც 1992 წლიდან ხელისუფლება შეანაბრებებს ძარცვავდა. ნაძარცვი თანხა კი მილიონობით ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

„უკვე 1992 წლის სექტემბრიდან სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკების კუთვნილ ბანკებზე და

კერძო ფირმებზე გულუხვად გაიცემოდა სოლიდური სესხები, უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი გარანტიის გარეშე. სესხების საპროცენტო განაკვეთი არ აღემატებოდა თვეში 10-15 პროცენტს, როდესაც საბჭოური მანეთის ინფლაცია ყოველწლიურად აჭარბებდა 50 პროცენტს“.

ეს არის სინამდვილე, რომელიც ძალიან კარგად იციან ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მაგრამ რატომღაც ეროვნულ ხელისუფლებას და პირადად ზვიად გამსახურდიას ადანაშაულებენ: „პირველ რიგში ამაში ბრალი ზვიად გამსახურდიას მიუძღვის. ამას ვიტყვი თუ არა, მომცვივდებიან ხოლმე ზვიადისტები — აუ, ეს რა თქვიო. აუ კი არა, შეხედონ ქვეყანას, რა დღეშია... გაანადგურეს, დაანგრეს, გაათახსირეს...“

ამგვარი პარადოქსები ადამიანის ფსიქიკისთვის დამახასიათებელია და ეს სულაც არ ნიშნავს პათოლოგიურ გადახრებს. მათგან თავის დახსნას არ ჭირდება ძვირადღირებული ექიმი და მედიკამენტები.

მათ ვურჩევ, ნუ გაპაპაჯორდებიან. საკმარისია ყური მიუგდონ სინდისის შინაგან ხმას თუ სურთ, რეალობა ობიექტურად შეაფასონ.

ინტელიგენტები ეკონომიკის გაჩანაგებას დამხობილ ხელისუფლებას აბრალებენ.

მკითხველს გავაცნობ ამონარიდს საქართველოს უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის მოხსენებიდან („საქართველოს რესპუბლიკაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ 1991 წლის იანვარ-აგვისტოში“ თბ., 1991 წ. გვ. 16):

„რვა თვეში ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიერ ექსპორტირებულია 29,7 მლნ მანეთის პროდუქცია. რვა თვის გეგმა შესრულდა 112,2%-ით;

ქუთაისის მოტობლოკების მიერ ექსპორტირებულია 484 ცალი მინიტრაქტორი;

ფოთის გემთმშენებელი ქარხნის მიერ ექსპორტირებულია 386 ათასი მანეთის სათაღარიგო ნაწილები;

„აზოტმა“ საექსპორტოდ გაგზავნა 10 მილიონ 215 ათასი მანეთის მინერალური სასუქი;

თბილისის საიუველირო ქარხანამ გაგზავნა 651 ათასი მანეთის პროდუქცია;

რუსთავის ამნემშენებლმა ქარხანამ გაგზავნა 158 ათასი მანეთის პროდუქცია;

თბილისის „გამთიშველი მოწყობილებების“ ქარხანამ გაგზავნა 59 ათასი მანეთის ელექტრონაწილები;

ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატმა“ გაგზავნა 21 ათასი მანეთის პროდუქცია“ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ეროვნული ხელისუფლების არსებობის ძალზე ხანმოკლე პერიოდში ქარხნები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ და პროდუქციას უცხო ქვეყნებში აგზავნიდნენ.

ეროვნულმა ხელისუფლებამ დამტკიცებული ბიუჯეტიდან გამოყო 845,9 მლნ მანეთი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისთვის.

„ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებაზე ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია მიიმართოს 845,9 მლნ მანეთი, ანუ 59%-ზე მეტი, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო დამტკიცებული ბიუჯეტით.

ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის შემდგომ განვითარებას 1991 წელს მოხმარდება 30 მლნ მანეთი;

მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე დაიხარჯება 65,9 მლნ მანეთი...

მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახმარებას მიმდინარე წლის ბიუჯეტიდან მოხმარდება 55,3 მლნ მანეთი, რაც 29,8%-ით აღემატება დამტკიცებულ მაჩვენებელს“...

მოვიტან კიდევ ერთ მონაცემს: საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაძვირებასთან დაკავშირებული საკომპენსაციო ხარჯებიდან ყოველ ბავშვზე საკომპენსაციო ოდენობა თვეში 285 მანეთს შეადგენს! (ეს ამონარიდები მოტანილია უზენაესი საბჭოს სპეციალურ გამოცემაში „საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლისა და წლის მეორე ნახევრის საგანგებო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის დაზუსტებისა და მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ“, თბ., 1991 წ. ივლისი).

თქვენ კი აზრთანყობით აზვავებულნო! არ გინდათ დაინახოთ ეროვნული ხელისუფლების ერთწლიანი მოღვაწეობის რეალური შედეგები, ხედავთ მხოლოდ თქვენი გამრუდებული ფსიქიკით აღქმულ საქართველოს როგორ „ანგრევდნენ, ანადგურებდნენ, ათახსირებდნენ“!

მუშავე ზაქარია

ფაზისის სკოლა (აკადემია)

ანტიკური საგანმანათლებლო კულტურიდან ქრისტიანულში გადასვლის კერა

ფაზისის სკოლა (აკადემია) წარმოადგენდა (მთელ ადრექრისტიანულ სივრცეში) ანტიკური განათლების კულტურიდან ქრისტიანულში გადასვლის ხანის ერთ-ერთ განთქმულ სასწავლო-ჰუმანიტარულ დაწესებულებას, რომლის ნაკვალევი თვალსაჩინოდ შემორჩენია სასწავლო-საგანმანათლებლო კულტურის ისტორიას.

ანტიკური კულტურიდან ქრისტიანულში გარდამავალი საუკუნეები ხასიათდება მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლით, რომელსაც განსაკუთრებულ სახეს აძლევდა ქრისტიანული სარწმუნოების ბუნება. ის, როგორც წინააღმდეგობა რელიგია, ანტიკურ ცხოველმყოფელურ (მინიერ) ფილოსოფიასთან და მსოფლმხედველობასთან უკომპრომისო ბრძოლაში იმარჯვებდა ზეციური სიტყვის ძალით. ამ ზეციური სიტყვის დამკვიდრებისთვის კი საეკლესიო საქმიანობასთან ერთად აუცილებელი იყო სწავლა-აღზრდის პროცესის დაუფლება, შესაბამისად, არა მარტო ახალ სარწმუნოებრივ იდეათა საყოველთაო გავრცელება, არამედ მთელი კულტურული პროცესების მეტამორფოზირება და წარმართვა. ამიტომ ახალი კულტურულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგია, რომელიც წამოიშალა ანტიკური ცივილიზაციის ნაგრევებზე, ისრუტავდა ყოველივე იმას, რასაც შეეძლო მიეპყრო ადამიანთა სულიერება ზეციური ერთარსისკენ; ის ახდენდა ანტიკურობის მიერ შექმნილ იმ კულტურულ ღირებულებათა გადაამუშავებას, რომლებიც შეიძლებოდა მოყვანილიყო ქრისტიანულ იდეასთან შესაბამისობაში. მაგრამ ანტიკურობა არ იყო უმოქმედოდ, ის მოძრაობდა ინერციით და იმდენად ძლიერი იყო ეს ინერცია, რომ მის მეტამორფოზირებას ქრისტიანულ კულტურად საუკუნეები დასჭირდა. ასე რომ, მათი თანაცხოვრება ქმნის დიდ გარდამავალ ეპოქას უკომპრომისო „ცივი“ და „ცხელი“ ბრძოლებისას.

ამდენად, მთელი ეს გარდამავალი პერიოდი წარმართული კულტურიდან ქრისტიანულში

„სავსეა პოლემიკური სულითა და დაპირისპირებულ იდეათა შეჯახებებით“, რომელიც ძალიან ხშირად იღებდა ქრისტიანული სინმინდისთვის ბრძოლის სახეს, მაგრამ არსობრივად ეს იყო დიდი კულტურული გარდაქმნების ანარეკლი. ორთოდოქსალური ქრისტიანობა აწარმოებდა დაულალავ დისკუსიას როგორც წარმართობის, ასევე საკუთარ წრეებში მრავალგვარ ერეტიკულ სწავლებათა წინააღმდეგ (შეადარე: *История Византий*, ტ. 1, გვ. 6). ეს დიდი „კულტურული დისკუსია“ აფორმირებდა არა მარტო რელიგიურ-ღვთისმეტყველებით იდეოლოგიურ ბუნებას, არამედ სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობრიობის იდეურ საფუძვლებსაც მთელი იმპერიის მასშტაბით (ჯერ რომისა და მერე ბიზანტიისა).

მოციქულთა სამისიონერო მოღვაწეობიდან (საქმეებიდან) მოყოლებული, განსაკუთრებით კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ და ვიდრე იუსტინიანე დიდის 529 წლის ედიქტამდე, ამ უკომპრომისო „კულტურული დისკუსიების“ ფონზე მიმდინარეობდა ძველ წარმართულ (ანტიკურ) და ახალ ქრისტიანულ (ნიგურ-ბიბლიურ) ცივილიზაციათა თანაცხოვრება, რომლის ასპარეზს წარმოადგენდა ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს ხანიდან მომდინარე სასწავლო კერები, სარიტორო-საფილოსოფოსო სკოლები (აკადემიები).

ეს თითქმის ხუთსაუკუნოვანი გარდამავალი პერიოდი დაპირისპირებულ იდეათა და კულტურათა თანაცხოვრებისა განსაზღვრავდა მაშინდელი საგანმანათლებლო პროცესების ხასიათს. ეს არის „ორი განსხვავებული კულტურის, მსოფლმხედველობის, რელიგიისა და ტრადიციების შეჯვარების თავისებური ხანა, რამაც... ზეგავლენა მოახდინა ფილოსოფიური აზროვნების განვითარებასა და მის მნიშვნელობაზე“ (ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ.1, გვ. 19).

ჩვენი საკითხიდან გამომდინარე, მართებულ იქნებოდა გვეთქვა: მონოთეისტური იდეისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კვალობაზე, ზოგადი თვალსაზრისით, ხდება ტრადიციული კულტურულ-სააზროვნო და სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემისა და სტილის ახლებურად ფორმირება.

მონოთეისტურ იდეათა „თეორიულ-ფილოსოფიური“ გააზრება ე.წ. „ტრანსცენდენტურ შემოქმედზე და სამყაროს არარსიდან შექმნის დოგმაზე“ უკვე მეორე საუკუნიდან იღებს სათავეს კლემენტე ალექსანდრიელისა (150-215 წწ.) და ორიგენის (185-254 წწ) შემოქმედებაში. ორიგენის სამყაროს არარსიდან შექმნის დუალისტური ფორმულით, ზეციური სამყარო არის ნამდვილი, ღირებული და მნიშვნელოვანი, მიწიერი – ზეციურის „უბადრუკი ანარეკლი“ (იქვე), რაც, რა თქმა უნდა, ძირეულად ცვლიდა მთელ წარმართულ იდეოლოგიას. მიუხედავად იმისა, ანტიკური ფილოსოფია და კულტურა, როგორც ზემოთაც ითქვა, გარკვეულ დრომდე და შემთხვევებში ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას და ავითარებდა ძველ ანტიკურ კულტურულ-მსოფლმხედველობრივ ტრადიციებს (იქვე). ასე, „დაპირისპირებულთა ერთიანობის“ პროცესში, დიდი აღმოსავლური და ელინურ-ანტიკური კულტურა, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის სისტემა არა მარტო იმოსებოდა ბიბლიურ სამოსელში, არამედ თვისობრივად მეტამორფოზირდებოდა ახალ, საკაცობრიო-ქრისტიანულ კულტურად.

ამ ხანგრძლივი ისტორიის ყველა გარდამტეხ ეტაპზე, თითქმის უწყვეტად, იკვეთება კოლხ-იბერული კულტურული შრეები და ამ ფუნდამენტურ, საკაცობრიო მნიშვნელობის პროცესებში მისი მონაწილეობის აშკარად შესამჩნევი ნაკვალევი, პირველ ყოვლისა, სარწმუნოების სინმინდისტვის ბრძოლასა და მის თანმდევ სწავლა-აღზრდის საკითხში. ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ტრადიციული კოლხ-იბერული აღზრდისა და სწავლების ნორმების ქრისტიანული სარწმუნოების მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნასთან, არამედ და უპირველესად, ამ რწმენის მოდემის გენეტიკასთან შერწყმისა და ამ პროცესში სრულიად ახლებური – ერთიანი ეროვნული თვითშეგნების ფორმირებასთან.

ამდენად, ამ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდში იმპერიაში (რომისა და ბიზანტიის) მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ქართული სახელმწიფოების ჩართულობის გვერდით, და უფრო მეტადაც, გამოკვეთილად ჩანს მისი მონაწილეობა საეკლესიო-საღვთისმეტყველო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობებში, რასაც ადასტურებენ არა მარტო ქართული ისტორიული ანალები, არამედ მთელი რიგი ელინურ-რომაული (ლათინური) თუ სხვა წყაროები. ქრისტიანული სარწმუნოების მნიშვნელობა ქართველური მოდემის საგანმანათლებლო-კულტურულ განვითარებაზე „ქართული კულტურის ისტორიის“ ავტორებს ამავე წყაროებზე დაყრდნობით ასე აქვთ შეფასებული: ქრისტიანობა იმთავითვე იყო მნიშვნობრული რელიგია, ამასთან აღმოსავლური ქრისტიანობა ხელს უწყობდა მნიშვნობრობისა და მწერლობის განვითარებას მშობლიურ ენაზე, ნათარგმნი თუ ორიგინალური ლიტერატურის შექმნას და ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების ზრდას თვისობრივად ახლებურ მოთხოვნათა დონეზე. „სწორედ ახალი სარწმუნოების საფუძველზე იქმნება ახალი ქართული კულტურა და მნიშვნობრიობა, ყალიბდება ქართველთა ეროვნული ერთიანობის თვითშეგნება“ (დასახ. ნაშრ. გვ. 117). საღვთისმეტყველო თუ საისტორიო-ლიტერატურული პროცესების ასეთი აღმავლობის საფუძველთა საფუძველს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა აღზრდისა და სწავლების ისეთი მაღალი ტრადიცია, რომელსაც შეეძლო აეთვისებინა „ახალი აზროვნების“ მოთხოვნილებანი და ექცია ის თავისი საკუთარი გენეტიკური აზროვნების სისხლხორცეულ ნაწილად. ამისთვის კი აუცილებელი იყო შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო სისტემის ფორმირება, რაც, რა თქმა უნდა, ძველ სისტემებთან კონფლიქტისა და მუდმივი ოპოზიციონერობის გარეშე ვერ მოხდებოდა.

იმავე „კულტურის ისტორიაში“ დამონებულ მონაცემებით, საქართველოში (IV-VIII სს.) განათლების კერების და საგანმანათლებლო სისტემის შესახებ ფრაგმენტული, მაგრამ მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ამ ხანებში იმაზე, რომ საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, სკოლებიც არსებულა. ეს უნდა ყოფილიყო პირველდანყებითი

სკოლები, სადაც წერა-კითხვასა და საღვთო წერილს ასწავლიდნენ და ღვთისმსახურთ ამზადებდნენ. ამასთან, ავტორების აზრით, წყაროებში არ ჩანს მითითება საშუალო და უფრო მაღალი საფეხურის სკოლების არსებობის შესახებ (დასახ.ნაშრ. გვ. 123), მაგრამ, უნდა ითქვას, რომ თუკი ამ ე. წ. ელემენტარულ სკოლაში, როგორც ავტორები მათ ხარისხს განსაზღვრავენ, შესაძლებელი ყოფილა **ღვთისმსახურთა** მომზადება, ის არცთუ ისე **ელემენტარული** სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. ამის სანინააღმდეგოდ თუ იმის დასადასტურებლად, რომ ქართველურ სივრცეში ოდენ ელემენტარული სკოლები არსებობდნენ, ვერც წიგნში სავარაუდო მტკიცებულებად მოყვანილი ფაქტი გამოგვადგება, რომ კათოლიკოსი კირიონი (VI-VII სს.) მცირე აზიის ქალაქ ნიკოპოლში წასულა, **ალბათ** სწავლის გასაგრძელებლად, იქ 15 წელი დაუყვია და საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლება მიუღია, რადგან ამავე შრომის წინა თუ შემდგომი თავებიდან კარგად ჩანს, კოლხ-იბერული წარმომავლობის თუ რა მაღალი დონის ღვთისმეტყველი და საეკლესიო მსახურნი მოღვაწეობდნენ მთელ მაშინდელ ქრისტიანულ სივრცეში. მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია, რომელზედაც ჩვენ გარდაუვალად მოგვინვეს მსჯელობა როგორც ფაზისის სკოლასთან დაკავშირებით, ასევე მის შემდგომ პერიოდებში. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ამ სკოლების არსებობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომ **ფაზისის აკადემია არ წარმოადგენდა რაღაც გამონაკლისს, შემთხვევითობას, არამედ ის იყო კოლხ-იბერულ სივრცეში ძველთაგანვე არსებული სასწავლო-სააღმზრდელო სისტემის შემადგენელი რგოლი, რომელიც ამ სისტემას აკავშირებდა როგორც ანტიკურ-ელინისტურ, ასევე რომაულ საიმპერიო საგანმანათლებლო სისტემასთან.**

* * *

საკაცობრიო ცივილიზაციიდან მომდინარე ეს კოლხ-იბერული კულტურულ-საგანმანათლებლო ვექტორი, რომელიც გადიოდა ძველ აღმოსავლურ და ანტიკურ (დასავლურ) კულტურათა სივრცეში, უწყვეტად და აღმავალი გზით მიემართებოდა წინ, ვიდრე იოანე ნათლისმცემელმა არ დაინახა ღმერთისგან მითი-

თებული სულის დავანება და არ განაცხადა: „მე ვიხილე ციდან მტრედევით გარდამავალი სული და დაივანა მასზე“ და შემდეგ: „მე დავინახე და დავამოწმე, რომ ეს არის **ძე ღვთისა**“ (იოანე I, 32, 34), რის შემდეგაც „მოციქულთა საქმეების“ პროცესში და გავლენით როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში, ისე ჩვენშიც, ის თვისობრივად არ გარდაიქმნა **მესიანისტურ მსოფლმხედველობად მოდგმისა**. შესაბამისად, ქართველური მოდგმის მთელი სივრცე გამოცხადდა **ღვთისმშობლის ნილზვდომილ ქვეყნად** და მოხდა კოლხ-იბერთა გენეტიკური, სისხლით ნათესაური კავშირების ეროვნულ ერთიანობად ფორმირება. გაკეთდა დიდი ნახტომი „ქართული რენესანსისკენ“.

აი, საითკენ მიემართებოდა ქართველური მოდგმის უძველესი სასწავლო-აღმზრდელობით ტრადიციათა ვექტორი, მეტამორფოზირებული ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველზე. ასეთი „მაღალი დონის ქმედით კულტურას“ შესაბამისი სწავლა-განათლებითი საფუძვლები უნდა ჰქონოდა, რომელშიც იმთავიდანვე მოცემული იქნებოდა როგორც ზოგადსაკაცობრიო ნიშნები, ასევე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ეთნოტრადიციული თავისებურებები. ასეთი საფუძვლების თვალსაჩინო მაგალითად წარმოგვიდგენია გარდამავალი ეპოქის საერთაშორისო დონის შესაბამისი სასწავლო დაწესებულება – ე.წ. ფაზისის აკადემია.

* * *

არაფერი რომ არ ვთქვათ აიეტიანთა ეპოქის ძველ კოლხეთზე, თავისი ზოგადი კულტურით ის, ძველ და ახალ ეპოქათა მიჯნაზე, ჯერ კიდევ პონტოს სამეფო სისტემასთან მიერთების ხანიდან იპყრობდა მსოფლიო იმპერიად ქცევის გზაზე შემდგარი რომის (დასავლეთის) განსაკუთრებულ ყურადღებას.

რომაელი ისტორიკოსი აპიანე (ახ.წ. II საუკუნე) თავის წიგნში „მითრიდატეს ომების ისტორია“ პონტოს სამეფოს ძლიერების ერთ-ერთ პირობად ასახელებს ამ სისტემაში კოლხეთის სამეფოს შესვლას და პონტოელ ელინთა მხარდაჭერას. ის წერს: მითრიდატე მეფობს მამისეულ სახელმწიფოში, სიგრძით 20.000 სტადიონი. მან ბევრი მეზობელი ქვეყანა შეიმატა და პირველ რიგში ასახელებს

კოლხებს, რომლებიც კარგი მეომარი ხალხი-აო (შენიშვნაში ნათქვამია: რუსულ თარგმანში არის: помещанное на войне“), და ელინთაგან ისინი, რომლებიც პონტოს ნაპირზე ცხოვრობენ. ავტორი მხოლოდ ამათ შემდეგ მოიხსენიებს სხვა ხალხებს ბარბაროსთა რანგში და მათ შორის პართიის მეფესა და მითრიდატეს სიძეს, სომეხთა მეფე ტიგრანს (აპიანე, „ისტორია“ გვ. 59, თბ. 1959 წ.). ეს ინფორმაცია მრავალგვაროვანი მონაცემების მატარებელია, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ კოლხეთი პონტოს სიძლიერის მთავარ სამხედრო წყაროდაა მიჩნეული არა მარტო ამ ხალხის მეომრული სულისკვეთებიდან გამომდინარე, არამედ იმიტაც, რომ მოცემულ შემთხვევაში შავიზღვისპირა ელინები და კოლხები სოციალურ-კულტურული მდგომარეობით ერთ რანგზე განიხილებიან.

მაშასადამე, ჯერ კიდევ მითრიდატე ევპატორის ხანიდან (ძვ. წ. II ს. დასასრ. და I ს. შუა ხანებამდე) მოყოლებული, კოლხეთის სამეფოში და მთელ კოლხ-იბერულ მიწა-წყალზე „საზოგადოებრივი და მატერიალური მდგომარეობა კულტურული თვალსაზრისით იმ დონეზე იყო, რომელზედაც იდგა რომი“ (ი. ბერიტაშვილი). აპიანეს ცნობებიდან გამომდინარე კი ძველ და ახალ საუკუნეთა მიჯნაზე კოლხური კულტურა ელინურის ტოლ-სწორად აღიქმებოდა თურმე. ამის საბუთია არა მარტო ის, რომ მას ბარბაროსთა რიგებში კი არა, ელინთა გვერდით და უპირატესადაც მოიხსენიებენ. ამ უკანასკნელს ქვეყნად, სამეფოდ აღიარებენ, ელინებს კი შავიზღვისპირეთში ის არა აქვთ(?!).

კოლხური კულტურის „ქმედებითი სახე“ არა მარტო გვიან საუკუნეებშია თვალსაჩინო, არამედ აპიანეს მიერ აღწერილ ძველ და ახალ ეპოქათა მიჯნაზეც. ზემოთქმულის გარდა, იმავე წყაროში კოლხეთი წარმოდგენილია, როგორც პონტოს სამეფო სისტემის უძლიერესი საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი შემოქმედი როგორც გემთმშენებლობის თვალსაზრისით, ასევე ამ ფლოტის ცოცხალი ძალით – კვალიფიციური პერსონალით მომმარაგებელი. აპიანე წერს: „ხომაღლები მას ბევრი აქვს, ზოგი უკვე მზადაა და ზოგი ჯერ კიდევ კეთდება, [ასევე] შეჭურვილობა ყოველმხრივ მნიშვნელოვანი მოეპოვება“ (იქვე). ამ ფლოტისა და შეჭურვი-

ლობის მანარმოებელი, ძირითადად, სწორედ პონტოელი ელინები და კოლხები არიან და ამიტომაც არიან ისინი პონტოს სისტემაში ერთ რანგში დაყენებულნი. კოლხების მოთხოვნით მეფედ გამოცხადებული მითრიდატე უმცროსმა მცირე ხანში, რა თქმა უნდა, კოლხურ ბაზაზე „ფლოტი ააგო და დიდი ლაშქარი შეკრიბა“ (აპიანე, „ისტორია“, გვ.135/136) და ა.შ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ძირითადად კოლხეთსა და მის მიმდებარე გემთსაშენებში კეთდებოდა, რაც არა მარტო შესაბამის საწარმოო საშუალებას და ფიზიკურ ძალას მოითხოვდა, არამედ მაღალგანვითარებულ საინჟინრო განსწავლულობასაც, რომლის მიღწევა სათანადო დონის სწავლა-განათლების კულტურის არსებობის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ი. ბერიტაშვილი რომის იმპერიაში შემავალ კოლხეთზე წერს: კოლხიდა ჯერ კიდევ ჩვენს ნელთალრიცხვამდე პირველ საუკუნეში იპყრობდა ელინთა და რომაელთა ყურადღებას და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მყარი კავშირი ელინებთან და რომაელებთან დიდ როლს თამაშობდა სასკოლო სისტემის განვითარების გზით მრავალმხრივი ცოდნის გავრცელების საქმეშიო (И.С. Бериташвили, учение о природе человека древней грузии (IV-XIV вв) გვ.30, თბ.1961 წ.) სწორედ ასეთ განათლების კერას წარმოადგენდა ფაზისის აკადემია, რომელშიც, მისივე თქმით, სწავლობდნენ ქართველურ ტომთა შვილები (აბაზგები, ლაზები, იბერები). მისი დაარსების მოთხოვნილება სწორედ ზემოთ მოხსენებული მაღალი დონის პოლიტიკური თუ სოციალურ-კულტურული კავშირებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, ასეთი მაღალი დონის აკადემიური სასწავლებლის შექმნას ჯერ კიდევ პონტოს სისტემაში მისი ყოფნის პერიოდიდან ეყრება საფუძველი, დასაშვებია, აქ მის წინამორბედად, აპიანეს ცნობებიდან გამომდინარე, სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის არსებობა ვივარაუდოთ, რაც მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური მოთხოვნილებებით უნდა ყოფილიყო განპირობებული, მისი ფუნქციონირება კიდევ სათანადო სასწავლო-საგანმანათლებლო დონეს მოითხოვდა.

აპიანეს ცნობების ლოგიკით, ასეთი დონე მაშინდელ კოლხეთში არსებულა, რაც როგორც

წინარე, ასევე უფრო გვიანდელი წყაროებითაც დასტურდება.

მეცნიერთა დაკვირვებით, ბერძნები ყველა არაბერძნებს „ბარბაროსს“ უწოდებდნენ, მაგრამ კოლხეთი გამონაკლისია „სტატიკური აზრიდან“ (ლ.ქადაგიშვილი). ამ აზრის დასტურად ჩვენ მიერ აპიანეს ცნობებიდან დამონმებული ადგილიც კმარა, მაგრამ ძალზე საინტერესოა იმავე ავტორის მიერ მოყვანილი, ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადგილი ფრანგი მეცნიერისა და მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს (1789-1850 წწ.) წიგნიდან. დიუბუა წერს: „თვითონ მეფეც, რომელმაც არგონავტები მიიღო, და მისი ტომიც, ბევრად უფრო მალე იდგა იმ ავანტიურისტებზე, გასაძარცვად და სტუმართმოყვარული წესის დასარღვევად რომ ეწვივნენ კოლხთა მბრძანებელს“ (ლ. ქადაგიშვილი, ქართველი ერის ხმა იდუმალი, გვ.128, თბ.2017წ.). ეს ისე, სასხვათაშორისოდ, იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა იქნეს ნაკითხული ლიტერატურული წყარო და არა ისე, როგორც ჩვენში მათ ზღაპარს უწოდებენ.

რაც შეეხება გვიანდელ წყაროებს, იქიდან კარგად ჩანს, რომ IV-V სს. ქართველური მოდემის წრიდან გამოსული უმაღლეს დონეზე განათლებული ღვთისმეტყველები და ფილოსოფოსები, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეები გამოდიან იმპერიის ასპარეზზე და ყველა მათგანს რაღაც პირდაპირი თუ ირიბი კავშირი ეძებნება კოლხეთის აკადემიასთან, როგორც ამას ამბობს ი.ბერიტაშვილი. ის წერს: მთელს ბიზანტიაში განთქმულმა მოღვაწეებმა, ივერიის მეფისნულმა ბაკურმა, პეტრე იბერის მასწავლებელმა და თანამოღვაწემ იოანე ლაზმა (ევნუხი), უნდა ვივარაუდოთ, რომ განათლება მიიღეს ფაზისის ისტორიულ სკოლაში; მასთანვე უნდა იყოს დაკავშირებული აგათიას მიერ მოხსენებული, 544 წელს კოლხთა საიდუმლო კრებაზე განთქმული ლაზი მოღვაწეების აიეტისა და ფარტაზის მიერ წარმოთქმული სიტყვების გასაოცარი მსოფლმხედველობრივი თუ მჭევრმეტყველობითი საზრისმომცველობა ბიზანტიელთა მიერ მეფე გუბაზის მკვლევობასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე, ბიზანტიის უმაღლეს სასამართლო თუ პოლიტიკურ მოღვაწეებთან კამათში ლაზთა ინტერესების დამცველთა მონაწილეობა და

მათი გამარჯვება და ა.შ. (ი. ბერიტაშვილი, იქვე, გვ.31).

მაშასადამე, ფაზისის აკადემიის არსებობისთვის საფუძვლები მის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე მზადდებოდა. მაგრამ, მისი დაარსებისთვის უშუალო პირობების შექმნა რომაელთა ხანიდან უნდა ვივარაუდოთ, როცა მთელ კოლხ-იბერიაში ვითარება ძირეულად შეიცვალა. აფსაროსში და მთელ ზღვისპირა ზოლში რომაელთა ლეგიონები განთავსდა, აქ, როგორც დღეს იტყვიან, იძულებითი მშვიდობიანობა დამყარდა. ამ ახალ ვითარებაში კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებიც ამ „იძულებითი მშვიდობიანობის“ შესაფერ, სხვა, არა სამხედრო მიმართულებით უნდა წარმართულიყო, კონკრეტულად, რომის „ახალი წესრიგის“ შესაფერის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და მსოფლმხედველობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გზით, როგორც ეს ხდებოდა მთელ აღმოსავლურ-ელინურ სამყაროში. შესაბამისად, პოსტკონტორი კოლხ-იბერული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესები უნდა მოქცეულიყო რომაულ-პროვინციული საგანმანათლებლო სისტემის სრული გავლენის ქვეშ, რის ამკარა დადასტურებასაც წარმოადგენს **კლასიკური რომაული ტიპის უმაღლესი სარიტორო სკოლის დაარსება** ფაზისის ახლოს.

ამდენად, კოლხ-იბერულ სივრცეში სწავლა-აღზრდის მაღალი კულტურის არსებობაში გარკვევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ფაზისის სკოლაზე, იმიტომ რომ ის წარმოადგენდა ძველი წარმართული საგანმანათლებლო სისტემიდან ახალ – ქრისტიანულ სწავლა-აღზრდაზე გადასვლის პერიოდისთვის დამახასიათებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც საკმაოდ იყო რომის იმპერიაში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ სექტორში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ელინურ სამყაროში.

სამწუხაროდ, ფაზისის აკადემიის შესახებ უკვე დაგროვილ მრავალფეროვან და კვალიფიციურ კვლევებში თითქმის არ ექცევა საგანგებო ყურადღება ამ სასწავლებლის ამ „გარდამავალ“ თავისებურებას, მაშინ როცა, როგორც ი. ბერიტაშვილთან ვნახეთ, სწორედ ამ სკოლიდან გამოსულად ან მათთან ირიბად დაკავშირებულნი

არიან დიდი ქართველი ქრისტიანი მოღვაწეები და ფილოსოფოს-ლეთისმეტყველნი თუ საერო პირები, ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი, თემისტიოსიც და მამამისი ევგენიოსიც წარმართი მოღვაწეები უფრო არიან, ვიდრე ქრისტიანები. თემისტიოსის ტალანტს დიდად აფასებდა იულიანე განდეგილი, რომელიც ამბობდა, ვერავინ ქრისტიანეთაგან ვერ უარყოფს ძველი წარმართული რელიგიური სკოლის უპირატესობასო.

ამდენად, თემისტიოსის ფაზისის აკადემიაში განსწავლულობა ამ სასწავლებელში ოპოზიციურ მსოფლმხედველობათა თანაარსებობის მაღალი დონის მაჩვენებელია. ვინაიდან აქ განსწავლული თემისტიოსი თვით იმპერატორ იულიანე განდეგილის საყვარელი მოღვაწეთაგანი გამხდარა და იცავს წარმართულ იდეოლოგიას, თუმცა ამასთან ის თავს იკავებს ქრისტიანთა მკაცრი კრიტიკისგან და გამოირჩევა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით, იცავს სხვადასხვა რწმენის თანაარსებობის პრინციპს. ამიტომაცაა, რომ ის თანაბარი წარმატებით მოღვაწეობდა როგორც ქრისტიანობისაგან განდგომილ იულიანესთან, ასევე ზომიერ ქრისტიან ვალენტთანაც და იკავებდა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს. ის ვალენტისადმი მიძღვნილ სიტყვაში წერდა: „შენ მიერ ბრძნულადაა დადგინებული, რომ ყველას ჰქონდეს უფლება, მიემხროს იმ სარწმუნოებას, რომელიც მას მიაჩნია დამარწმუნებლად და რომელიც ის მიიღებდა სულიერ სიმშვიდეს“, ამასთან აცამტკვერებდა სანინააღმდეგო ქმედებებს: „რა უგვანობაა, რომ მოითხოვო და მიაღწიო იმას, რომ თავისი სურვილის გარეშე ყველა ადამიანი აიძულო შედგეს ერთსა და იმავე რწმენაზე“. ამიტომაც ხოტბას ასხამს ბრძენ იმპერატორს, რომელიც იძლევა რწმენის თავისუფალი არჩევანის უფლებას ისე, რომ „ადამიანები არ იქნენ მიცემულნი პასუხისგებაში მათი სარწმუნოების ფორმისა და სახელის გამო“ (История Византии, ტ. I, გვ 414-416). აი, რა ნაყოფი მოწყვიტა თემისტიოსმა ფაზისის აკადემიაში, რომლითაც იმართებოდა მაშინდელი „გარდამავალი ეპოქის“ თვით საიმპერიო რელიგიური პოლიტიკაც კი. ბევრი რომ არ ვაგრძელოთ, ესეც კმარა იმის დასადასტურებლად, რომ III-IV სს. მოქმედი ფაზისის აკადემია წარმოადგენდა წარმართული კულტურიდან ქრისტიანულში გარდამავალი მსოფლმხედვე-

ლობის შესაფერ სასწავლო დაწესებულებას, რომელსაც გამორჩეული ადგილი ეკავა მთელ რომის (ბიზანტიის) იმპერიაში.

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, ფაზისის სკოლა იყო ის უდიდესი საგანმანათლებლო კერა, რომლის ჭერქვეშ მიმდინარეობდა ძველი წარმართული სწავლა-აღზრდის ტრადიციის შერწყმა ახალი მნიგნობრული რელიგიის სულიერებასთან და ამ საფუძველზე სრულიად ახლებური კულტურის ფორმირება, მათ შორის სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემისა.

ორი, იდეურად განსხვავებული კულტურის სინთეზირების პროცესი მიმდინარეობდა ურთულეს და დაუნდობელ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ქრისტეს ჭეშმარიტი რწმენის ათვისების გზების დადგინების და ცოდვათა წარხოცვისთვის, როგორც ეს ნათქვამია სახარებაში: „ეს არის ჩემი აღთქმა მათთვის, როცა წარვხოცავ მათ ცოდვებს“ (რომ.11.27), „ვინაიდან უცვალებელია ღვთის ნიჭი და მოწოდება“ (რომ.11,29), „რადგან ყოველივე მისგან, მის მიერ და მის მიმართ არის“ (რომ.12, 36).

ამდენად, კოლხეთის აკადემიის ფუნქციონირების პირველი პერიოდი უნდა მოიცავდეს (თუ ემთხვეოდეს?) მოციქულთა ღვაწებით, ღვთის ახალი სიტყვიდან მომდინარე ახალ სწავლებათა და შეგონებათა დადგინებისა და ძველ კულტურულ ღირებულებათა გეგმაზომიერად გადაფასების და ახალი მსოფლმხედველობის დამკვიდრების ხანას.

მაგალითისთვის, მოვიყვანოთ პავლე მოციქულის მოწოდებას. რომაელთა მიმართ წერილში ის წერს: „ნუ დაემსგავსებით ამ წუთისოფელს, არამედ **შეიცვალენით თქვენი გონების განახლებით**, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება – კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“ (რომ. 12, 21), მოციქულთა ეს და სხვა მსგავსი მოწოდება გარდასახვისკენ პრაქტიკაში ხორციელდებოდა სწორედ იმპერიის ასეთ უმაღლეს სკოლებში.

აი, ეს, გონების განახლების, საკუთარი ცოდვებისგან განთავისუფლების და ღვთის ნების შემეცნების მომნიჭებელი ცოდნის დამკვიდრების რთული პროცესი მიმდინარეობდა ამ უმაღლეს სკოლაში. ის ერთ-ერთი თვალ-

საჩინო სასწავლო-საგანმანათლებლო კერაა მაშინდელ ადრექრისტიანულ სივრცეში, სადაც ხორციელდებოდა ძველ და ახალ სასწავლო-აღმზრდელობით სისტემათა თანაარსებობისა და სინთეზირების რთული პროცესი.

მთელ კოლხ-იბერულ სივრცეში მოციქულთა მისიონერულ საქმეთა კვალობაზე ფორმირდება უდიდესი მესიანისტური იდეა ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ყალიბდება ქართული სამოციქულო-საეკლესიო კულტურა. „ჩვენი ეკლესია წილხვდომილია ყოვლად უბინოისა და მარადის ქალწულისა დედოფლისა მარიამისა“ (მ. საბინინი).

მესიანისტური იდეა იპყრობს მთელ ქართველურ სივრცეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისთავადი შემეცნებითა და „განახლებული გონებით“.

ღვთისმშობელი გახდა სიმბოლო ქართული ქრისტიანული სარწმუნოებისა, ქართული მოდემის მეოხი და შემწყნარებელი; როგორც ნ. გულაბერიძე აღნიშნავს წილხვდომილობაზე: „ნაწილიცა იყო დედისა ღმერთისაო“, ღვთისმშობელი ჩვენში წამოსასვლელად „გამზადებულ“ იყო, მაგრამ „ძემან და ღმერთმან მისმან დააყენა ამის წადილისაგანო“. ღვთისმშობლის წადილი განხორციელდა წმ. ნინოში (რ.სირაძე, დასახ.ნაშრ. ტ. 1, გვ119). მან აღასრულა კოლხ-იბერთა (ქართველთა) განმანათლებლის წმინდა მისია. ღვთისმშობლის წილხვდომილობის მესიანისტური იდეის სასწაულშია გამთლიანებული, როგორც ძველი და ახალი აღთქმის ერთიანობაში ქრისტიანობა, ქართველური მოდემის მარად ერთიანი სულიერების მისტიკა და ეროვნული თვითშეგნების იდეური საწყისი.

ასეთი იყო წარმართობიდან ქრისტიანობაში გარდამავალი ეპოქის სულიერი იმპერატივი მთელ კოლხ-იბერულ სივრცეში. ეს ახალი ფაქტორი თავისი უნივერსალობით აყალიბებდა ახლებურ მსოფლმხედველობასა და მისი დაუფლების მეთოდებს, რომელთა შორის უმთავრესი იყო სწავლა-აღზრდის ტრადიციის ახალ იდეათა დონეზე „გონებრივი გარდაქმნა“. ასეთ იდეურ-მსოფლმხედველობით ჭიდილში უნდა შექმნილიყო ფაზისის უმაღლესი სასწავლებელი, რომლის შესაძლებლობათა ამკარა ასახვასთან გვაქვს საქმე არა მარტო თემისტიკოსის ცნობებში ამ სკოლის შესახებ, არამედ

იმ ისტორიული ფაქტებიდანაც გამომდინარე, რომელთა შესახებაც ზემოთ ითქვა და როგორც მიმოხილვის პროცესშიც ვნახავთ, საუკუნეთა განმავლობაში იხვეჭდა დიდებას ეს სკოლა და მისი აღზრდილები ადრეულ შუა საუკუნეებში არა მარტო ქართული, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროს მასშტაბით.

ფაზისის რიტორიკული სკოლის საკითხი, როგორც მრავალი სხვა პრობლემა ჩვენი წარსულისა, ისტორიულ ბრუნვაში შემოიტანა ივანე ჯავახიშვილმა, როგორც ამას აღნიშნავს ს. ყაუხჩიშვილი ჯერ კიდევ 1940 წელს საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბეში ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნერილში: „რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში“. ის წერს: ჯერ კიდევ ამ **30 წლის** წინათ თემისტიკოსის ცნობებს ყურადღება მიაქცია **ივ. ჯავახიშვილმა** და „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომში მან **ლატიშევის** მიერ მოყვანილი ნაწყვეტების საფუძველზე დაასკვნა, რომ „თემისტეს სიტყვებითგან ჩანს, რომ ელინური სწავლა-განათლებისთვის ნაყოფიერი ნიადაგია აღმოჩენილი კოლხეთში და, თუ მას დავუჯერებთ, ქვეყანა ელინური კულტურისა და „მუზათა სადგურად“ უქცევია, ისე რომ იმ დროს კოლხებს ელინთა სადღესასწაულო ყრილობებზეც კი უსახელებიათ თავი რიტორიკითა და მჭევრმეტყველებით“ (**ივ. ჯავახიშვილი**, ქართ. ერის ისტორია, ტ. 1, 253). **ლატიშევის** კრებულში მოყვანილი ნაწყვეტები **თემისტის** სიტყვიდან მეტის დასკვნის საშუალებას არ იძლევაო, წერს ს. ყაუხჩიშვილი და იქვე გვთავაზობს თავის შეხედულებას ამ მრავალმხრივად საკვლევ, კერძოდ ქართული საგანმანათლებლო საკითხისთვის და ზოგადად ქართული კულტურისათვის უმნიშვნელოვანეს ცნობებზე თავის შეხედულებებს. ის წერს: საკმარისია გავეცნოთ **თემისტის** XXVII სიტყვის მთლიან ნაწილს, სადაც ლაპარაკია კოლხეთზე, რომ ჩვენ თვალწინ უფრო კონკრეტული სურათი გადაიშალოს: სახელდობრ, თემისტის სიტყვიდან ნათელი ხდება, რომ უკვე IV საუკუნის შუა წლებში კოლხეთში, ფოთის მახლობლად, არსებულა რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც განათლებას ღებულობდნენ ბიზანტიიდან საგანგებოდ მოვლინებული ახალგაზრდები

(საქართ. სახ. მუზეუმის მოამბე, X, გვ. 337, თბ. 1940წ.).

ავტორი იქვე გვთავაზობს ბერძენი რიტორისა და ფილოსოფოსის, დიდი სახელმწიფო მოხელის ამ სიტყვის ისტორიას. როგორც ირკვევა, თემისტოქოსისთვის, როგორც გამოჩენილი მეცნიერისა და მასწავლებლისთვის, როცა ის ჩვეულებისამებრ მოგზაურობდა და საჯარო ლექციებს კითხულობდა, ერთ პატარა ქალაქში წერილობით მიუძღროდა ადგილობრივ მკვიდრ

‘Εγώ τοίνυν και αὐτός, ὃ χρηστὲ νεανία, ἐν πολὺν τοσδε ἀφανιστέρω χωρίῳ τὸς ῥητορικοὺς λόγους ἀνεδρεψάμην, οὐδὲ ἐν ἡμέρω και Ἑλληνι, ἀλλ’ ἐν τῇ ἐσχάτῃ τοῦ Πόντου πλησίον Φάσιδος ἴπου και τὴν Ἀργὼ σαφεισαν ἐκ Θεσσαλίας ποιηταί τε ἔθαυμασαν και εὐρανόδ ἀνερειψατο. ἐκεῖ δὲ που και ὁ Θερμύδων και τὰ Ἀμαζόνων ἔργα και τὸ Θემισκύριον. ἀλλ’ ἔμωσ οὐτω βάρβαρον και ἀνήμερον χωρίον ἠδὲ ἄνδρὸς ἑνὸς σοφία και ἀρετὴ Ἑλληνικὸν τε ἐποίησε και ἀνάκτορον τῶν Μουσῶν, ὅς ἐν μέσῳ Κόλχων και Ἀρμενίων καθιδρυμένως οὐ τοξέειν οὐδὲ ἀκονίξειν ἐνίδασκε οὐδὲ ἀναβάνειν ἱππον κατὰ τὴν προσοικίαν βαρβάρων παιδείαν, ἀλλὰ ῥητορικὴν ἐκπονεῖν και πανηγύρεις Ἑλλήνων ἐμπρέπειν. εἰ δὲ ἀληθῆ ταῦτα λέγω, ὄψλον εὐθύς εἰ τι λέγω κακείσε ἀφικόμεν οὐ κατ’ οἰκείαν ὄρμηγν τε και κρίσιν, ἀλλὰ με ἔστειλεν ἀνὴρ οὐτω μὲν εὔνοος ὡς ἄν πατήρ, οὐτω δὲ ὄρμῶς δοκιμάζων, ὡς ἄν φίλσοφος. ἢ κακείνου σὺ πάντας καταφρονησεις, ὅτι τὴν φροσύμην φιλοσοφίαν τῆδὲ που και αὐτὸς συνελέξατο, εἰσὸς δὲ ἴσως και πολὺν μάλλον, ἄτε οἰκοθεν και ἀφ’ ἐστίας τὰ ὄργια τελεσθέντος. (Themistii orationes ex codice Mediolanensi emendatae a Fullemo Dindorfio, Lipsiae 1832; p. 401—402).

მეცნიერს თემისტოქოსის ამ სიტყვებიდან გამოაქვს დასკვნები, რომ:

1) კოლხეთში ფოთის მახლობლად IV ს. პირველ ნახევარში არსებული რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღია თემისტოქოსს. რომელი იყო ეს ქალაქი, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, თემისტოქოსის სიტყვაში ნათლად

ახალგაზრდას და უთხოვია – დამეხმარე და ხელი შემიწყვე, რომ კონსტანტინოპოლში მოვეწყო სწავლის მისაღებადო. მომდევნო ლექციის დროს თემისტოქოსი მსმენელებს აუწყებს, ასეთი წერილი მივიღე ერთი ახალგაზრდა ვაჟისგანო და წარმოთქვამს თავის ამ ცნობილ სიტყვას (ს. ყაუხჩიშვილი, „რას გვიაზობენ ძვ. ბერძნები საქართველოს შესახებ, გვ. 114, თბ. 1964 წ.).

თემისტოქოსი ამბობს:

მეც, ჩემო კარგო, რიტორიკის ნაყოფნი მოგწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა – რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ, – და ცამ იგი ალიტაცა, იქ, სადაც ცნობილია თერმოდონტი, ამჟამინთ საომარი საქმეები და თემოსკვირი. და, აი, ასეთი ბარბაროსული და პირქუში ადგილი ერთი კაცის სიბრძნემ და სათნოებამ გახადეს ელინური და აქციეს მუზების ტაძრად, იმ ერთი კაცის, რომელიც დამკვიდრდა კოლხებისა და არმენიელების ქვეყანაში და ასწავლიდა არა ისართ ტყორცნას და ოროლოთ სროლას ან ჯირითს, მეზობელ ბარბაროსთა წესებისდა მიხედვით, არამედ იმას, თუ როგორ გაინვრთნა რიტორიკულ ხელოვნებაში და როგორ ბრწყინავდე ელინთა დღეობებზე. მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ეხლავე, თუ დავძენ შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული.

არის ნათქვამი, რომ ეს სკოლა არსებობდა კოლხების ქვეყანაში, ფოთის მახლობლად.

2) ამ რიტორიკულ სკოლაში განათლება მიუღია თემისტოქოსის მამას, ეგგენიოსს, რომელიც შემდეგ ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი იყო კონსტანტინოპოლში.

3) კოლხეთი, როგორც ყოველი არაბერ-

ძნული ქვეყანა, ბერძნებისთვის ბარბაროსული ქვეყანა იყო, მაგრამ თემისტოკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კოლხეთი უაღრესად კულტურული ქვეყანაა და იგი მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრს („მუზების ტაძარს“) წარმოადგენს.

4) თუ კოლხეთში ისეთი რიტორიკული სკოლა მოიპოვებოდა, სადაც ბიზანტიიდან წარმოგზავნილი ახალგაზრდები სწავლობდნენ, თავისთავად იგულისხმება, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე სასწავლებელი დაარსებული იქნებოდა არა უცხოელებისთვის, არამედ, პირველ რიგში, ადგილობრივი კოლხებისთვის.

5) ჩვენ ადვილად შეგვიძლია ამ დებულების დამადასტურებელი საბუთები მოვიყვანოთ, ამბობს ავტორი და იმონებს ისეთ ფაქტებს, როგორც იყო: კოლხთა საიდუმლო კრება და ფარტაზის და აიეტის სიტყვა, ამ კრებაზე ქართლის მეფის ბაქარის შვილის მურვანოზის მძევლად წაყვანა თეოდოს II-ის კარზე და მასთან ერთად მისი მასწავლებლის მითრიდატე ლაზის წასვლა, რომელიც ივერიის მეფის კარზე უფლისწულის აღმზრდელად ყოფილა მინვეული. ასევე ამ აკადემიასთან არის დაკავშირებული ნიკეას I მსოფლიო კრების მონაწილე კოლხეთის წარმომადგენელი ეპისკოპოსი სტრატოფილე. მეცნიერი ასკვნის: ყველაფერი ეს ადასტურებს ქართველების მჭიდრო კავშირს ბერძნებთან და ბერძნული ენის კოლხებში გავრცელებას. შესაბამისად, ეს იმის მოწმობაა, რომ კოლხთა მაღალ წრეებში ბერძნული ენა გავრცელებული იქნებოდა, მაგრამ უმაღლეს სკოლაში, რასაკვირველია, პირველ რიგში, ადგილობრივი ენა იქნებოდა ძალაში, როგორც განათლების ენა, და მის გვერდით – ელინური. ამასთან, ავტორის თქმით, არის საბუთები, რომ IV საუკუნეში კოლხ-იბერიაში არსებობდა მწერლობა, სალიტერატურო ენა, რომელიც საფუძვლად დაედებოდა **განათლების საქმეს** (დასახ. ნიგნი, გვ. 117).

ამ მოსაზრების ირიბ მტკიცებულებად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი ლოგიკური ახსნა, მომდინარე ზემოთ ნახსენები ისტორიული ფაქტიდან ივერიის მეფისწულ მურვანოზის (პეტრე იბერის) ადრეული ბიოგრაფიიდან.

12 წლის ყმაწვილი სწავლას ღებულობდა მამისეულ სამეფო კარზე, სადაც მას ასწავლი-

და მითრიდატე ლაზი, მონვეული ლაზეთიდან (კოლხეთიდან). ჩვენ ეჭვგარეშე ვიცით, რომ მძევლად წაყვანილმა მეფისწულმა არ იცის ბერძნული ენა (ან ძალიან ცუდად), ვინაიდან, როგორც ბიზანტიური წყაროები მოგვითხრობენ, კეისარმა მეფისწული დიდი პატივით მიიღო. მურვანი „საუცხოო თვისებებით“ იყო დაჯილდოებული. კეისარმა და მისმა მეუღლემ ევდოკიამ ის მიიღეს, „როგორც საკუთარი შვილი“, დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს მისი სწავლისა და შესაფერისი აღზრდისათვის. მურვანმა სწავლის დიდი ნიჭი გამოავლინა, შეისწავლა ბერძნული (შემდეგ სირიული) ენა, „ყოველი სწავლულება საეკლესიო და საფილოსოფოსო“. უკვირდათ მეფესა და „ყოველთა ფილოსოფოსთა პალატისათა სიმახვილე გონებისა მისისა“, როგორც მოგვითხრობს მაკარი თავის თხზულებაში „ცხოვრება... პეტრე ქართველისა“ (ქართ. ფილ. აზრის ისტორია, ტ. I, გვ. 37 და შენიშვნა, 13, გვ. 403). მაშასადამე, მურვანოზს ბერძნული ენა არ სცოდნია და ის მხოლოდ კონსტანტინოპოლში უსწავლია. ისიც საყურადღებოა, ყმაწვილი კაცი ბერძნულის ათვისების შემდეგ სწავლობს სირიულს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მისი განსწავლულობა ენების ათვისების თვალსაზრისით სათანადო წესრიგით მიმდინარეობს, მშობლიური და კარგად ცნობილიდან ნაკლებად ცნობილისაკენ.

მაშასადამე, მეფისწული სამშობლოში სწავლა-განათლებას იღებდა დედაენაზე. ამასთან მეტწილად დასაშვებია, რომ ის პარალელურად (შეზღუდული გრაფიკით) სწავლობდა ელინურსაც – საერთაშორისო ენას.

მეფის კარზე არსებული ეს წესი სწავლა-აღზრდისა, რა თქმა უნდა, გამონაკლისს არ წარმოადგენდა, ის განიცდიდა ახალი ერის პირველ საუკუნეებში დამკვიდრებული რომაული პროვინციული პოლიტიკის გავლენას. სწავლა-აღზრდის ძველთაძველ, ანტიკური ტრადიციით გამართულ სისტემას ერწყმოდა რომაული სარიტორო-სამართლებრივი (იურიდიული) ფორმა განათლებისა, რის შედეგადაც ყალიბდებოდა სწავლა-განათლების ინოვაციური მეთოდ-ხერხები, რაც რომაული რიტორიკულ-სამართლებრივი განათლების კვალდაკვალ გზას უხსნიდა ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან მომდინარე ზნეთსწავ-

ლებას. ასეთი სინთეზირებისთვის კოლხეთში, რომელიც ამ დროს პონტოს დიოცეზის შემადგენლობაში იმყოფებოდა, სათანადო პირობები არსებულა, რასაც თავისი პოზიტიური გავლენა უნდა მოეხდინა ამ რიტორიკული სკოლის იმპერიის მასშტაბით დანიშნულების საქმეზე.

მაშინ, როცა რომაული რესპუბლიკური წყობის პირმო კლასიკურ რიტორიკულ სკოლას იმპერატორთა ხანაში უდგება დეკადანსის პერიოდი, რომელიც თავის აპოგეას აღწევს სწორედ III-IV საუკუნეთა მიჯნაზე, კოლხეთის აკადემია ძალზე მიმზიდველი ჩანს მაღალი ხარისხის განათლების მიღების მსურველთათვის. ამიტომაცაა, რიტორიკული და საფილოსოფოსო განათლების მისაღებად კონსტანტინოპოლიდანაც კი აქეთ მოემართებიან.

ის, რომ სწავლების მაღალი ხარისხი პრობლემა ყოფილა, ამას იმ ახალგაზრდა კაცის თხოვნის წერილიც მოწმობს, სადაც იგი თემისტოსს სთხოვს: „დამეხმარე, რათა თავი დავაღწიო ამ პროვინციასო“ (მოამბე, გვ. 337). ამასთან თემისტოსის პასუხიდან კარგად ჩანს, რომ ფაზისის სკოლა შეესაბამებოდა მაშინდელ მოთხოვნათა უმაღლეს დონეს.

ეს ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ კოლხეთსა და იბერიაშიც სწავლა მიმდინარეობდა დედაენაზე და მის გვერდით ისწავლებოდა ელინური (ზოგადად, უცხო)ენა. ისიც კარგად ჩანს, რომ **ეს დედაენა იყო ქართველური მოდგმის ზოგადი, სალიტერატურო-საგანმანათლებლო** ენა. სხვა მხრივ, ნაკლებად დასაშვებია, იბერიის მეფისწულის მშობლიურ ენაზე განსასწავლად მოეწვიათ ლაზი მასწავლებელი. ამდენად, ფაზისის აკადემიაში დედაენაზე სწავლების მიმდინარეობაზე ეჭვის შეტანა თითქმის დაუშვებელია. მაგრამ, ამასთან აუცილებელია და ასევე დიდი უეჭველობით ვიცით, რომ აქ სწავლება ელინურ ენაზეც წარმოებდა. მაშასადამე, ფაზისის აკადემია ორენოვანი სასწავლო დაწესებულება ყოფილა, სხვანაირად იქ განათლებას ვერ მიიღებდნენ ჯერ ევგენიოსი და შემდეგ თემისტოსი. ამ შემთხვევაში ეს მემკვიდრეობითობა იმის დასტურია, რომ ეს „ბილინგვური“ ფორმა სწავლებისა არახალია და ის ძველთაძველი ტრადიციების გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც არა მარტო ჩვენი სინამდვილისათვის უნდა ყოფილიყო

დამახასიათებელი, არამედ, ზოგადად, მთელი წინარე ქრისტიანულიდან მომდინარე კულტურებისათვის. ამის დასტურად ის ორენოვანი წარწერები არქეოგრაფიკული კმარა, რომლებითაც მოფენილია მთელი წინააზიური და ეგეოსური სივრცე, მათ შორის კავკასიაც.

მაშასადამე, ორი სადამწერლობო ენის გამოყენება სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემებში IV საუკუნის კოლხეთში ძველთაგანვე მიღებული პრაქტიკა უნდა ყოფილიყო. ის გარემოება კი, რომ ფაზისის სკოლაში დედაენაზე მიმდინარეობდა სწავლება და ჩვენ კარგად გამართული და სრულფასოვანი სასწავლო-სალიტერატურო ზოგადქართველური დამწერლობა გვექონდა, ამას ქართული წყაროების გარდა, რომ ფარნავაზმა „შექმნა მნიგნობრობა ქართული“ (ახ.წ. X ს.), ამოწმებს ბევრი სხვა წყარო, უფრო ადრინდელი და არანაკლებ სანდო. მოვიყვანოთ თუნდაც ის მაგალითი, რომელსაც იმონმებს ს. ყაუხჩიშვილი დასახელებულ ნიგნში. ის წერს: არსებობენ ძველი ნიგნები, სადაც წერია, თუ ვის აქვს საკუთარი დამწერლობა, და ლათინების, ელინების, ესპანელების, არმენიელების გვერდით მოხსენიებულნი არიან იბერები, კაბადოკიელები, ტიბარენები. როგორც მთელი რიგი წყაროებით დადასტურებულია, ისინი იაფეტური მოდგმის ხალხია. მათ შესახებ სახარებაშიცაა მითითება ოდნავ განსხვავებული კონტექსტით: უძველესი მიდიელებისა და შუამდინარელთა გვერდით, იუდეველთა შემდეგ სწორედ ეს იაფეტიდური მოდგმა ნახსენები – კაბადოკიელები და პონტოს მკვიდრნი (საქ. 2, 9).

ამდენად, ს. ყაუხჩიშვილის დასკვნით, კოლხთა მაღალ წრეებში ბერძნული ენა გავრცელებული იქნებოდა, მაგრამ უმაღლეს სკოლაში, როგორც განათლების ენა, პირველ რიგში, ადგილობრივი ენა იქნებოდა ძალაში, ხოლო მის გვერდით ბერძნულ ენას საპატიო ადგილი ექნებოდა დათმობილი (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 117). ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ასე დავაზუსტოთ: ფაზისის სარიტორო სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ორ ენაზე: დედაენასა (სადამწერლობო-სალიტერატურო ენა) და ელინურზე; ისინი თანასწორი უფლებით სარგებლობდნენ, თუმცა თვით სასწავლებლის სპეციფიკიდან

გამომდინარე, რომ ის იყო სარიტორო – საფილოსოფოსო უმაღლესი სკოლა, რა თქმა უნდა, მოითხოვდა ბერძნულის სათანადო დონეზე ცოდნასაც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **ამ სკოლის დაფუძნების დრო** ორ ერთა მიჯნის პირველ საუკუნეებს უნდა ემთხვეოდეს, აქ რომის იმპერიის სახელმწიფო ენის – ლათინურის გავლენის გამოცდილებაც უნდა არსებულებოდა და მაშინ ელინურის ფუნქცია აქ იქნებოდა, როგორც ზოგადკულტურის ენისა და არა როგორც სახელმწიფო ენისა. ამიტომ III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის პირველი ნახევრისათვის აქ ელინური ძირითადად კულტურტრეგერულ ფუნქციას უფრო ატარებდა, ვიდრე პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივს და ამიტომაც დედაენასთან მის თანაარსებობას ვერ განვიხილავთ ანტიგონისტურ ქრილში.

მოცემულ პერიოდში (III-IVსს.) დაპირისპირებულობა ძირითადად ძველ და ახალ კულტურათა – სარწმუნოებათა პაექრობაში უნდა გამოხატულიყო, რაც, მეტ-ნაკლებად, კიდევ უფრო „დააწყნარებდა“ ისედაც სუსტად გამოკვეთილ ეთნიკურ მიუღებლობას ელინური და ქართული ენებისას, ე.ი. იმპერიის „კულტურის ენის“ მიერ ამ სკოლაში ადგილობრივ (ბარბაროსულ) ენაზე სწავლების არდაშეგებას; მით უმეტეს, რომ ელინურს რომაულ-ლათინურის ბატონობის ხანაში საკუთარი თავი უფრო გასჭირვებოდა, მაშინ როცა ხდებოდა ბერძნული კულტურის რომაულად გადამუშავება, რაც მიმდინარეობდა ელინურ და ლათინურ კულტურულ ტრადიციათა ურთიერთშეჯახებასა და უკომპრომისო ბრძოლაში.

ალბათ უფრო სხვანაირი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო ამ სასწავლებლის შექმნის პირველ ხანებში, როცა სახელმწიფო ენა, ლათინური, შეეცდებოდა უკვე უძველესი ხანიდან აქ ფეხმოკიდებული ბერძნულის გამოდევნას, როგორც ეს ხდებოდა მთელ აღმოსავლურ პროვინციებში. მაგრამ, როგორც ჩანს, მას მყარად ვერ გაუდგამს ფესვები კოლხეთში და ვერ დაუძლევია ელინურის გავლენა, რასაც მოწმობს ის მცირედი ლათინურენოვანი წარწერები, რომლებიც აღმოჩენილია ჩვენში. თუ ეს წარწერები ლათინის (რომაელის) გაკეთებული არაა, მაშინ თითქმის ყოველთვის შეცდომითაა შესრულებული. ამიტომ კოლხეთის ამ რიტო-

რიკულ სკოლაში ელინური და ადგილობრივი სადამწერლობო-სალიტერატურო ენები უფრო ბუნებრივ მოკავშირეებად გამოდიოდნენ, ვიდრე მტრებად, როგორც ეს სხვაგან ხდებოდა.

ვინაიდან ელინურ და ლათინურ ტრადიციათა ბრძოლამ ამ პერიოდში მიიღო ბერძნულ და ლათინურ სარიტორო სკოლებს შორის ბრძოლის ხასიათი, ისე ჩანს, რომ კოლხეთში არსებული ეს რიტორიკული სასწავლებელი იმთავიდანვე უნდა შექმნილიყო რომაულ ყაიდაზე, სადაც მიმდინარეობდა კანონთა არსის სწავლება, სასამართლოში, სახალხო კრებებსა და საბჭოებში დებატების მეთოდ-ხერხების გამოუშავება, სახელმწიფო მოხელეთა აღზრდა და ა.შ. უფრო გვიან ის ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ბრძოლაში ელინურთან დამარცხებულა და ეს რომაული სასწავლებელი **ელინური გამხდარა** და ქცეულა **მუზეუმის ტაძრად**, როგორც ამას გადმოგვცემს თემისტოისი.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, თავის-თავად იგულისხმება, იმპერიის სხვადასხვა რეგიონიდან მოვლინებულ ახალგაზრდებზე მეტად, პირველ რიგში, აქ თვით ადგილობრივი კოლხები ისწავლიდნენ. რიტორიკული სკოლის ბრწყინვალე მუშაობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ლაზებში რიტორიკული ხელოვნება, როგორც ეს ჩანს პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებებიდან, დიდ სიმაღლეზე იდგა (მოამბე, XX, გვ. 340), ამიტომ აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ მაშინდელი ეპოქისთვის ამ ერთ-ერთი გამორჩეული სარიტორო-საფილოსოფოსო სასწავლებლის მნიშვნელობაზე, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, ზოგადად, ცხოვრების ახალ კულტურულ მოთხოვნათა დონეზე აყვანის საკითხზე.

* * *

ახალ და ძველ ერთა მიჯნაზე, როცა იწყება ქრისტიანობის გამოსვლა ისტორიის ასპარეზზე, მნიშვნელოვანი ძვრები ხდება მთელ კოლხ-იბერულ პოლიტიკურ სივრცეში. მითრიდატეს დამარცხების შემდეგ აქ პონტოს სისტემის ადგილს იკავებს სრულიად განსხვავებული, რომაულ იმპერიულ მმართველობით ფორმაზე – **„რომის მეგობრის“** სტატუსზე აგებული ურთიერთობა. ეს არის პონტოს ელინიზირებული

სამეფო სისტემისგან განსხვავებული კოლონი-
ალური მმართველობითი ფორმა. მის საყრდენს
წარმოადგენდა რომის ლეგიონები, რომელთა
ბაზირება ხდებოდა შავი ზღვიდან ატლანტის
ოკეანემდე, ბრიტანეთის კუნძულებით დამთავ-
რებული. ეს იყო ნახევრად გასამხედროებული
რეჟიმი, რომელზედაც შემდგომ ხანებში აიგება
მთელი რომაული „დასავლური“ ცივილიზაცია,
შესაბამისი პოლიტიკური მოწყობით.

ამიტომ **ახალი ერა** არა მარტო ახალი რელი-
გიურ-სარწმუნოებრივი კულტურის დამკვიდ-
რებითაა აღსანიშნავი, არამედ მნიშვნელოვანია
ის, რომ ამ ეპოქიდან იწყება ახლებური პოლი-
ტიკურ-სამართლებრივი ნორმების დამკვიდრე-
ბა მთელ ევროპულ და წინააზიურ სივრცეში
და ამიერკავკასიაშიც. ამ ახლებური წესრი-
გის ფონზე ხდება არა მარტო ქრისტიანულ
და წარმართულ სარწმუნოებათა შეჯახება,
არამედ ევროპულ და აზიურ ცივილიზაცია-
თა ძველთაძველი ოპონირების კიდევ უფრო
გამძაფრება.

ელღინიზმის, ერთ-ერთი ურთულესი ისტო-
რიული და კულტურული ფენომენის, აქტორი
და უშუალო მონაწილეა კოლხ-იბერული კულ-
ტურა (რაც დასტურდება არა მარტო წერილო-
ბითი წყაროებით, არამედ ქართველურ სივ-
რცეში მრავლად არსებული არტეფაქტებით),
ეს კულტურა ძვ.წ. პირველი საუკუნიდანვე
ხდება ამ ახალი – „რომაული წესრიგისა“ და
სარწმუნოებრივ-კულტურული მეტამორფო-
ზირების მონაწილე. კოლხეთისა და იბერი-
ის სამეფოთა რომის სისტემაში მოქცევით,
მართალია, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მა-
ინც, კიდევ უფრო გაფართოვდა მათი კულტუ-
რული კავშირები და მოქმედების არეალი ე.წ.
დასავლურ ცივილიზაციასთან. ისინი იქცნენ
ახლებურად ფორმირებადი გლობალური კულ-
ტურულ-სარწმუნოებრივი პროცესების არა
მარტო მიმდევრებად, არამედ მის სრულუფ-
ლებიან სუბიექტებად. ამიტომ შეუძლებელია ამ
ახალი ქრისტიანული კულტურის დადგინების
ხანგრძლივ პროცესში არ იქნეს დაფიქსირებუ-
ლი თვით **ქართველური საწყისების** არსებობა,
როგორც უძველეს კულტურებთან შერწყმული
ფენომენისა.

ამ საკითხებზე მრავალმხრივ ინფორმაცი-
ებს გვანვდიან ძველი ბერძნულ-რომაული და,

რა თქმა უნდა, უფრო ახლობელი ბიზანტიური
წყაროები, საიდანაც აშკარად ჩანს ამ კულტუ-
რულ-აღმზრდელი პროცესებში კოლხ-იბე-
რული სამყაროს ჩართულობა; თუნდაც ჩვენ
მიერ განსახილველად აღებული საკითხის შე-
სახებ თემისტიოსის ცნობა რად ღირს.

ქრისტიანობის ისტორიის ასპარეზზე გა-
მოსვლას, რა თქმა უნდა, მაშინდელი წარ-
მართული სააზროვნო სივრცე და კულტურა
მტრულად შეხვდა. მიუხედავად ამისა, ქრის-
ტიანობა თანდათან იღებდა ბერძნულ-რო-
მაული კულტურის გარშემო აღმოცენებულ
მსოფლგანცდებსა და ფილოსოფიას, გადა-
მუშავებული სახით ითვისებდა იმას, რაც
შეესაბამებოდა ამ ახალ სარწმუნოებას, მის
ტრანსცენდენტულ ბუნებას და ხდებოდა ისე,
როგორც იესომ უთხრა ებრაელებს: „ვინც
ღვთისგანაა, ღვთის სიტყვას ისმენს. თქვენ
იმიტომ არ ისმენთ, რომ ღვთისგან არა ხართ
(იოან. 8,47). ეს ეხებოდა მთელ წარმართულ
კულტურას. ამ დებულებით ხდება ძველი ან-
ტიკური კულტურის მეტამორფოზირება, რისი
მაგალითიცაა თუნდაც ბასილ დიდის (IVს.) მიერ
დანერილი სპეციალური ტრაქტატი იმაზე, თუ
როგორ და რა უნდა იკითხონ ახალგაზრდებმა
წარმართული პოეზიიდან და ფილოსოფიიდან
(შეადარე: ვ.ასათიანი, ანტიკური და ბიზანტ.
ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში, გვ.
14—15). როცა IV საუკუნეში კაპადოკიაში
ინერებოდა ასეთი ტრაქტატები თუ სხვა მრავ-
ალი ღვთისმეტყველებითი შრომა კაპადოკიის
სკოლის წარმომადგენელთა მიერ, რომც არ
გავითვალისწინოთ კაპადოკიური სივრცის,
განსაკუთრებით ჩრდ. კაპადოკიის (ზღვისპი-
რა) ქართველური მოდემის ხალხებიდან წარ-
მომავლობის ჰიპოთეზა, იქვე, მის გვერდით,
კოლხეთში, იმავე IV საუკუნეში „ფაზისის
აკადემიაში, იმაზე, რაზედაც თეორიულ ტრაქ-
ტატს წერდა ბასილ დიდი, თუ როგორ შეიძ-
ლებოდა ახალგაზრდა თაობას, მოსწავლეებს
სარგებლობა მიეღოთ წარმართული წიგნების
კითხვისაგან, აქ პრაქტიკაში ახორციელებდნენ
ყოველივე ამას. ამ სკოლაში თანაარსებობდა
ეს ძველი და ახალი კულტურული წრე.

მეცნიერულად გარკვეულია, რომ ბიზანტი-
ურ კულტურაში თანაარსებობდა დასავლურ და
აღმოსავლურ ელემენტთა სინთეზი როგორც

მატერიალურ, ასევე სულიერ სფეროში. ამ სინთეზში ყოველთვის შენარჩუნებული იყო ბერძნულ-რომაული საფუძველი; ანტიკური ტრადიციები არასდროს გამქრალა ბიზანტიაში.

ზ. უდალცოვას თქმით, შუასაუკუნოებრივ ქრისტიანულ ბიზანტიას თითქოსდა სურდა ანტიკური კულტურის ტანსაცმლის გამოცვლა, მაგრამ ეს მან ვერ შეძლო, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური მემკვიდრეობის შენარჩუნებას. ეს ხდებოდა ტრადიციის ძალით. სწორედ ეს ტრადიციები თამაშობდა დიდ როლს ბიზანტიური ჰუმანისტური იდეის განვითარებაში, რომელიც გადაეცემოდა დასავლეთს. მან დიდწილად გაანაყოფიერა დასავლური ევროპული კულტურა და შეამზადა რენესანსისათვის. ეს კულტურული ღირებულებანი, გადატანილი სხვა ნიადაგზე, ტრანსფორმირდებოდა ადგილობრივი ნაციონალური ტრადიციების გავლენით და თითქოსდა იწყებდა ახლებურ ცხოვრებას.

ყოველივე ეს, როგორც აჯამებს ვ. ასათიანი უდალცოვას მოსაზრებას, მთლიანად შეიძლება გავრცელდეს ძველ ქართულ მწერლობაზეც, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბიზანტიურ აზროვნებასთან, რაც, იმავე უდალცოვას სწორი მითითებით, ხელს უწყობდა კულტურის პროგრესულ განვითარებას (ვ. ასათიანი, ტრადიციები... გვ. 15-16). თუ ყოველივე ამას განვიხილავთ ჩვენი საკითხის კონტექსტში, ნათელი გახდება, **რომ ანტიკური და ქრისტიანული კულტურების სინთეზირებისა და ბიზანტიურ კულტურად ტრანსფორმირების პროცესი, მთელი მისგან გამომდინარე შედეგებით, მიმდინარეობდა კოლხეთის მიწა-წყალზეც, ფაზისის აკადემიაში, დიდი კაპადოკიური ქრისტიანულ-საღვთისმეტყველო სკოლის საქმიანობის პარალელურად; ამიტომაც ჰქონდა მას სახელი გავარდნილი ასე შორს და ამიტომაც მოემართებოდა აქეთ კონსტანტინოპოლელი მაღალი დონის სწავლა-განათლების მოსურნე ახალგაზრდობა.**

* * *

ამ ურთულეს კულტუროგენურ პროცესებში გარკვევისთვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ისტორიულად ფორმირებული სოციალური და პოლიტიკური გარემო, რომელშიც

უხდებოდა ფუნქციონირება ამ სასწავლებელს. ნ. ლომოურის აზრით, III-IV სს. ფაზისში და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ქალაქებში ბერძნული მოსახლეობა იმ რაოდენობით არ შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი (თუკი საერთოდ იყო), რომ მათთვის აქ საგანგებოდ უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო. ამასთან, როგორც ის ფიქრობს, აქ სკოლის დაარსება ცხადყოფს, რომ მისი არსებობისთვის სათანადო პირობები იქნებოდა. ფაზისის აკადემია აშკარა მოწმობაა დასავლეთ საქართველოში ამ დროს ფილოსოფიური აზროვნებისა და რიტორიკული კულტურის არსებობისა (ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 111, თბ. 1968 წ.). მაშასადამე, III-IV საუკუნეებისთვის კოლხ-იბერულ სივრცეშიც, როგორც რომის იმპერიის ცენტრალურ რეგიონებში, **ნიადაგი მომზადებული ყოფილა ქრისტიანულ და წარმართულ მსოფლმხედველობათა სინთეზირებისა და ახალ ქრისტიანულ კულტურად ფორმირებისთვის.**

როგორც ზემოთ ითქვა, ფაზისის აკადემიის ფუნქციონირება კოლხ-იბერულ სივრცეში ძველი და ახალი მსოფლმხედველობისა და აზროვნების სინთეზირების მოწმობად უნდა იქნეს აღქმული. სამწუხაროდ, ამ სკოლისადმი მიძღვნილ მრავალ კვალიფიციურ კვლევაში ეს საკითხი წარმართულ და ქრისტიანულ მსოფლმხედველობათა თანაარსებობისა და ბრძოლისა ამ უმაღლეს სკოლაში ნაკლებადაა გაშუქებული, არადა ეს მისი კულტურული როლისა და მნიშვნელობის **უმთავრესი ნიშანი** უნდა იყოს. ამ მხრივ საყურადღებოა ნ. ლომოურის მოსაზრება ამ კულტურათა თანაარსებობის საკითხზე. მართალია, მისი მსჯელობა მიმართულია კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელების პრობლემისაკენ, მაგრამ ის განიხილება ფაზისის სკოლასთან კავშირში. მეცნიერი წერს: როდესაც აღნიშნული ხანის კულტურაზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ეგრისში ყვავის ფილოსოფიური აზროვნების ერთი-ერთი კერა და, მაშასადამე, აქ ჯერ კიდევ ძლიერია წარმართული ფილოსოფიური კულტურა, ამავე დროს აქ საკმაოდ ფეხმოკიდებული და გაბატონებული ჩანს ქრისტიანული რელიგია (ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ. გვ. 112).

კოლხეთში ანტიკური კულტურის ერთ-ერთი ცენტრის არსებობა კი, ს. ყაუხჩიშვილის სწორი გააზრებით, უდავო მაჩვენებელია აქ ანტიკური ფესვებისა და მაღალი დონის სამეცნიერო და სახელოვნებო კულტურის არსებობისა, რასაც კიდევ უფრო დაკონკრეტებული ფორმით გვთავაზობს ნ. ლომოური, რაც მთავარია, ეგრისში მიმდინარე ამ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებს ის გაიაზრებს კომპლექსში – ქრისტიანულ სარწმუნოებასთან კავშირში.

კოლხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხზე თითქმის საუკუნოვანი დავა-კამათისა და ასევე თითქმის წყალგაუვალი ფაქტებისა და მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, დღემდე ყველა დონის სახელმძღვანელოებში ეგრისში (ლაზეთში) ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღად ისევ VI საუკუნის პირველი მეოთხედი (523 წ.) მითითებული, რასაც არ ეთანხმება მეცნიერი. მისი სწორი შენიშვნით, კოლხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთვის ამოსავლად მიღებული დებულებანი არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული (იქვე, გვ. 114), და ს. ყაუხჩიშვილის კვლევაზე დაყრდნობით აცხადებს, რომ IV ს. 20-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა უკვე ფართოდ იყო გავრცელებული და მტკიცედ ფეხმოკიდებული, რასაც მონაშობს ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მასალები; ასევე მოჰყავს ს. ყაუხჩიშვილისავე მტკიცებულება, რომ „მე-5 საუკუნის შუა წლებში, როცა მეფობდა გუბაზ პირველი, ლაზეთში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო სარწმუნოება იყო (გვ.116). ამ და სხვა ფაქტებით ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, „რომ ეგრისის (ლაზეთის) გაქრისტიანება, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადება შეუძლებელია VI ს. 20-იანი წლებით იყოს დათარიღებული და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მოვლენას IV ს. 3-ქონდა ადგილი, ე.ი. დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც იბერი-აში“ (ნ.ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 120). თუ გავითვალისწინებთ იმავე პერიოდში ფაზისის უმაღლეს სასწავლებელთან კონსტანტინოპოლის სახელმწიფო და კულტურული იერარქიის მჭიდრო კავშირს, უეჭველად შეიძლება ითქვას,

რომ ასეთივე მაღალი დონის ურთიერთობა ყოფილიყო ქრისტიანულ ცენტრებს შორისაც და კონსტანტინე დიდის პროქრისტიანულ ლონისძიებათა შესახებ აქ ალბათ მეტი იცოდნენ, ვიდრე სხვაგან, იმპერიის პერიფერიებში. ამის დასტურად, ყოველივე სხვას თავი რომ დავანებოთ, კოლხიდის მეზობლად მაშინდელი ქრისტიანულ-საღვთისმეტყველო პროცესების წარმმართველი ერთ-ერთი უმთავრესი „კაპადოკიური წრის“ არსებობაც კმარა. მრავალი ფაქტით მტკიცდება ამ კაპადოკიური სკოლის წარმომადგენელთა კავშირი კოლხეთის აკადემიაში განათლებამიღებულ თუ მათთან ახლო ურთიერთობაში მყოფ მოღვაწეებთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა ლაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების მიერ მყარად ფეხის მოკიდება III-IV საუკუნეთა მიჯნაზე, რომლის უმთავრეს კერად ფაზისის ახლოს მდებარე ეს სკოლა უნდა მივიჩნიოთ.

მაშასადამე, როგორც ეს ჩანს ნ. ლომოურის მსჯელობიდან, კოლხეთში წარმართული ფილოსოფიური აზროვნებისა და ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის თანაარსებობა უდავოა. ჩვენი შეხედულებით, ეს განსაზღვრავს ამ სარიტორო-საფილოსოფოსო გარდამავალი ტიპის უმაღლესი სკოლის ხასიათსა და თავისებურებას. თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ კოლხეთისა და იბერიის სამეფოთა ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებულ მისიას ორი დიდი – აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა შემაკავშირებლისა, აქ, „პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად“ ასეთი მაღალი დონის სარიტორო-საფილოსოფოსო უმაღლესი სკოლის ფუნქციონირება ერთი კაცის სურვილითა და ძალისხმევით განხორციელებული „შემთხვევითობა“ კი არ იყო, არამედ ისტორიული კანონზომიერებით განპირობებული დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო აქტი, მომდინარე ელინისტური სინთეზის – დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შერწყმის – მოთხოვნილებებიდან, რომლის მეტამორფოზაც ხდება ახალ რომაულ სისტემასთან შესაბამისობით.

* * *

ფაზისში ასეთი მაღალი დონის სარიტორო-საფილოსოფოსო უმაღლესი დანესებუ-

ლების ფუნქციონირება ხანგრძლივი დროით მიმანიშნებელია ისეთი მაღალკულტურული საზოგადოების არსებობისა, რომელსაც უკვე გააჩნია ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობრივი მიზანდასახულობანი და რომლიც განხორციელებაც ისტორიულ კანონზომიერებათა მოთხოვნის დონეზეა აყვანილი. ამ საზოგადოების მსოფლმხედველობა ყალიბდება ხალხური აზროვნების, მითოლოგიისა და რელიგიურ შეხედულებათა სინთეზირებით, რაც კოლხ-იბერულ სინამდვილეში ორი ცივილიზაციის მუდმივი თანამოქმედებით იკრებდა სასიცოცხლო ენერჯიას და თავის დროზე „ელინისტური მოდერნიზმისთვის“ სრულად შემზადებული აღმოჩნდა. ამდენად, არც რომაული სისტემის „ათვისება“ გასჭირვებია მას და ანტიკური „მინიერი“ რაციონალიზმის ახალი მონოთეისტური იდეებით ჩანაცვლება თითქმის სრულყოფილად შეძლო.

რომაულ-ელინურ კულტურებთან კოლხურის კავშირის მაღალი დონის შესახებ აგათია მირნელის, მართალია, რამდენადმე ქედმაღლური, მაგრამ მაინც პოზიტიური შეფასებაც კმარა. ის წერს: „ისინი უკვე არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით თავიანთი ცხოვრებისთვის სახელმწიფოებრივი და უფლებრივი სახე მიუციათ“ (მ. ბერძნიშვილი, „ფაზისის ისტორიისთვის“, გვ. 57, თბ. 1969 წ.). მოცემულ შემთხვევაში, თუ სწორად შევაფასებთ ლაზეთის სამეფოს მიმართ აგათიასეულ ამ დახასიათებას, დავრწმუნდებით, რომ მის, როგორც სახელმწიფო ჩინოვნიკის, მიერ თქმული – „რომაელებთან კავშირის წყალობით“ თავიანთი ცხოვრებისთვის სახელმწიფოებრივი ფორმა მიუციათო, – ეს არაა უარყოფა კოლხეთში უძველესი ხანიდან სამეფო წყობის (აიეტიანთა დინასტიის) არსებობისა, არამედ მითითებაა მის რომაულ პროვინციულ სისტემაზე გადაწყობაზე, რომლის უმთავრესი ნიშანია ცხოვრების უფლებრივ-სამართლებრივი ფორმის დამკვიდრება, ე.ი. აქ რომაული სამართლის ამოქმედება, რაც აგათიას ეპოქისთვის დასრულებულ სახეს იღებს და რაზედაც აიგო მთელი ევროპული სახელმწიფო-საკანონმდებლო სისტემები.

ამიტომ კოლხ-იბერული საზოგადოების

ზოგადკულტურული და მენტალური მზაობა ფაზისთან ახლოს მაღალი დონის სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულების შესაქმნელად ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ასე რომ, „რომაელებთან კავშირი“ კოლხთა უძველეს სახელმწიფოებრივ-კულტურულ ტრადიციებს უფლებრივ-სამართლებრივ სახეს აძლევს, რაც, რა თქმა უნდა, სწავლა-განათლების პროცესის რეფორმირებისა და სისტემატიზირების გარეშე წარმოუდგენელია. რომაული პროვინციული პოლიტიკიდან მომდინარე, სწავლა-განათლების ახლებური სტილის დაწერვისა და სისტემატიზირების მცდელობად უნდა მივიღოთ ამ სკოლის დაარსება, უფრო – უკვე არსებული „სამხედრო სასწავლებლის“ გარდაქმნა „ახალი წესრიგის“ მოთხოვნათა კვალობაზე. ამაზე მიგვანიშნებს ამ სკოლის სახელდება – რიტორიკული სკოლა, რომელშიც იმთავიდანვე უფრო რომაული უფლებრივ-სამართლებრივი (იურიდიულ-პოლიტიკური) სახე ჩანს, ვიდრე ევგენიოსის დროის ელინური აკადემიურ-ფილოსოფიური ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სასწავლებელში ფილოსოფიაც მაღალ დონეზე ისწავლებოდა და, როგორც თემისტოსის ამბობს, ის იქ გაგზავნა „ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორიც შეიძლება იყოს ფოლოსოფოსი“ და როგორც განუმარტავს მსმენელთ, „რომ მან (მამამ. – მ.ზ.) თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა“ (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. სტატია, გვ. 338), იმაზე მიუთითებს, რომ ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტები წარმოაჩენდა კოლხ-იბერული საზოგადოების დაინტერესებას დასავლური კულტურითა და მსოფლმხედველობით, რომელიც, თავის მხრივ, ნასაზრდოები იყო აღმოსავლურ-მცირეაზიური სიბრძნით.

* * *

კოლხ-იბერული გეოისტორიული სივრცე დამაკავშირებელია არა მარტო დასავლურ-აღმოსავლური ლანდშაფტისა, არამედ მათი „სინათლით სავსე ნათებისა“ – სულისა. ის აერთიანებს, გრ. რობაქიძის მხატვრული თქმით, ძლიერ ნათელხილვადობას **დასავლეთისა**, საგნები რომ ნათელ და მტკიცე მონახაზებში

ენგენება, როცა აღმოსავლეთი მათ ბუნდოვნად და მკრთალად აღიქვამს. აღმოსავლეთმა, უსაზღვრობაში ჩაძირულმა, დასრულებულის შექმნა ვერ შეძლო, რადგან დასრულებული შემოსაზღვრულს ნიშნავს (გოთური კათედრალები აღმოსავლეთში შეუძლებელია). დასავლეთს აქვს საზღვრის გრძობა და ქმნის ნაწარმოებს, ვითარც სამყაროს საკუთარი თავისათვის დასრულებულობაში. ამის სანაცვლოდ აღმოსავლეთი, უსასრულობაში ჩაბრუნებული, ინახავს უსასრულო სუნთქვას (გრ. რობაქიძე, დემონი და მითოსი, „სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში“, გვ. 45-46, თბ. 2012 წ.). აი, რა დაუძლეველი, მაგრამ ამასთან ძალზე თავისთავადი მისიის შესრულება მოუხდა კოლხ-იბერულ მოდგმას იმთავიდანვე, რამაც მისი კულტურული განვითარების ყველა ეტაპზე იჩინა თავი და თვით ქრისტიანულმა სარწმუნოებამაც კი აქ წმინდად ორიგინალური – ეროვნული ელფერი მიიღო.

ასეთი სინთეზირებული კულტურის ფორმირება, სადაც სულიერი და მატერიალური განონასწორდებოდა, მოითხოვდა არა მარტო უდიდეს სანყისიერ ენერგიას, არამედ ამ ენერგიის მწყობრად და გონივრულად მიმართებას უმაღლესი კულტურულ-საკაცობრიო ღირებულებებისკენ. ამიტომ კოლხ-იბერული სასწავლო-სააღმზრდელო სისტემის კავშირი, უპირველეს ყოვლისა, ნაყოფიერი იქნებოდა ტიპოლოგიურად მის მსგავს სინთეზირებულ ძლიერ კულტურებთან, რომელსაც წარმოადგენდა ბიზანტიური კულტურა. როგორც ვ. ასათიანი წერს, ბიზანტიურ კულტურულ სინთეზში ყოველთვის შენარჩუნებული იყო ბერძნულ-რომაული საფუძველი. ანტიკური ტრადიციები, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა, არასდროს გამქრალა ბიზანტიაში (ვ. ასათიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 15).

აი, ეს ბერძნულ-რომაული სინთეზი უნდა დავინახოთ ფაზისის რიტორიკული სასწავლებლის საფუძველებში, ამიტომ არ შეიძლება ფაზისის ახლოს არსებული რიტორიკული სკოლა აქ ოდენ ელინური კულტურის კერად მივიჩნიოთ და ამ საფუძველზე ვივარაუდოთ, რომ იქ მხოლოდ ელინები სწავლობდნენ. ის უფრო რომის იმპერიის ელინურ კულტურაზე პოლიტიკური გაბატონების შედეგია.

მაშასადამე, თუ ამოვალთ იმ ისტორიულ-პოლიტიკური წანამძღვრებიდან, რასაც ადგილი ჰქონდა ორ ერთა მიჯნაზე და ახალი დროის პირველ საუკუნეებში ზოგადად და, კერძოდ, კოლხ-იბერული (იაფეტური) მოდგმის მიწა-წყალზე, ფაზისში (კოლხეთში) უმაღლესი სარიტორო სკოლის დაფუძნება შეიძლება მომხდარიყო რომაული მმართველობის ადრეულ ეტაპზე (I ს. ბოლო და მეორის შუა ხანები). ასეთი დაშვებულობის შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის დაფუძნდა, როგორც რომაულ ყაიდაზე გამართული წმინდა სამართლებრივ-რიტორიკული სკოლა, რომლის მიზანი და დანიშნულება უნდა ყოფილიყო ძველი სამეფო ტრადიციებიდან და მითრიდატე ევპატორიდან მომდინარე მმართველობის ფორმების რეორგანიზებისა და რომაული უფლებრივ-სამართლებრივი სისტემის დანერგვისათვის საჭირო კადრების მომზადება ადგილობრივ. ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოა, ის იმთავიდანვე ყოფილიყო იმპერიული მასშტაბის რეგიონალური სასწავლო დაწესებულება, რომლის პროტოტიპებს ჯერ კიდევ შუმერთა ხანიდან ეყრება საფუძველი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფაზისის სკოლა უნდა შექმნილიყო არა მარტო როგორც ორატორული ხელოვნების – ცოცხალი სიტყვის დაუფლების სამჭედლო, არამედ და უმთავრესად, ის უნდა ყოფილიყო ახალი სისტემისთვის კადრების მომზადების კერა ყოფილი პონტოს სამეფოს სისტემის სივრცეში. ჩვენ ამის ვარაუდის უფლებას გვაძლევს თემისტიოსის ცნობა ფაზისის სკოლის კავშირზე კონსტანტინოპოლთან და, რა თქმა უნდა, მიმდებარე რეგიონებთან, არაფერი რომ არ ვთქვათ კაპადოკიაზე და იქ გაშლილ დიდ საღვთისმეტყველო საქმიანობაზე.

ამდენად, ეს სასწავლო დაწესებულება პირველ ხანებში ყალიბდება საკუთრივ რომაული ტრადიციის მაგალითზე, სადაც მრავლად იყო ასეთი სკოლები და რომლებშიც იწრთობოდნენ არა მარტო რომის რესპუბლიკის პოლიტიკოს-ორატორები და ტრიბუნ-მჭევრმეტყველები, არამედ სამოქალაქო და სისხლის სამართლის მოსამართლეები თუ საადვოკატო კადრები. სარიტორო ხელოვნებას ეუფლებოდნენ პოეტები და ლიტერატორები, ის ფეხგადგმული

იყო რომაულ ისტრიოგრაფიაში და ა.შ. ამიტომ რიტორიკული ხელოვნების თეორია და პრაქტიკა იმთავითვე უკავშირდება რომაულ – **რესპუბლიკურ კულტურას**, ისევე, როგორც ელინური ფილოსოფია და აკადემიური სწავლება – **დემოკრატიის ხელოვნებას**. შესაბამისად, ფაზისის სკოლის დაარსების სოციალურ-პოლიტიკურ გარემოსა და დროის განსაზღვრაზე მსჯელობისას უფლებამოსილნი ვართ ვივარაუდოთ, რომ ის უნდა დაარსებულიყო იმპერიული რომის ეპოქაში, როგორც რიტორიკული – სამართლებრივ-უფლებრივი (იურიდიული მიმართულების) უმაღლესი სასწავლო დაწესებულება. ამიტომ კოლხეთში ასეთი სკოლის დაარსების აუცილებლობა, როგორც ზემოთაც ითქვა, ამ ახალი მმართველობითი სისტემის მოთხოვნილებებთან უნდა დავაკავშიროთ.

ამ სკოლის პრაქტიკულ დანიშნულებას, სავარაუდოდ, წარმოადგენდა (განსაკუთრებით პირველ ხანებში) ნახევრად გასამხედროებული საოკუპაციო მმართველობის შეთავსება საიმპერიო სისტემის – „რომის მეგობრის“ სტატუსთან და ამ მიზნით ორენოვანი სამოხელეო-ჩინოვნიკური და სამოსამართლო (იურიდიული) კადრების მომზადება. ამის დადასტურებად უნდა მივიღოთ ის ისტორიული ცნობები, რომელთაც გვანვდიან რომაული და ელინური წყაროები თვით იუსტინიანე დიდის რეფორმებამდე, როცა ბოლო მოეღო ანტიკურ-ელინური ძველი კულტურის ყოველგვარ გამოვლინებას და საბოლოოდ დამკვიდრდა სწავლებისა და განათლების ქრისტიანულ-სქოლასტიკური სტილი.

ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან საგანმანათლებლო-კულტურული მჭიდრო კონტაქტები, რა თქმა უნდა, მოითხოვდა პოლიტიკურ და სოციალურ საფუძვლებს, რომლის „შემოქმედად“ ჩვენ მიერ განსახილველ ეპოქაში, რა თქმა უნდა, გვევლინებოდა იმპერიული რომი. ამიტომ კოლხ-იბერული სამყაროს კულტურისა და მსოფლმხედველობის ვექტორის განმსაზღვრელად უპირატესად ეს დასავლური კულტურა და იდეოლოგია გვევლინება, რომელიც სულ უფრო აშკარად მიემართება მნივნილოვანი რელიგიური რწმენის – ქრისტიანობის დამკვიდრების მიმართულებით. **ამ უდიდესი კულტურულ-სარწმუნოებრივი რეორგანიზაცი-**

ის განუყრელ თანამგზავრად იქცა ანტიკურობითა და ელინიზმით გაუღწეოთილი კოლხ-იბერული სულთერის სამყარო. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ელგ. ხინთიბიძის მოსაზრება, რომ **ქართული საზოგადოების ინტერესი უპირატესად დასავლეთის კულტურისკენ იყო მიმართული** (ხაზი. – მ.ზ.). ძველ საქართველოს არასდროს უარუყვია IV ს. შუა წლებში აღიარებული რომაულ-ბიზანტიური იდეოლოგია – ქრისტიანობა (ელგუჯა ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისთვის, გვ.12 თბ. 1982 წ.). ამ დასავლური კულტურისა და იდეოლოგიის მაფორმირებელ ერთ-ერთ სასწავლო-საგანმანათლებლო კერად უნდა მივიჩნიოთ ფაზისის აკადემია და მისი კავშირები კონსტანტინოპოლთან და, შესაბამისად, მთელ ელინურ სამყაროსთან. სწორედ ამ სკოლის საგანმანათლებლო-სალიტერატურო საქმიანობის გამოძახილად გვეჩვენება ქართული საღვთისმეტყველო თუ სალიტერატურო კულტურის ის ფრაგმენტები, რომლებიც გადაურჩნენ ისტორიის ჟამთა ტრიალს აღმოსავლეთში – სირია-პალესტინაში, თვით ეგვიპტის ჩათვლით, და დასავლეთით – მთელ ეგეოსურ სამყაროში.

უდავოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა მიერ მთელ ადრეულ ქრისტიანულ ეპოქაში (IV-VII სს.) დაფუძნებულ საეკლესიო-საღვთისმეტყველო ცენტრებს, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენდნენ საგანმანათლებლო-სალიტერატურო კერებსაც, ირიბი თუ პირდაპირი კავშირი ეძებნებათ ამ უმაღლეს სარიტორო-საფილოსოფოსო დანესებულებასთან.

ამ ფაზისური სკოლის გამოცდილებისა და მისი ფართო კავშირების გათვალისწინებით იქმნებოდა ის პირველი ქართული საეკლესიო-საღვთისმეტყველო ცენტრები, რომელთა ნაკვალევი ძველთაგანვე ჩანს სირია-პალესტინასა თუ კაპადოკიაში. ელგ. ხინთიბიძის თქმით, ამ საქმეს ემსახურებოდა პირველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები (ბეთლემის მონასტერი, საბანმიდა, უფრო მოგვიანებით კი – სინას მთა, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი). ამავდროულად, მეცნიერის გააზრებით, ცნობები იბერიულ კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებიდან IV-V სს. ნაკლებადაა შემონახული, მეორე მხრივ,

დასავლეთი საქართველო, რომელიც VII ს. შუა წლებამდე პონტოს დიოცეზის შემადგენლობაში იმყოფებოდა, ორგანულადაა ჩართული ბიზანტიის კულტურულ ცხოვრებაში. მამასა-დამე, ამ გზით მას თავისი წვლილი შეუტანია ბიზანტიური ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ავტორის თქმით, ბევრი რამ ამ მიმართუ-ლებით გამოსაკვლევი და ამის მაგალითად მოჰყავს ჩვენ მიერ ზემოთ დამონშებული „კაპა-დოკიის წრის“ მიმართ გამოთქმული ჰიპოთეზა, რომ „დიდი კაპადოკიელი წმიდა მამები (ბასილ დიდი, გრიგოლ ნაზიანელი, გრიგოლ ნოსელი) და ცნობილი ბიზანტიელი მისტიკოსი ევგარი პონტოელი შესაძლებელია თავიანთი ეროვნუ-ლი წარმომავლობით ქართველები იყვნენ“ (ელ. ხინთიბიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 13). როგორც უნდა იყოს მიდგომა ამ ძალზე მაცდუნებელი და დასაშვები მოსაზრებისადმი, უდავოდ, ჩანს ის გარემოება, რომ ფაზისის ამ სარიტორო-სა-ფილოსოფოსო აკადემიას, რომელიც ფუნქცი-ონირებდა ამ უდიდესი საღვთისმეტყველო და საგანმანათლებლო „კაპადოკიური სკოლის“ გვერდით, არ შეიძლებოდა მასთან უწყვეტი კავშირი არ ჰქონოდა, მაშინ როცა თვით კონ-სტანტინოპოლის მაღალი კულტურული წრის წარმომადგენლებსაც კი, საიმპერატორო კარის ჩათვლით (თუნდაც ის, რომ ფაზისის აკა-დემიადამთავრებული თემისტიოსი ამ კარზე იმპერატორის მრჩევლის რანგშია წარმოდგე-ნილი), ამ აკადემიაში მიუღიათ განათლება ან რალაცნაირად მასთან იყვნენ დაკავშირებულნი (ლიბანიოსი).

ამდენად, ქართული განათლების კულ-ტურა (ზოგადადაც) ახალი ერის პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული ქრისტიანული სარწმუნოებრივი იდეოლოგიის დამკვიდრების ეპიცენტრში ექცევა, როგორც აღმოსავლურ და დასავლურ სივრცეთა მიჯნაზე მოქმედი კულტურული ფენომენი. ფაზისის სკოლისა და სხვა, ზემოთ მითითებული რელიგიური და საღვთისმეტყველო-სალიტერატურო ცენტრე-ბის (ეკლესია-მონასტრების) სახით მან თავი-სი კვალი დატოვა ძველ, ანტიკურ, და ახალ, ქრისტიანულ, იდეოლოგიათა თანაარსებობისა და ბრძოლის პროცესში, საბოლოოდ კი – ქრის-ტიანული კულტურის გამარჯვების საქმეში.

ამიტომ აუცილებელია გადავიდეთ ფაზისის სკოლის დაფუძნების ისტორიის მიმოხილვაზე.

* * *

ჩვენ ზემოთ სრულად მოვიყვანეთ თემის-ტიოსის (317-388 წწ.) სიტყვა, რომლის მიხედ-ვითაც, უცილობლად დგინდება კოლხეთში, ფაზისის ახლოს, რიტორიკული სასწავლებლის არსებობა. ეს ცნობა არა მარტო ამ კონკრეტუ-ლი საკითხის დადგენისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ის „საყურადღებო ცნობებს იძლევა ძველი კოლხეთის კულტურული მდგომარეობის შესახებ IV საუკუნისთვის“ (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. სტატია, მოამბე, XX – ბ).

ეს ცნობა არანაკლებ ფასეულია ძველ კოლ-ხეთში განათლების კულტურის ზოგადი დონის განსაზღვრისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ისტორიული ქუმბარიტების დასადგენად „მისი უდიდებულესობა ფაქტების“ ჩვენებათა გარდა შესაძლებელია და აუცილე-ბელიც ამ ფაქტების განზოგადება და მაშინ, იქიდან გამომდინარე, ლოგიკური მსჯელო-ბებით შეიძლება განვსაზღვროთ კოლხეთში სწავლა-აღზრდის კულტურის ზოგადი სახე, არა მარტო ამ სიტყვის წარმოთქმის ხანისთვის, არამედ იმ ხანგრძლივი ეპოქისთვის, რომლის-კენაც მიყავართ მის კვლევასა და იქიდან გამომდინარე ლოგიკურ დასკვნებს.

ეს გარემოება, ამასთან ერთად, ფრიად მნიშვნელოვანია კოლხ-იბერული საღვთისმეტ-ყველო-სალიტერატურო პროცესებში გარკვე-ვისათვის იმის დასადგენად, თუ როგორ ხდე-ბოდა ანტიკური საგანმანათლებლო სისტემის გვერდით ქრისტიანულ-საღვთისმეტყველო სწავლების დამკვიდრება და ევოლუციონირე-ბა კოლხეთის სინამდვილეში, ანტიკურიდან ქრისტიანულში გარდამავალი ეპოქის თავი-სებურებათა განსაზღვრა, მისთვის დამახასი-ათებელი მწვავე და დაუნდობელი ბრძოლის პერიპეტეების გათვალისწინებით, ზოგადად კოლხ-იბერულ სინამდვილეში და, კონკრეტუ-ლად რიტორიკული განათლების ამ ცენტრში.

თემისტიოსის წერილში მოხმობილი ფაქ-ტებითა და მათგან გამომდინარე დასკვნე-ბით შესაძლებელია მეტ-ნაკლები სიზუსტით დადგინდეს ამ სარიტორო-საფილოსოფოსო უმაღლესი სკოლის ფაზისში დაფუძნების მი-

ზანი და განისაზღვროს მის წინაშე დასახული ამოცანები (რაზედაც ნაწილობრივ ზემოთაც ითქვას). მოხდეს შინაარსისა და ფორმის დადგენა მისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდისათვის. ამ თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ამ სკოლის დაარსების დროის, სოციალური და პოლიტიკური ვითარების გამორკვევა ისევე, როგორც მისი ხანგრძლივად ფუნქციონირების დროისა და პირობების დადგენა.

კოლხეთის რიტორიკულ სკოლაზე თემისტიოსის ცნობის შესახებ არა მარტო ქართველი და საბჭოთა მეცნიერები მსჯელობდნენ, არამედ ამ საკითხის კვლევაში ბევრი დასავლელი მეცნიერი იყო ჩართული. თუკი ო. ზეეკი შეცდომით ფიქრობდა, ის ქალაქი „პონტოს ზღვის ბოლოს“, სადაც ეს რიტორიკული სკოლა არსებობდა, იყო სინოპი, სხვა მეცნიერთა აზრით, ეს შესაძლებელია, თვით თემისტიოსის სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, როცა ის მსჯელობს არგონავტებსა და კოლხეთზეო. ისინი ასკვნიან, ეს სკოლა რიტორიკისა „კოლხების ქვეყანაში იყო“. ხოლო ვილჰელმი ვრცელ კომენტარს უძღვნის ამ სიტყვას და კატეგორიულად ამტკიცებს, აქ მხოლოდ კოლხეთის ფოთი შეიძლება იგულისხმებოდესო (ს. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 339). მასასადამე ამ მეცნიერებს ეჭვი არ შეაქვთ იმაში, რომ აქ ლაპარაკია ფაზისის მიმდებარე „პირქუშ ადგილზე“.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თემისტიოსი, რომელიც აქ სწავლობდა, ფაზისისგან ამ ადგილს ხაზგასმით გამოყოფს და მას „პირქუშად“ ახასიათებს, ე.ი. ბარბაროსულად, როგორც სჩვევიათ ელინებს, მაშინ ფაქტია, რომ ეს არის ადგილობრივი მკვიდრი ხალხით – კოლხებით (ლაზებით) დასახლებული ცენტრი, რომელიც, რა თქმა უნდა, აქ სარიტორო უმაღლესი სკოლის დაარსებამდეც, უდავოდ, რაღაც სასწავლო ფუნქციის მატარებელი უნდა ყოფილიყო, სხვანაირად წარმოუდგენელია ფაზისისთვის – უძელესი დიდი ქალაქისთვის გვერდი აეარათ და „პირქუშ ადგილას“ იმპერიული დონის უმაღლესი სასწავლებელი აეშენებინათ. სამწუხაროდ, ეს არცთუ ხელნაშროსაკრავი მომენტი ყურადღების მიღმა რჩებათ მკვლევრებს.

ამდენად, კოლხეთის რიტორიკული სკო-

ლის ადგილმდებარეობის დადგენისთვის მნიშვნელოვნად გვეჩვენება ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ სასწავლებლისათვის ადგილის შერჩევა არა შემთხვევით ხდება, არამედ არსებობდა რაღაც ხელჩასაჭიდი სასწავლო-საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელიც, როგორც ზემოთაც ვთქვით, კოლხეთის პონტოს სისტემაში არსებობის ხანიდან უნდა მომდინარეობდეს. შესაბამისად, თუ დავეყრდნობით აპიანესა და მითრიდატეს ისტორიკოსთა ცნობებს, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო და საზღვაო სასწავლებელი შეიძლება ყოფილიყო, რომელიც აქ რომაელთა გაბატონების პირველი ხანებისთვის ალბათ იმავე „გასამხედროებული“ დანიშნულებით ფუნქციონირებდა. ამიტომ თემისტიოსის ეპითეტი – „პირქუში ადგილი“, ანუ სასწავლო ცენტრის (ქალაქის) მიმართ თქმული, არა მარტო გეოგრაფიული თვალსაზრისით უნდა იქნეს გაგებულ, არამედ მისი (სასწავლებლის) ხასიათიდან და დანიშნულებიდან გამომდინარეც.

ჩვენ ზემოთ ყურადღება გავამახვილეთ დასავლელ მეცნიერთა მოსაზრებებზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ საკითხისადმი ფუნდამენტალური კვლევა მაინც ქართველ და რიგ საბჭოელ (რუს) მეცნიერებს ეკუთვნით. ერთი რამ ფაქტია, როგორც დასავლელ მეცნიერებს, მცირედი გამოწკრიპის გარდა, ამ მეცნიერებსაც ეჭვი არ შეაქვთ იმაში, რომ აქ ლაპარაკია ფაზისის მიმდებარე „პირქუშ ადგილზე“, რომელიც უფრო გვიან გამხდარა „ელინური მუხების სადგური“. ს. ყაუხჩიშვილის თქმით, თემისტიოსის ეს ცნობა „ოდნავადაც არ ყოფილა ლიტონი სიტყვა, არამედ იყო რეალობით აღსავსე ფაქტი, მართლაც, არათუ თემისტიოსს, არამედ მის მამასაც კი, რიტორსა და ფილოსოფოსს ეგგენიოსს, განათლება მიუღლიათ კოლხეთში“ („მომბე“, XX – ბ, გვ.337, 340).

მითითებული ამონარიდიდან მაქსიმე ბერძნიშვილი აკეთებს ძალზე ლოგიკურ და სწორ დასკვნას, რომ „IV საუკუნეში კოლხეთში საზოგადოება თავისთავადაც კულტურულად მაღლა მდგარა, რომ შესაძლებელი ყოფილა აქ რიტორიკული განათლების ცენტრის დაარსება, სადაც სწავლა-განათლებას ენაფებოდნენ არა მარტო ბერძნები, ეგგენიოსისა და თემისტიოსის მსგავსად, არამედ, უეჭველია, ადგი-

ლობრივი მკვიდრნიც“ (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ.58-59).

მაშასადამე, ევგენიოსის განსწავლულობის (მონაფეობის) ხანისთვის, ე.ი. ყველაზე ნაკლები, III საუკუნის ბოლო მეოთხედისთვის, ეს რიტორიკული სკოლა უკვე არის მთელ იმპერიაში განთქმული სასწავლო ცენტრი – „ელინური მუზეუმის სადგური“. ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ ამ სასწავლო დაწესებულებას საკმაოდ დიდი გზა აქვს გამოვლილი, ვიდრე ის გახდებოდა ასეთი ცნობილი და ელინური მუზეუმის სადგური.

თუ თემისტიოსის ცნობის ლოგიკიდან ამოვალთ, ელინურ მუზეუმზე ხაზგასმით მითითება რიტორიკულ სასწავლებელში, რომელიც, პირველ რიგში, აღიქმება, როგორც რომაული რესპუბლიკური სისტემის პირმშო და უფრო გვიან გარდაქმნილი იმპერატორთა ხანის მოთხოვნათა კვალობაზე, აშკარად მიუთითებს თვით სასწავლებლის შიგნით მიმდინარე ევოლუციაზე, არა მარტო ელინიზაციის თვალსაზრისით, არამედ პროფილის შეცვლაზეც – **მუზეუმის სადგურად გადაქცევაზე**. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ამ სასწავლებლის დაარსების ან უკვე არსებულის გარდაქმნის დროისა და მისი ფუნქციონირების ხანის განსაზღვრა.

* * *

კოლხ-იბერულ სივრცეში საგანმანათლებლო ცენტრის შექმნისა და მისი სისტემური ფუნქციონირების თაობაზე თემისტიოსის ამ „პედაგოგიური“ სიტყვიდან მომდინარე ცნობის მნიშვნელობაზე, მას შემდეგ, რაც ის ისტორიულ ბრუნვაში შემოვიდა, ამ საკითხის მიმართ მკვლევართა ინტერესი არ შენელებულა. ამ საკითხს განსაკუთრებული ბიძგი მისცა თემისტიოსის ამ სიტყვის სრული ტექსტის გამომქვეყნებელმა და მისმა კომენტატორმა სიმონ ყაუხჩიშვილმა. კვლევა მიმდინარეობდა ყველა მიმართულებით, ამ ცნობის ნამდვილობის დადასტურებისა და სკოლის დაარსების დროის დადგენიდან მოყოლებული, ამ სასწავლებლის დანიშნულების, ფორმისა და შინაარსის, მისი როლისა და ფუნქციონირების ხანგრძლივობის გარკვევით დამთავრებული.

ამჯერად, სანამ გავერკვეოდეთ ამ სასწავლებლის ფორმასა და შინაარსში, მის დანიშ-

ნულებასა და როლში კოლხეთისა და იბერიის სამეფოთა მაშინდელ საგანმანათლებლო-კულტურულ და საღვთისმეტყველო ლიტერატურულ ცხოვრებაში, ჩვენთვის ძალზე საინტერესოა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ და მყარად დადგენილ მოსაზრებათა წარმოდგენა ამ უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნებისა და მისი ფუნქციონირების ხანგრძლივობის თაობაზე, ვინაიდან ეს შუქს მოჰფენდა ქართული საგანმანათლებლო-სალიტერატურო სისტემის ბევრ საჭირობოროტო საკითხს.

სიმონ ყაუხჩიშვილი:

კოლხეთში, მდინარე ფაზისის ახლოს, ამ რიტორიკული სასწავლებლის არსებობის რეალობაში ეჭვი არ შეაქვს დიდ მეცნიერს. ის თემისტიოსის ამ ელინური ტექსტის სიღრმისეული ანალიზით ადგენს, რომ „კოლხეთში, ფოთის მახლობლად, IV საუკუნის პირველ ნახევარში არსებულა რიტორიკული სკოლა, სადაც განათლება მიუღია თემისტიოსს. თუ რომელი იყო ეს ქალაქი, ჩვენ არ ვიცით“. ყოველ შემთხვევაში, ნათლად არის ნათქვამი, რომ **ეს სკოლა იყო კოლხების ქვეყანაში**. ის იქვე აღნიშნავს, რომ ამ რიტორიკულ სკოლაში განათლება მიუღია აგრეთვე თემისტიოსის მამას ევგენიოსს, რომელიც შემდეგ ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი იყო კონსტანტინოპოლში. შესაბამისად, ის როცა ამ სკოლის დაარსების დროდ IV ს. პირველ ნახევარს განსაზღვრავს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თემისტიოსი 417 წელსაა დაბადებული, ე.ი. ევგენიოსის მიერ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ეს გვაფიქრებინებს, რომ მეცნიერი ამ სასწავლებლის დაარსებას IV ს. პირველ მეათედში მაინც მოიაზრებს.

ამის შემდეგ მკვლევარი ამ სასწავლებლის ფუნქციონირების ხანგრძლივობაზე, მართალია, არა უშუალო მსჯელობით, მაგრამ მაინც ძალზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს. ის ამ სასწავლებელს უკავშირებს კოლხ-იბერული სამყაროს საგანმანათლებლო-სალიტერატურო და საღვთისმეტყველო კულტურის ბევრ ფაქტს, რომლებიც დაფიქსირებულია ძველ წყაროებში. კონკრეტულად: VI საუკუნის შუა ხანებში კოლხეთის ერთ ხეობაში მეფე გუბაზის ვერაგული მკვლელობის გამო ორიენტაციის

საკითხზე გამართულ კამათზე, სადაც ლაზი დიდებულები ფარტაზი და აიეტი წარმოთქვამენ ჭეშმარიტად მჭევრმეტყველურ სიტყვას, რომელიც, ჩვენი აზრით, მაშინდელი რიტორიკული ხელოვნების უმაღლეს მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, მაშინ როცა ამ ხანაში თვით რომსა და ათენშიც კი რიტორიკული ხელოვნება რეგრესს განიცდის და სოფისტიკის „უარესი“ ფორმებით არის შებოჭილი. ამიტომ ს. ყაუხჩიშვილი ასკვნის: „ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ წარჩინებულ კოლხებს სწორედ თავის ქვეყანაში ექნებოდათ მიღებული რიტორიკული განათლება, სწორედ იმ სკოლაში, სადაც ორი საუკუნის წინ სწავლობდნენ ბერძენი თემისტიოსი და მისი მამა ევგენიოსი“ (ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 115-116). მაშასადამე, მეცნიერის აზრით, კოლხეთში ეს რიტორიკული სკოლა ფუნქციონირებდა არაუგვიანეს IV საუკუნის დასაწყისიდან VI საუკუნის შუა ხანებამდე, 20-30-იან წლებამდე მაინც, როცა აქ შეიძლება ესწავლა 50-იან წლებში უკვე თემის წინამძღოლად ქცეულ აიეტსა და ფარტაზს.

მაქსიმე ბერძნიშვილი:

ზემოთ დასმული საკითხისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მ. ბერძნიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება მონოგრაფიაში „ქ. ფაზისის ისტორიისათვის“. ის წერს: ჩვენ მოგვეპოვება ცნობები კოლხთა განათლების შესახებ ბიზანტიელი რიტორისა და ფილოსოფოსის თემისტიოსის (317-388 წწ.) მოწმობიდან, რომელიც ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი შეიქნა ივ. ჯავახიშვილის მეოხებით, ხოლო ბოლო ხანებში მთლიანი შუქფენით წარმოგვიდგინა ს. ყაუხჩიშვილმა. ეს ცნობა ოდნავადაც არ ყოფილა ლიტონი სიტყვა, არამედ იყო რეალობით აღსავსე ფაქტი. არა მარტო თემისტიოსს, არამედ მამამისსაც განათლება მიუღია კოლხეთში, ჩანს, რომ IV საუკუნეში კოლხეთში საზოგადოება კულტურულად იმდენად მაღლა მდგარა, რომ შესაძლებელი ყოფილა აქ რიტორიკული განათლების ცენტრის დაარსება, სადაც სწავლა-განათლებას ეწაფებოდნენ ადგილობრივი მკვიდრნი (დასახ. ნაშრ. გვ. 59).

მაშასადამე, მეცნიერის თქმით, კოლხები არ ყოფილან მოკლებულნი განათლებას, ისინი ზიარებულნი იყვნენ რიტორიკის ხელოვნებას,

რომელიც საკმაო სიცხადით ჩანს მთელი რიგი ფაქტებიდან. ამის დასტურად ჩვენ მიერ ზემოთ, ს. ყაუხჩიშვილთან დამონმებულ ფაქტებს იგი უმატებს აგათიას ცნობებს იმაზე, რომ „დარბაისელ კოლხებს... უკვე კარგა ხანია შეესწავლათ ელინთა ენა“, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს იმას, რომ ლაზთა (კოლხთა) მაღალ წრეებში საკმაოდ კარგად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საკითხი.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით, იმპერიის ოფიციალური ენის – ლათინურის გვერდით თანაარსებობდა მაშინდელი საერთაშორისო ენა – ბერძნული, რომელსაც არა მარტო იმპერიაში, არამედ მის გარეთაც საკმაო გავრცელება ჰქონდა. მ. ბერძნიშვილი წერს: გავიხსენოთ ლაზების ელჩთა საიდუმლო დეკლარაცია ირანის მეფის ხოსროს წინაშე ან კიდევ მეცნიერის მიერ დამონმებული ფაქტი – „კოლხთა წარმომადგენლის (ადვოკატის) სიტყვა, ლაზთა მეფის გუბაზ II-ის მკვლელთა საწინააღმდეგოდ წარმოთქმული იშვიათი ექსპრესიით და მჭევრმეტყველებით, ბიზანტიელი მსაჯულის ათანასეს წინაშე – აი, ეს ფაქტები საკმაო დამაჯერებლობით გვიჩვენებს იმას, რომ რიტორიკული მსჯელობა, ეგოდენ სრულქმნილი ბერძნულში, არ ყოფილა უცხო და მიუწვდომელი არც კოლხებისთვის“.

ავტორს, სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, მოჰყავს ცნობა ევსევი ჰამფილისა (264-340 წწ.), რომელიც იყო ევგენიოსის თანატოლი, **კოლხი ფილოსოფოსის მარსიასის შესახებ**, რომელიც, მისი შეხედულებით, „იქნებ იყო კიდევ დამფუძნებელი იმ კერისა ფაზისის მახლობლად, სადაც რიტორიკის ნაყოფი მოიმკო თემისტიოსმა და მასზე ადრე მისმა მამამ ევგენიოსმა“ (იქვე, გვ. 59).

მოცემულ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა არა იმდენად პ. უსლართან დაფიქსირებული ამ ინფორმაციის ნამდვილობის საკითხი, რამდენადაც ის გარემოება, რომ ავტორს ამ სასწავლებლის დაფუძნების დრო გადმოაქვს III საუკუნის ბოლოსთვის. ამასთან ძალზე საყურადღებოა ის, რომ ამ სასწავლებლის დამაარსებლად მიჩნეულია კოლხი სწავლული და ფილოსოფოსი. ასეთი დაშვებულობის შემთხვე-

ვაში არა იმდენად ამ კონკრეტული ფაქტის დადგენაა საინტერესო, არამედ ის გარემოება, რომ III საუკუნის კოლხურ სინამდვილეში ასეთი უმაღლესი სასწავლებლის შექმნისთვის სოციალური და კულტურული ნიადაგი ყოფილა შემზადებული.

მაშასადამე, ლაზეთში იმპერატორთა ხანის რომაული სასკოლო-სარიტორო სწავლა-განათლების ცენტრის შექმნა სრულ შესაბამისობაში მოდის მაშინდელი რომის პროვინციულ პოლიტიკასთან, ამიტომ აქ ასეთი სკოლის ფუნქციონირება უდავო დადასტურებაა იმისა, რომ, როგორც ანტიკურ სამყაროში ზოგადად და კონკრეტულად რომში, კოლხეთშიც მჭევრმეტყველებას და სამართლებრივ განათლებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლეოდა საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სწავლებასთან ერთად.

მალვა ნუცუბიძე:

მეცნიერი თავის სპეციალურ პედაგოგიურ შრომაში „ნარკვევები პედაგოგიური აზროვნების ისტორიიდან“ ცალკე თავს უძღვნის კოლხეთის უმაღლეს რიტორიკულ სკოლას. ის მსჯელობას გლობალურ საგანმანათლებლო პრობლემაზე კოლხეთის ამ სასწავლო დაწესებულების ტიპის, სავარაუდო პროგრამისა და გეგმის მიმოხილვით იწყებს.

მეცნიერის აზრით, კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა იმავე ტიპისა უნდა ყოფილიყო, როგორც იყვნენ იმ დროის საბერძნეთში მრავალ ადგილას, **და ბერძნების მეოხებით** კოლხეთშიაც დაუფუძნებიათ. მისი თქმით, ტიპი ამ უმაღლესი სასწავლებლისა კოლხეთში ისეთივეა, როგორც მთელ მაშინდელ განათლებულ მსოფლიოში (შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, გვ.335, თბ. 1967წ.).

ჩვენ ამჯერად გვინტერესებს მეცნიერის აზრი ამ სკოლის დაარსებისა და ფუნქციონირების გარემოებათა და სავარაუდო პერიოდის დადგენაზე, რაც მოგვცემს საშუალებას, სწორად განვსაზღვროთ ამ უმაღლესი სასწავლებლის ადგილი და როლი ქართული საგანმანათლებლო კულტურის ახლებურად (ქრისტიანულად) ფორმირების პროცესში.

დიდი მეცნიერი ამ საკითხზე საგანგებოდ ჩერდება. ის წერს: საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს არსებობდა კოლხეთის განათლების ცენტრი, არაა ადვილი გადასაწყვეტი,

რადგან პირდაპირი მითითებანი ამის შესახებ არ მოგვეპოვება. მართალია, საქართველოში თითქოს არ ჰქონდა ადგილი სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც ასეთი ხასიათის უმაღლესი განათლების წინააღმდეგ შეიძლება ყოფილიყო მიმართული, მაგრამ, ამის მიუხედავად, უნდა ვიფიქროთ, რომ კოლხეთის აკადემიას არ გადმოუნევია VI საუკუნის ნახევრის აქეთ. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ბრძოლა ანტიკური განათლების წინააღმდეგ საქართველოშიაც შემოიჭრა. კეისარ იუსტინიანეს მიერ ანტიკური განათლების წინააღმდეგ ბიზანტიის იმპერიაში მიღებულმა ზომებმა შეწყვიტეს ასეთი განათლება როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამ მოსაზრების გასამაგრებლად ავტორს მოჰყავს ედესაში არსებული უმაღლესი განათლების სკოლის მაგალითი, სადაც მუშაობა შეწყდა ჯერ კიდევ 489 წელს, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ იუსტინიანეს განკარგულებით 527 წ. შეწყდა ანტიკური უმაღლესი განათლება თითქმის ყველგან ბიზანტიის იმპერიაში, ე.ი. რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. მეცნიერის მოსაზრებით, ამ პოლიტიკის სუსხმა საქართველოშიც მოაღწია და უნდა ვიფიქროთ, ამ საუკუნის ნახევრის შემდეგ საქართველოშიაც უმაღლესი განათლების ცენტრი ვეღარ იარსებებდა (დასახ. ნაშრ. გვ. 336).

მაშასადამე, ავტორი, ტოვებს რა ღიად კოლხეთის აკადემიის დაარსების საკითხს (ჩვენი აზრით, ძალზე სწორადაც), თითქმის დანამდვილებით მიუთითებს ამ სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტის დროზე და, რაც მთავარია, მის მიზეზებზე. ამასთან არანაკლებ საფუძვლიანი და მნიშვნელოვანია მისი მოსაზრება იმაზე, რომ საქართველოში ყველა მონაცემის მიხედვით დიდხანს დარჩა კვალი უმაღლესი განათლებისა, რომელიც კოლხეთის აკადემიის მეშვეობით იყო გავრცელებული. ის მიუთითებს: თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის შესახებ, რამდენ ხანს არსებობდა თვითონ ეს უმაღლესი სასწავლებელი (ამით დასტურდება ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების სისწორე სკოლის ფუნქციონირების დროის დადგენის თაობაზე), ყოველ შემთხვევაში, იმის საშუალება მაინც გვაქვს, რომ VI საუკუნეში ვივარაუდოთ ამ უმაღლესი სკო-

ლის კურსდამთავრებულთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა (იქვე).

ავტორს, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვს ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი ფაქტები და მოვლენები, თუმცა უმთავრესი მაინც ისაა, რომ მეცნიერი ამ სასწავლებლის ნაკვალევს დიდი ხნის მანძილზე ამჩნევს ქართული განათლების კულტურაში.

ის VII საუკუნის საქართველოს შესახებ წერს: იმდროინდელი ქართული კულტურა ჯერ შინ იქმნებოდა და მნიფდებოდა. ის ჯერ შინაგან მოთხოვნილებას უწევდა ანგარიშს როგორც ჩასახვის, ისე განვითარების თვალსაზრისით. მთავარი არსი ამ მოსაზრებისა ისაა, რომ, ავტორის აზრით, **ეს ტრადიციები არის შედეგი იმ დიდი მემკვიდრეობისა, რომელიც საქართველომ მიიღო IV საუკუნიდან მოყოლებული კოლხეთის აკადემიის საქმიანობის სახით.** მისი შედეგი ის იყო, რომ ამას დაერთო ის დიდი კულტურული მუშაობა, რომელიც ორგანიზებულ იქნა საქართველოს საზღვრებს გარეთ V საუკუნეში პეტრე იბერის ხელმძღვანელობით, რაც ოდნავადაც არ ნიშნავდა იმთავიდანვე სამშობლოსთან კავშირის უქონლობას (შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 363).

ამდენად, ქართული საგანმანათლებლო კულტურის განვითარების ახალი – ქრისტიანული პერიოდი მყარად უკავშირდება კოლხეთის აკადემიის საქმიანობას და ქმნის ერთიან ჯაჭვს გარდამავალი ეპოქისას, სადაც ანტიკური კულტურიდან ქრისტიანულში გადასვლა ხდება მწვავე მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების პროცესში და აყალიბებს სწავლა-განათლების ახლებურ ტრადიციებს.

ნოდარ ლომოური:

მეცნიერი კოლხეთის უმაღლესი სასწავლო ცენტრის დაარსებაზე მიუთითებს, რომ თემისტიოსის სიტყვა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს რიტორიკული სკოლა არსებობდა IV ს. შუა წლებზე გაცილებით ადრე. თემისტიოსი დაბადებულია 317 წელს და 345 წელს უკვე მასწავლებლად ყოფილა კონსტანტინოპოლში. მამასადამე, ფაზისის სკოლაში მას 30-40 წწ. უნდა ესწავლა, ხოლო რაკი ამ სასწავლებელში მიუღია განათლება თემისტიოსის მამასაც, მაშინ იგი IV საუკუნის დასაწყისში უკვე მოქმედებდა და იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ

აქ სხვა ქვეყნებიდან, კერძოდ ბიზანტიიდან, ჩამოდიოდნენ სასწავლებლად. ამდენად, ეს სკოლა III საუკუნის მეორე ნახევარში მაინც უნდა ყოფილიყო დაარსებული და მიუთითებს შ. ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორიაზე“ (ტ. I), რაც იმის დასტურია, რომ კოლხეთის რიტორიკული სკოლის დაარსების დროდ ორივე მეცნიერი მიიჩნევს მესამე საუკუნის შუა პერიოდს მაინც. ხოლო, როგორც ნუცუბიძესთან ვნახეთ, მისი დახურვის დროდ მიჩნეულია VI საუკუნის შუა ხანა; ე.ი. ამ უმაღლესი სარიტორო-საფილოსოფოსო სასწავლებლის ფუნქციონირების ხანგრძლივობა თითქმის 300 წელს მოიცავს. 3-საუკუნოვანი პერიოდი ასეთი უმაღლესი დონის საგანმანათლებლო ინსტიტუტის არსებობისა სრულიად საკმარისი იქნებოდა ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი ტრადიციების ფორმირებისთვის, როგორც ამაზე მიუთითებს შ. ნუცუბიძე.

ამ ახალი, ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი ტრადიციების გამარჯვების შედეგი იყო თვითონ ამ სასწავლებლის დახურვა. ამიტომ სავსებით მისაღებია ნ. ლომოურის მოსაზრება იმაზე, რომ „ფაზისის აკადემია აშკარა მონიშნა დასავლეთ საქართველოში ამ დროს ფილოსოფიური აზროვნებისა და რიტორიკული ხელოვნების მაღალი კულტურის არსებობისა. ამას ადასტურებს თვით თემისტიოსიც, როცა ამბობს, რომ მის დროს ის მხარე... იყო „ელინური ადგილი“ და „მუზების ტაძარი“ (დასახ. ნაშრ. გვ. 111). მამასადამე, მეცნიერის აზრით, ეს უმაღლესი სკოლა კოლხეთში დაარსებულა III საუკუნის შუა წლებში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ დროისთვის კოლხ-იბერული საზოგადოება თავისი კულტურის განვითარების დონით სრულად შეესაბამებოდა ელინური (დასავლური) ცივილიზაციის დონეს, ამიტომაცაა ის „ელინური ადგილი“ და „მუზების ტაძარი“ და არა იმიტომ რომ აქ ელინთა სიმრავლეა და ეს სასწავლებელი მათთვისაა დაფუძნებული.

ზემოთქმულის მიხედვით, საყურადღებოა ნ. ლომოურის მითითება ამ ძველი კულტურის კავშირზე ახალ ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან, რასაც საბოლოოდ შეენირა ეს აკადემია. ის წერს: როდესაც კოლხეთის აღნიშნული ხანის კულტურაზე ვლაპარაკობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას,

რომ თუმცა IV საუკუნისთვის ეგრისში ყვავის ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი კერა და, მასასადამე, აქ ჯერ კიდევ ძლიერია წარმართული ფილოსოფიური კულტურა, ამავე დროს IV საუკუნეში ეგრისში საკმაოდ ფეხმოკიდებული და გაბატონებულიც კი ჩანს ქრისტიანობა (დასახ. ნაშრ. გვ. 112), კოლხეთში ამ ორი იდეოლოგიის ბრძოლის ეპიცენტრად წარმოგვიდგენია ეს სასწავლებელი (მით უმეტეს, ქრისტიანულ ეკლესიათა ნაკლებობის პერიოდში) და სწორედ ამ ბრძოლას უნდა შესწირვოდა ეს სკოლა.

შალვა ხიდაშელი:

ფაზისის ახლოს მდებარე სასწავლო ცენტრის თაობაზე საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში“ (ტ. I, თბ. 1996 წ.). ქართული ფილოსოფიური აზრის ანტიკური პერიოდის შესახებ თავის ავტორი შ. ხიდაშელი წერს: კოლხეთის სკოლა აღმოსავლეთ რომის იმპერიის სკოლების ანალოგიურია. მისთვის დამახასიათებელია ანტიკური ხანის შემდგომი პერიოდის ფილოსოფიური აზრის თავისებურებანი. ეს პერიოდი მრავალ საუკუნეს მოიცავს ფილოსოფიის ისტორიაში და გრძელდება ქრისტიანობის ხანაშიც (დასახ. ნაშრ. გვ. 18). მასასადამე, ავტორის შეხედულებით, კოლხეთის სკოლა წარმოადგენდა რიტორიკული და ფილოსოფიური აზრის განვითარების კერას. მისი თქმით, IV საუკუნეში მთელ იმპერიაში და საქართველოშიც ხდება განსხვავებულ კულტურათა – ანტიკურისა და ქრისტიანულის შეჯვარება (იქვე, გვ. 19). შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის აკადემიური სკოლა წარმოადგენდა ასეთი შეჯვარების ერთ-ერთ ლაბორატორიას კოლხ-იბერულ სივრცეში, თუმცა ამაზე თავის დროზე მოგვიწევს მსჯელობა. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა მეცნიერის მოსაზრება ამ მრავალგვაროვანი პროფილისა და შინაარსის მატარებელი სკოლის დაფუძნებისა და ფუნქციონირების ხანგრძლივობაზე.

შ. ხიდაშელის თქმით, თემისტოქოსის სიტყვაში მოცემული ისტორიული და გეოგრაფიული რეალიების მიხედვით, ამ სკოლის ლოკალიზაცია უკავშირდება კოლხეთს, უფრო კონკრეტულად, თანამედროვე ქ.ფოთის მიდამოებს. ივ. ჯავახიშვილზე დაყრდნობით ის

აღნიშნავს, რომ თავად თემისტოქოსის სიტყვები IV საუკუნის კოლხეთსა და მისი მოსახლეობის კულტურულ დონეს ეხება. ნამდვილად, კოლხეთის საზოგადოების კულტურული დონე ადრევე უნდა ყოფილიყო მაღალი (იქვე, გვ.21).

ეს მოსაზრება იმის ირიბ დადასტურებად შეიძლება მივიღოთ, რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, კოლხეთში ასეთი მაღალი დონის სასწავლო ცენტრის შექმნისთვის ნიადაგი IV საუკუნემდე კარგა ხნით ადრე ყოფილა მომზადებული. შესაბამისად, ეს სკოლა, უდავოდ, იმაზე ადრე არსებობდა, ვიდრე აქ ევგენიოსი კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიდოდა და თავის „განთქმულ ფილოსოფიურ ცოდნას“ შეიძენდა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ავტორის მითითებას იმაზე, რომ ამ სკოლაში რიტორიკული განათლების მიღება ავტომატურად არ გულისხმობს ფილოსოფიაში განსწავლულობას. ის წერს: „ნათელი ხდება, რომ ეს სკოლა მხოლოდ რიტორიკული განათლების ცენტრი არ იყო და იქ ფილოსოფიას ეჭირა დიდი ადგილი“... (ევგენიოსის) „თავისი განთქმული ფილოსოფიაც სწორედ აქ შეუძენია“ (იქვე, გვ. 21).

ამდენად, ავტორი განაცალკევებს განათლების ამ ორ სფეროს: რიტორიკასა და ფილოსოფიას, რაც, უდავოდ, სწორია ამ სკოლის დანიშნულების მიზნისა და ამოცანის დასადგენად.

დღევანდელი გაგებით, ამ სასწავლო დაწესებულებაში არსებულა განათლების ორი მიმართულება: რიტორიკული და ფილოსოფიური. ეს სკოლა, თუკი უმაღლესი სასწავლებლის სახელდებიდან ამოვალთ, თავდაპირველად მხოლოდ რიტორიკული განათლების მიღებისთვის უნდა ყოფილიყო გათვლილი. ე.ი წმინდა პრაქტიკული დანიშნულებით შექმნილი, როგორც ეს იმპერიის სხვა პროვინციებშიც ხდებოდა. თუ გავითვალისწინებთ ახალი ერის I-II საუკუნეებში აღმოსავლეთის პროვინციებში და, კონკრეტულად, ამიერკავკასიაში მიმდინარე რთულ პროცესებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ რომაული ტიპის სასწავლო ცენტრის შექმნის მიზანი უნდა ყოფილიყო „ახალი წესრიგის“ შესაბამისი კადრების მომზადება მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონისთვის. ამიტომ თემისტოქოსის ნათქვამი „კოლხეთისა და არმენიელების ქვეყანაზე“ **ამ სასწავლებლის**

ადგილმდებარეობის მითითებად კი არ უნდა მივიღოთ, არამედ ის მინიშნებაა ამ სასწავლებლის ფართო რეგიონალურ მასშტაბზე და მის დანიშნულებაზე – რიტორიკულად (იურიდიულად) განსწავლული კადრებით ამ ვრცელი რეგიონის უზრუნველყოფაზე. ამ გაგებით, ასევე კონკრეტულ მითითებად უნდა მივიღოთ სასწავლებლის ელინურ კულტურაზე – ელინიზებაზე (მუზეების ტაძრად გადაქცევაზე) აქცენტის გაკეთება, რაც უნდა გულისხმობდეს დროთა განმავლობაში ამ რიტორიკული სკოლის პროფილის გაფართოებას და იქ ფილოსოფიური განათლების მიმართულების დანერგვას, რაც, უდავოდ, განპირობებული იქნებოდა იმპერიაში მიმდინარე მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენით – ქრისტიანობის ღია არენაზე გამოსვლით და დომინანტური პოზიციების დაკავებით იმპერიის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს კი უკავშირდებოდა ანტიკურ – წარმართულ რელიგიებთან და კულტურებთან მის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომლის ერთ-ერთი ასპარეზი იქნებოდა უკვე იმპერიის მასშტაბით ცნობილი ეს რიტორიკული სკოლა.

შ. ხიდაშელი საგანგებოდ ჩერდება ამ სკოლის დაარსებისა და მისი ფუნქციონირების შეწყვეტის საკითხზე და აღნიშნავს: ამ სკოლის დაარსებისა და არსებობის შეწყვეტის დროის შესახებ პირდაპირი ცნობები არ არსებობს, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საფუძველი მოიპოვება. ის თვლის, რადგან ამ სკოლაში თემისტოქოსის მამას უსწავლია, მაშინ, თუ III საუკუნის ბოლოს არა, IV საუკუნის დასაწყისში ეს სკოლა უკვე უნდა არსებულებოდა. საერთოდ, მოგვეპოვება ცნობები იმაზე, რომ VI საუკუნეში კოლხეთში რიტორიკული ხელოვნება მაღალ დონეზე იმყოფებოდა, რაც კოლხეთის სკოლის არსებობით უნდა აიხსნას. საბოლოოდ, საფიქრებელია, რომ კოლხეთის სკოლა უნდა გაუქმებულიყო იუსტინიანეს 529 წლის ედიქტის შემდეგ, რომელიც ასეთი სკოლების არსებობის წინააღმდეგ იყო მიმართული მთელ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში (დასახ. ნაშრ. გვ. 21-22).

კოლხეთის სკოლის როლი, თუნდაც IV საუკუნიდან მაინც, სრულიად შეესაბამებოდა მაშინ მთელ იმპერიაში არსებულ მთელ განათლების სისტემას, თუ გავითვალისწინებთ

ზოგიერთ ეტაპებს, როგორც თემისტოქოსის სიტყვიდან ჩანს, კიდევაც აღემატებოდა მათ რაღაც დეტალებში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ სკოლებში და, რა თქმა უნდა, კოლხეთის სკოლაშიც, სწავლა-განათლებას ლებულობდნენ არა მხოლოდ იმპერიის მომავალი მოხელეები, რისთვისაც ეს სკოლა დაარსდა, არამედ ქრისტიანული ეკლესიის მომავალი გამოჩენილი მოღვაწეებიც. ამგვარი სკოლების მასწავლებელი იყო ფაზისის სკოლის კურსდამთავრებული თემისტოქოსიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს უმაღლესი განათლების ცენტრი IV საუკუნის იმპერიის საგანმანათლებლო სისტემის წარმმართველ დაწესებულებათა რიცხვში შედიოდა.

თემისტოქოსი თვითონვე განსაზღვრავს ამ სკოლაში სწავლების ორი მიმართულების არსებობას, როცა ამბობს თავის თავზე, რომ მან „რიტორიკის ნაყოფი“ ამ სკოლაში „მონყვიტა“, ხოლო ევგენიოსს იქვე შეუძენია „თავისი განთქმული ფილოსოფია“. მგონი, ეს ცნობა არ ტოვებს იმაში ეჭვის შეტანის საფუძველს, რომ ფაზისის ახლომდებარე ამ უმაღლეს სკოლაში რიტორიკული ცოდნისა და საფილოსოფოსო განათლების მიღება პარალელურად მიმდინარეობდა. ასე რომ, მათი გაიგივება შეცდომა იქნებოდა. დღევანდელი გაგებით, აქ საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, იურიდიულ-სამართლებრივ და საგრამატიკო მიმართულებასთან, რასაც მოიცავდა რიტორიკული სწავლება, და მეორე – ფილოსოფიურ-აკადემიურთან, რომელშიც შედიოდა ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო სწავლება, რაც განსაზღვრავდა ამ სკოლის პრაქტიკულ დანიშნულებასა და მის შინაარსს, რაზედაც ჩვენ მსჯელობა გვექნება შემდეგ ნომერში.

ვლ. გაგუა, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:

კოლხეთის სარიტორო სკოლისადმი მიძღვნილ წერილში „კოლხეთის (ფაზისის) აკადემია“, რომელიც გამოქვეყნებულია კრებულში „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“ (ტ. I, თბ. 1997 წ.), ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ კოლხეთის აკადემია პირველი უმაღლესი სასწავლებელი ყოფილა სსრკ-ს მთელ ტერიტორიაზე, რომელიც დაფიქსირებულია დიდ საბჭოთა და პედაგოგიურ

ენციკლოპედიებში. ეს მოცემულობა შეიძლება კიდევ ერთ ირიბ დადასტურებად მივიღოთ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებისა, რომ **კოლხეთის სარიტორო სკოლა შექმნილი იყო რომის პროვინციული პოლიტიკის მოთხოვნათა შესაბამისად და რეგიონალური მასშტაბის უმაღლეს სარიტორო – სამართლებრივ (იურიდიულ) და საგრამატიკო დანესებულებას წარმოადგენდა, რომელიც შეიქმნა უკვე არსებულ სამხედრო-საზღვაო სასწავლებელთა ბაზაზე.**

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ასევე წერილში, შ. ხიდაშელზე მითითებით, გამოთქმული მოსაზრება, რომ „III-V სს. დიდი ყურადღება ექცევა სწავლა-განათლების გაფართოებას, არსდება ახალი სკოლები (გარდაიქმნება ძველები, როგორც თემისტიოსი ამბობს, „გახადეს“, „აქციეს“, ესე იგი, უკვე არსებული. – მ.ზ.)... მათში ლებულობდნენ განათლებას ქრისტიანობის მომავალი მოღვაწენი“ (მითითება, შ. ხიდაშელი, ფილოსოფიის ისტორია, გვ. 37-38). წერილის ავტორი ასევე იმონებებს გერმანელ მეცნიერებს შტელინსა და ვილდეიმს, რომლებიც ფაზისის აკადემიის არსებობას უდავოდ მიიჩნევენ.

კოლხეთში სწავლა-აღზრდის მაღალი დონის დასტურად ის თემისტიოსის ცნობას მიიჩნევს და ეთანხმება ამ ცნობის ნუცუბიძისეულ ინტერპრეტაციას, რომ თემისტიოსი ამ სკოლას საბერძნეთისა და ბიზანტიის სასწავლებლებზე უფრო მაღლა აყენებს. ამ მოსაზრების სანდოობის დასადასტურებლად გამოთქვამს ლოგიკურად სწორ მოსაზრებას იმაზე, რომ „ცნობის მომწოდებელი სრულიად გარეშე პირია, რომელიც ოდნავადაც არაა დაინტერესებული კოლხეთის კულტურის განდიდებაში... ეს წერილი (სიტყვა. – მ.ზ.) სანდო წყაროა კოლხიდიისა და მისი აკადემიის საქმიანობის გასაშუქებლად IV საუკუნეში“ (დასახ. სტატია). ამ უმაღლესი სკოლის დაარსების დროდ ავტორი, იმავე თემისტიოსის ცნობიდან გამომდინარე, მიიჩნევს III საუკუნის მეორე ნახევარს, ვინაიდან, ამ ინფორმაციით, III ს. 70-80-იან წლებში უსწავლია ევგენიოსს. ამასთან ყურადღებას ამახვილებს იმავე წყაროს მითითებაზე, რომ ერთი კაცის სიბრძნემ გახადაო ეს პირქუში მხარე ელინური მუზეუმის ტაძრად. ის მსჯელობს იმაზე, თუ ვინაა ეს „ერთი კაცი“ – მამა, ევგენიოსი,

თუ სხვა ვინმე... და, რა თქმა უნდა, როგორც სხვებთან, აქაც საკითხი ღიად რჩება, მაგრამ იქვე მოჰყავს შ. ნუცუბიძის ცნობა, რომ თუ „ერთი კაცია, ის ქართველი იქნებოდაო“, რაც წერილის ავტორის მოსაზრებადაც შეიძლება აღვიქვათ.

ამდენად, პედაგოგიური აკადემიის ამ კრებულში დაბეჭდილი ეს წერილი და ალბათ სხვა მრავალიც, წარმოაჩენენ XX საუკუნის ბოლო მეოთხედის, შესაბამისად, დამოუკიდებელი საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებაში მიღებულ მოსაზრებებს კოლხეთის უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის შესახებ. რა თქმა უნდა, ისინი ამოდიან ჩვენ მიერ ზემოთ დამონმებულ დიდ ფილოლოგ-ლიტერატორთა თუ ისტორიკოს-მკვლევართა ნააზრევებიდან. მათი შეხედულება ამ საკითხისადმი, როგორც სპეციალისტებისა, პედაგოგ-მეცნიერებისა, რა თქმა უნდა, სპეციფიკურია და საყურადღებო. მთავარი მაინც ისაა, რომ სწავლა-აღზრდის კულტურის ისტორიული განვითარების პროცესში ფაზისის სკოლის საქმიანობა არ მიაჩნიათ კონკრეტულ სპეციფიკურ და იზოლირებულ მოვლენად, არამედ მას მიიჩნევენ ამ ძველთაძველი ტრადიციებიდან მომდინარე უწყვეტი პროცესის გაგრძელებად, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე წარმოგვიდგენია. ამიტომ უფლებამოსილი ვართ განვაცხადოთ, რომ **კოლხეთის აკადემია, რომლის ფუნქციონირების ხანგრძლივობაც, ყველა ზემოთ მოყვანილი შეხედულების გათვალისწინებით, გრძელდებოდა III საუკუნის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული VI საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც, ე.ი. მთელი 300 წელი, წარმოადგენდა ძველი წარმართული (ანტიკური) კულტურიდან ქრისტიანულში გარდამავალი ტიპის უმაღლეს სასწავლო დანესებულებას, რომლის ევოლუციონირების კვალობაზეც ქართული საგანმანათლებლო კულტურა გახდა სრულფასოვანი შემადგენელი ნაწილი ქრისტიანული სამყაროს სარიტორო-საგანმანათლებლო და საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო (სალიტერატურო) კულტურისა.**

ასეთია ჩვენში ძირითადში ჩამოყალიბებული მოსაზრება ამ უმაღლესი სკოლის დაარსებისა და მისი ფუნქციონირების დროის ხანგრძლივობის თაობაზე. ამასთან უნდა ითქვას: თემისტიოსის ცნობა და მისი კომენტარები,

თანამედროვე კვლევები, ორ ერთა მიჯნაზე მომხდარი ძვრები და ახალი ერის პირველი საუკუნეების ისტორიული პროცესების ანალიზი ამ საკითხის უფრო ფართო ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.

კოლხეთის უმაღლესი სასწავლო ცენტრის ფორმირება არ მომხდარა სათანადოდ შემზადებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული პირობების გარეშე. კონკრეტულად, მისი დაარსება შედეგი უნდა იყოს კოლხეთის პონტოს სისტემაში მოქცევის შემდეგ მიმდინარე პროცესებისა, რომელიც დასრულდა რომის მსოფლიო იმპერიის შექმნით და ახალი გლობალური წესრიგის დამყარებით. ამ გლობალურ წესრიგს თან სდევდა კულტურის განვითარების და, მათ შორის, სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის ახლებურად, იმპერიის პროვინციულ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ პროცესების მონაწილე იყო პონტოს დიოცეზის შემადგენლობაში მყოფი კოლხეთი და, რა თქმა უნდა, „რომის მეგობრად“ გამოცხადებული იბერიის სამეფო. ამ ისტორიული პროცესების გაუთვალისწინებლად კოლხეთის აკადემიის დაარსებისა და მის ასეთ მაღალ საგანმანათლებლო-კულტურულ დონეზე ფუნქციონირების მიზმა ძველ ელინურ კულტურასთან ოდითგანვე არსებულ კავშირთან, რა თქმა უნდა, რამდენადმე დაგვაშორებდა რეალობას.

ამასთან, რა თქმა უნდა, ანტიკურობასთან ეს უძველესი კულტურული კავშირები განსაზღვრავდა იმ კულტურულ-სააზროვნო პოტენციალს, რომელიც არსებობდა კოლხ-იბერულ საზოგადოებაში და იძლეოდა შესაძლებლობას ასეთი საერთაშორისო საისტორიო-საფილოსოფოსო განათლების კერის შექმნისა.

მაშასადამე, კოლხ-იბერული საზოგადოების „გონებრივი ჰორიზონტი“ და სააზროვნო-

ნო-შემეცნებითი სისტემა სრულ მზადყოფნაში დახვდა „ახალი წესრიგის“ კულტურულ მოთხოვნილებებს, რომლის გამოხატულებას წარმოადგენდა ეს უმაღლესი სარიტორო სკოლა და მისგან მომდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო ძვრები, რაც, მიუხედავად არაბობიდან და დიდი თურქობიდან მომდინარე პროცესებისა, დაგვირგვინდა უდიდესი კულტურული ნახტომით – **ქართული ნეოპლატონიზმით და რენესანსით.**

ქართული სააზროვნო კულტურის ასეთი შემზადება ქრისტიანული ცივილიზაციის ფორმირების პროცესისთვის იმის თქმის საშუალებას აძლევდა დიდ მეცნიერს შ. ნუცუბიძეს, რომ „**კაცობრიობის კულტურათა საგანძურში** ქართულმა ფილოსოფიამ უნდა პოვოს მისთვის შესაფერისი გამოხატულება“ (ქართ. ფილ. აზრის ისტორია, ტ. I, გვ. 8).

თამამად შეიძლება იგივე ითქვას ქართული სწავლა-აღზრდის კულტურაზე.

ამდენად, ქართული საგანმანათლებლო და სალიტერატურო კულტურა ქრისტიანული რელიგიისა და ცივილიზაციის დამკვიდრებისა და გაბატონებისათვის ბრძოლის თეატრის სრულყოფილებიანი აქტორია. უდავოდ, მასშტაბურია მისი როლი „რენესანსული მსოფლმხედველობისა და რენესანსული ჰუმანიზმის ფორმირებაში“. ამაზე უფრო დანვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ამჯერად კი ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ რომის იმპერიაში არსებული სარიტორო სკოლების თავისებურებებსა და მათ როლზე იმპერატორთა რომის სისტემაში, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა სწორედ კოლხეთის რიტორიკულ სკოლას; შესაბამისად, შევეცდებით, მკითხველს შევთავაზოთ ამ სასწავლო ცენტრის დაარსების დროისა და მისი დანიშნულების ჩვენეული ჰიპოთეზა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



სულიერი კულტურის ფილოსოფიური ნიალი...

(მიტროპოლიტ გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) მონოგრაფიის მიდევნებით)

რელიგიის, ეკლესიის ისტორიის, ფილოსოფიისა და კულტურის სულისმიერ პრობლემებზე ღრმა, მეცნიერული ხასიათის წიგნებითა და ლიტერატურით ქართულენოვანი სივრცე მაინცადაამინც განებივრებული არაა. ჩვენთან ხშირად საუბრობენ და მსჯელობენ იმ საკითხებზე, რომელნიც შორსაა ცხოვრებისეული საზრისის ძიებისგან, არადა სწორედ ამ მიმართულებითაა შესავსები არსებული სიცარიელე მეცნიერული კვლევებისა. ქართველ ფილოსოფოსთაგან რელიგიურ-ფილოსოფიური ნააზრების სიღრმისეული კვლევა-ძიების მაგალითად, ჩვენი დიდი საეკლესიო და საერო მოაზროვნეების გვერდით, მუდამ განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა ფილოსოფოსი და თეოლოგი იონა ხელაშვილი (1778-1837 წწ.) თუმცა ქართული ფილოსოფიის ისტორიაში, ცალკეულ უმნიშვნელო გამონათებებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, რადგანაც ის გახლდათ შერისხული და შერაცხული „რეაქციულ მოაზროვნედ“, რაც გახდა საფუძველი ამ დიდებული პიროვნების სამეცნიერო ნაშრომების, როგორც დაბეჭდილის, ისე გამოუქვეყნებელის, უყურადღებოდ და, თამამად შეიძლება ითქვას, უპატრონოდ დარჩენისა. მაგრამ უფლის ნებითა და განსაზღვრულობით გამოჩნდა მაღალცნობიერი მეცნიერი – მისი მაღალუსამღვდელოესობის, ხობისა და ფოთის მიტროპოლიტ მეუფე გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) სახით, რომელმაც პატივი დასდო როგორც იონა ხელაშვილს, ისე ქართულ ფილოსოფიურ სკოლას და აბსოლუტურად ახლებური გააზრებითა და მეცნიერული ხედვებით წარმოგვიდგინა ამ უმნიშვნელოვანესი მოღვაწის მთელი ნაშრომნაღვანის მეცნიერული ანალიზი.

ნაშრომი სამეცნიერო ხედვასთან ერთად გამოხატავს ავტორის ინდივიდუალურ მიდგომასა და პოზიციას საკვლევი თემისადმი, რაც ყველა შემთხვევაში მიუთითებს მისი მაღალუსამღვდელოესობის ფენომენოლოგიურ ხედვაზე. საეკლესიო პირის მსგავსი განაცხადი

ჩემში ანალოგიას იწვევს შემოქმედის ნაბიჯთან, როცა მან ქრისტეს დაბადებით შეაღო კარიბჭე დახურული ადამიანური სამყაროსი და მოითვალმზერა თავისივე შექმნილი ცოდვა-მადლიანი სივრცითი ადამიანური გადმოსახედიდან, ღმერთ-ადამიანის – იესოს თვალთ, რამაც ქვეყანას შესძინა რეალობის მაღალი ღირებულება და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ღმერთი არ არის მხოლოდლა გარეშე ძალა და მომენტი სამყაროსთვის, არამედ ის არის შინაგანი სისავსეც – სიყვარულის ძალისხმევით, მისი აბსოლუტურად განცდის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ დრამატული დასასრულისა და ტანჯვის გარეშე ის ვერ აღწევს ღვთაებრივი მიზნის აცამალლებას. „მე მივსცენ მათ სიტყუანნი შენნი და სოფელმან მოიძულა იგინი, რამეთუ არა არიან სოფლისა ამისგანნი, ვითარცა მე არა ვარ სოფლისა ამისგანი“ (იოან. 17, 14) – ეს სიტყვები, მამისადმი აღვლენილი, „ნამოსცდება“ მაცხოვარს თავისი მინიერი ცხოვრების ყველაზე რთულ და ტკივილიან ჟამს, რაც მიუთითებს სწორედ მისი მოღვაწეობისა და ღვთაებრივი იდეის დრამატულ საფუძველზე.

ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმართების ამ დონეზე აღქმა და ასეთ დიდებულ მონოგრაფიულ ნაშრომად წარმოდგენა, ინტელექტუალიზმთან ერთად, დამსახურება გახლავთ იმისიც, რომ მეუფე გრიგოლი უფრო მეტადაა ნაწილი ქრისტეს ნამებული სხეულისა, ვიდრე ჩვენ, მისი სულიერი შვილები. ამიტომაც შეძლო ასე მაღალმეცნიერული და სულიერი სიფაქიზის უმაღლესობით მივიწყებული და მტვერგადადებული დიდებული მოღვაწისა და მოაზროვნის მეცნიერული აღქმა და გაცოცხლება.

იონა ხელაშვილმა ერთმანეთს დაუკავშირა ფილოსოფიური თეოლოგიისა და ქრისტიანული აზროვნების უმნიშვნელოვანესი მიმართებები, რაც იშვიათი გამონაკლისი გახლდათ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. ასევე საყურადღებოა მისი კომენტარების მნიშვნელობა ლაიბნიც-კლარკის მიმონერაზე, რამეთუ

ეს გახლავთ ევროპული აზროვნებისა და შემეცნების ჩვენეული გააზრება და კიდევ ერთი, ქართველთა ევროპისკენ ლტოლვის ოდინდელი ნათელი მაგალითი.

* * *

ამ დიდებული მონოგრაფიიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ფილოსოფია, პირველყოვლისა, იდეებისა და შეხედულებების აზროვნებითი სისტემაა სამყაროზე და ამ სამყაროში მოღვაწე ადამიანებზე. მისი აზროვნებითი და კვლევითი პრინციპი მოიცავს ადამიანის სამყაროსთან შემეცნებითი, სოციალურ-პოლიტიკური, ეთიკური და ესთეტიკური ურთიერთობებით გამოკვეთილ კავშირებს, რომელიც პრობლემათა გადასაჭრელად იყენებს აბსოლუტურად ურთიერთსაინანაღმდეგო მიმართულებებს: დიალექტიკასა და მეტაფიზიკას, ემპირიზმსა და რაციონალიზმს, ნატურალიზმსა და სპირიტუალიზმს, მატერიალიზმსა და იდეალიზმს და სხვ. რაც შეეხება მეტაფიზიკას, ის, როგორც იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, დიალექტიკისგან განსხვავებით, ცდისმიღმურ მოვლენებს (ღმერთი, სული, სამოთხე, ჯოჯოხეთი და ა.შ.) განიხილავს დამოუკიდებლად, როგორც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულთ, შინაგანი წინააღმდეგობის კატეგორიულად უარყოფითა და ცალკეულობით.

ქრისტე სულიწმიდაშია გაგრძელებული და სამყაროს ეკლესიისა და მორწმუნეების მეშვეობით ფლობს. ეკლესია, როგორც ღვთისა და ადამიანის სულიერი და გონებრივი ერთობლიობის სამყოფლო, გახლავთ სამყაროს ონტოლოგიური აღქმის სივრცე, სადაც ადამიანების ერთარსობა და უფლისმიერება სიყვარულით ერთიანდება წმინდა სამების სახეში. ეკლესია დინამიური ბუნების განსახიერებაა და ყოველი ჭეშმარიტი მორწმუნე გახლავთ წვერი ეკლესიისა, ქრისტეს თვისებისა და ღმრთეობის განსახიერება, რაც თვალნათლივ გვარწმუნებს ჰიპოსტაზის გარდაუვალობაში: ადამიანში წარმოშობილი ყოველი ჭეშმარიტება გაგრძელება და ანარეკლია ღვთაებრივი ცნობიერებისა. უფალში არსებული ყოფიერების სისავსე ასევე განიფინება მისავე ქმნილშიც.

მეუფე გრიგოლი გვაუწყებს იონა ხელაშ-

ვილის ნაყოფიერ საეკლესიო მწერლობაზე, ნაშრომთა კლასიფიცირებით გვისახელებს მონოგრაფიებს, სხვადასხვა რელიგიური ხასიათისა და შინაარსის სახელმძღვანელოებს, სწავლა- მოძღვრებით საუბრებს, მემუარებსა და ეპისტოლეებს. მკვლევარი, გამომდინარე იქიდან, რომ ავტორის ინტელექტუალური და პიროვნული თვისებები თავს იჩენს მის შემოქმედებაში, მეტაფიზიკური და თეოლოგიური მიმართებებით, საჭიროდ მიიჩნევს იონა ხელაშვილის სრული შემოქმედების დეტალიზაციას და ჯგუფებისა და თავების მიხედვით ცალ-ცალკე განხილვას.

ლიტერატურული ნაშრომები წიგნში დაჯგუფებულია შემდეგი მიმდინარეობით:

1. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მონოგრაფიები და დოგმატურ-პოლემიკური ნაშრომები;
2. სასწავლო – დოგმატური წიგნები(სახელმძღვანელოები);
3. ეგზეგეტიკური (განმარტებითი) ნაშრომები;
4. სამოძღვრო მიძღვნილი ნაშრომები;
5. ქადაგებანი;
6. გოდებანი;
7. ავტობიოგრაფიული ნაწერები;
8. წერილები.

მკვლევარი უღრმავდება თითოეულ საკითხს და მეცნიერული სიზუსტით წარმოგვიდგენს როგორც გაშლილად, ისე ერთსახედ, ერთ შინაგან მონუმენტურ სისავსედ, სწორედ ამაშია მონოგრაფიის უნიკალურობა და მეცნიერული მნიშვნელობის მაღალი ხარისხი. ასეთი შეხედულებითა და მიზანმიმართებით, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ და დოგმატურ-პოლემიკურ ნაშრომთა ჯგუფი წარმოდგენილია შემდეგი წიგნებით:

1. ღმრთისმეტყველების სამნაწილედ;
2. მეფის ძის იოანეს ოცდაათობმეტი შეკითხვის წიგნი,
3. ქრისტეს მოყუარის მხედრობის განსამხნობელი წიგნი;
4. სულიერი იფქლი;
5. უხრწნელი საზრდელი;

6. ათი მცნებისა და ცხრა ნეტარების ნიგნი.

თითოეული მათგანი მეცნიერს ასევე განხილული და წარმოდგენილი აქვს ცალ-ცალკე, მის მახვილ მზერასა და მკვლევრის ალღოს არ გამორჩება თითქოსდა უმნიშვნელო წვრილმანიც კი, აი, თუნდაც ასეთი მინიშნება: „დამახასიათებელია, რომ სქოლიოების ბოლოში, თითქმის ყველგან ავტორის სახელი „იონა“ არის მინერილი. ეს გვაფიქრებინებს, რომ ღმრთისმეტყველება სამნაწილედ იონას ორიგინალური ნაშრომი არ უნდა იყოს, არამედ თარგმნილია რუსულიდან, ხოლო შენიშვნები (სქოლიოები) თვით იონას მინერილია...“ – მსგავსი მეცნიერული სინტაქსითა და კეთილსინდისიერებით უდგება მეცნიერი ფაქტობრივ მოცემულობას და მოზომილი, მრავალთავის შესაშური „შთაბეჭდილებებით“ ასაბუთებს საკუთარ აზრსა და მიდგომას.

ასევე ამომწურავადაა განხილული „მეფის ძის იონას ოცდაათობეტი შეკითხვის ნიგნი“, მკვლევრის განცხადებით, ეს გახლავთ ფუნდამენტური ფილოსოფიური ნაშრომი, რომელიც თავისი ღირებულებით „სამნაწილედ ღვთისმეტყველებაზე“ მაღლა დგას და, კითხვა-პასუხის ფორმით შედგენილი, შეიცავს 34 თავს. განსაკუთრებულად დაწვრილებითაა განხილული მე-3, მე-4, მე-5, მე-6 თავები.

თემით დაინტერესულნი იხილავენ თავს: „ჭეშმარიტების პრობლემა და შემეცნების პროცესის აღწერა“, მეუფე გრიგოლი ამის თაობაზე გვაუწყებს: „ოცდაათობეტი შეკითხვის ნიგნის“ მეოთხე თავში ხელაშვილი შემეცნების საკითხებს აანალიზებს, კერძოდ, იგი ერთმანეთისგან განასხვავებს „ცნობას“, „ზედმინენილებას“, „გულისხმისყოფას“. ცნობა ზედაპირული მიმოხილვაა, რომელიც არსებულთა შესახებ პირველადი სახის ინფორმაციის ფლობას აღნიშნავს, მაგალითად, ადამიანებს აქვთ ცოდნა ოთხი ელემენტის შესახებ: ცეცხლს ისინი წვის მეშვეობით აღიქვამენ, ჰაერს – სუნთქვით, წყალს – სიგრილით და – მიწას სიმყარით. ასევე ხელოვანებმა და ხელოსნებმა თითოეულმა თავისი საქმე იცის, თუმცა, ფილოსოფიურად განსწავლულად არ ითვლებიან, იმიტომ რომ ზეპირად იციან საგანთა გარეგანი თვისებანი.“

მკვლევარს ასევე განხილული აქვს ხელაშვილის მიერ გამოყოფილი „ცნობის“ შვიდი სახე. საინტერესოა სუბიექტის თვითშემეცნების უნარის იონასეული დაკვირვება, „საკუთარი თავის შემეცნებელი ინდივიდი სვამს შემდეგ კითხვას: თუ ჩემით ვარსებობ ანუ ჩემი ორგანიზმი თვითკმარი და ავტონომიური სისტემაა, მაშინ რატომ ვიცვლები? ინდივიდი აკვირდება სხვა ადამიანებს, რომლებიც მის მსგავსად მოძრაობენ და ასკვნის, რომ იგი (და არც თავად ეს ადამიანები) არ არის ამ მოძრაობის გამომწვევი მიზეზი.“ ამით, მკვლევრის აზრით, ხელაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყოველ ორგანიზმში არის დაუშლელი, ცოცხალი, უძრავი სუბსტანცია, რომელიც საყოველთაოა და არა აქვს ფიზიკური მოძრაობა, არამედ თავად არსია მაცოცხლებელი, რომელიც ასევე აცოცხლებს ინდივიდის სხეულს.

არ შეიძლება აქვე არ შევეხოთ „სულის არსის შესახებ“ ხელაშვილის შეხედულების მეუფე გრიგოლისეულ დაკვირვებას და ზუსტ ინტერპრეტირებას: სულს არა აქვს ნაწილები, იმიტომ რომ არ არის შედგენილი ატომებისაგან, რომლებისგანაც ფიზიკური ობიექტები შედგებიან. მეცნიერის დასკვნით, სულზე საუბრისას და მისი აღწერისას ხელაშვილი თავდაპირველად განიხილავს ჰაერს და მის ბუნებას. სამშვივნელი ჰაერის გარსია, რომელსაც ადამიანის ფილტვი იღებს სხეულის გასაფანსალებლად და სისხლის გამაგრებლად. ქრისტიანული თეოლოგიის პოზიციებიდან ხელაშვილი აკრიტიკებს სულთა გადასახლების თეორიას, რომელსაც პითაგორას მიმდევრები და ინდოელები აღიარებენ.

საგულისხმოა „ჭეშმარიტების პრობლემის“ იონასეული სუბსტანცირება, რომელიც რაოდენობის საკითხს უკავშირებს ჭეშმარიტების საკითხსაც. ჭეშმარიტება სამი სახისაა: ლოგიკური, მეტაფიზიკური და ეთიკური, ხოლო მეოთხე – ღვთისმეტყველური ჭეშმარიტება არის უჭეშმარიტესი ჭეშმარიტება. ლოგიკური ჭეშმარიტება, ავტორისეული განმარტებით, საკუთარი თავის შეცნობაა (როგორც ხორცისა და სულის ბუნება და მათი ურთიერთმიმართება). თუ სული მწუხარეა, გრძნობებიც მწუხარენი არიან; ხოლო თუ სხეულს ერთი ნაწილი ასტკივდება, მაშინ სულიც ამრავლებს ტკივილებს.

ჩვენ მიერ დასახული და შემოთავაზებული ფორმატი ბოლომდე ვერ დაიტევს კვლევის მოცემულობის დაწვრილებით გადმოცემას, არადა, ეს წიგნი გახლავთ იმდენად სავსე და ისეთი სიბრძნის კრებული, რომ აუცილებელია მისი ღრმა და დაკვირვებით არათუ მხოლოდ წაკითხვა, არამედ აღქმა და გააზრება. მისმა მაღალუსამღვდელოესობამ მიტროპოლიტმა გრიგოლმა ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მეცნიერებას შესძინა დიდებული მეცნიერული ნაშრომი, რომელიც ცოცხალი კვლევითი და მოცემულობითი მასალებით უდიდეს დახმარებას გაუწევს როგორც ამ თემით, ისე იონა ხელაშვილის, როგორც მეცნიერისა და მოაზროვნის, პიროვნებით დაინტერესებულ პირთ. მონოგრაფია დაწერილია დახვეწილი ქართულითა და ზომიერ-

რი ეკლესიური სინტაქსით, რაც ნებისმიერ გულისხმიერ მკითხველს გაუადვილებს შინაარსის აღქმას. როგორც დიდი მეცნიერი შოთა მესხია ბრძანებდა, „ასე გულითა და ჭეშმარიტი მიდგომით უნდა იძერწებოდეს ჩვენი მეცნიერება!“ სხვა რა დაგვრჩენია, გარდა იმისა – უდიდესი მადლობა შევსწიროთ მის მაღალუსამღვდელოესობას ამ ნაშრომისა და ყველა იმ უკეთილესი საქმისთვის, რომელთაც ის მაღალგონითი გულისხმიერებით აკეთებს თავისი მრევლისა და სამწყსოს სულიერი და გონებრივი ნათელიანობის მისაღწევად. სიკეთე და ჯანმრთელობა არ მოჰკლებოდეს მარადისად!..

უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით
ლაშა გვასალია



ჩარლზ ბუკოვსკი (აშშ)

თარგმნა თორნიკე ქავშაიაძე

ზეცაში განსვენებული მამაჩემი

მამაჩემი გახლდათ პრაქტიკული ადამიანი.
გააჩნდა იდეა.

„ჩემო ძეო, ხედავ, – ამბობდა ის, – შემძლე
ვარ იმისა, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება,
ამ კარ-მიდამოს საფასური ვიხადო, და მხოლოდ ბოლოს ვიგუებ
მას ჩემად. მე მოვკვდები, ამ ყოველივეს შენ დაგიტოვებ.
შენც შენი სავსე სიცოცხლის მანძილზე
შეგიძლია შეიძინო კარ-მიდამო. და გექნება ორი
კარ-მიდამო. შენს ვაჟიშვილს ერგება ორივე.
ისიც მთელი თავისი არსებობა
შეიძენს კარ-მიდამოს.
როცა შენ მოკვდები,
შენი ვაჟიშვილიც...“

„კარგი,“ – ვპასუხობდი მე.

ჭიქა წყლის მოსმისას მოკვდა მამაჩემი.
ვეებერთელა ყავისფერ კუბოში ჩავასვენე.
მინას მივაბარე. შემდეგ მოედანს ვეწვიე
და მაღალ ქერათმიან ქალიშვილს შევხვდი.
მე მას სახლში წავყევი, რომ გვესაუზმა
და დრო გვეტარებინა.

სადღაც ერთი თვის თავზე, მე მას სახლი გავუყიდე.
გავუყიდე მანქანა, ავეჯი, ძვირადღირებული
ნახატები და ხილის ლარნაკები
(ზაფხულის სიცხეში კომპოტით ყელსავსენი).
თავშესაფარში მივიყვანე მისი ძაღლი.
ამ შეხვედრიდან, რაც გამოვიდა, სულ ეგაა.
მე და გოგონა
ერთმანეთს დავშორდით.

მე ჩემი ავლადიდება
სრულიად დავკარგე,
ლოთობაში გავანიავე.

მე ამჯერად ვცხოვრობ ჰოლივუდში,
სადაც იაფფასიანი ოთახი მერგო

და გამაქეს ნაგავი,
რომ გადავიხადო რენტა...

მამაჩემი გახლდათ პრაქტიკული ადამიანი.
ის ერთმა ჭიქა წყალმა დაახრჩო
და საავადმყოფოს არქივში დატოვა ნაკვალევი.

წერილი შორეთიდან

სენის სიახლოვეს
პატარა ოთახში მყოფი,
მწერს მე ის წერილს.
ამბობს რომ, დადის
ცეკვის სკოლაში.
დგება დილის 5-ზე.
თხზავს ლექსებს ან ხატავს.
ტირილ-დაოსების ნდომისას,
იქვე, მდინარის ნაპირთან
აქვს მონიშნული
სპეციალური სკამი.

მალე, სავარაუდოდ
შემოდგომის თვეში
გამოვა მისი
სიმღერების კრებული.

მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა მისთვის.
მე მას მოვუწოდე –
ამოიღოს ყველა მტკივნეული კბილი
და უფრთხილდეს ფრანგ შეყვარებულებს.

მე მისი ფოტოსურათი დავდე რადიომიმღებთან,
ვენტილატორის გვერდით.
ის კი მოძრაობდა,
ვითარცა ცოცხალი.

მე ვუცქეროდი, თვალყურს ვადევნებდი მას,
სანამ არ მოვნიე
დარჩენილი 5
თუ 6 სიგარეტი,

მერე სინანულის თანხლებით ავდექი
და წავედი ძილის გამოსაცხოზად.

პროგრამა radio shac

უმოქმედოა

APPLE Macintosh დისკოვერზე.

დისკოვერ Comodore 64

ფაილებს ვერ კითხულობს,

რომელიც შექმნილია პერსონალური

კომპიუტერის უაირო და Osborne-ში.

გამოიყენება ოპერატიული პროგრამა cp/m,

მაგრამ თითოეული მათგანი

არის უნარმოკლებული –

ნაიკითხოს, მეორე რას წერს,

რადგან მას აფორმატებენ

(წერენ) ფაილზე,

სხვადასხვა ხერხებით.

Tandy 2000 იყენებს MC.Dos,

თუმცა არ შეუძლია მოიყვანოს

მოქმედებაში

პროგრამების უმეტესობა,

თუ მასში, მცირედით მაინც,

არ იქნება ყოფა-ცხოვრებიდან

შეცვლილი რამე,

მიუხედავად ამ ყველაფრისა,

სავანის თავზე

უწინდებურად მიმოქრის

გამჭოლი ქარი.

გამოზაფხულზე

გრიფ-ინდაურს მოეხალისება

მშობლიური ვარიეტის თვალწინ

მედიდური ნავარდი.

ცხოვრება ბოროდინისა

სხვა დროს ბოროდინს უსმენდე, გახსოვდეს,

ის გახლდათ რიგითი მეაფთიაქე.

თავშვებისთვის წერდა მუსიკას.

მისი სახლი – მუდამ გამოტენილი ადამიანებით;

სტუდენტებით, მხატვრებით, ლოთებით.

მას არასოდეს შეეძლო ეთქვა „არა“.

სხვა დროს ბოროდინს უსმენდე, გახსოვდეს, რომ

მისი ცოლი მისგან მოპარულ ნოტებს იყენებდა –

მჭავე რძით სავსე ქილები სათითაოდ შეეფუთა

და საკეტი ყუთიც მოენესრიგებინა.

ასთმით, უძილობით გამოტანჯულ და ვითომ

სამკურნალოდ მოხარშული კვერცხებით

გამოკვებულ მეუღლეს ნებაც კი დართო,

ზენრები დაეფხრინა – თავი შეეხვია და

ოთახში მიმომფრენი ბგერები ჩაეხშო.

გარდა ამისა, ის სარეცელს სხვა ვილაცასაც

უყოფდა (მათ ცალ-ცალკე ეძინათ,

თუკი საერთოდ

ძილი შეიძლება

ენოდოს მათ ძილს).

დივან-სავარძელი ოთახიდან გაეტანათ.

ის ძველ შალში გახვეული

თვლემდა კიბისა ქვეშ.

ის ფრჩხილების შეჭრის დროს,
 მას ურჩევდა –
 ჩაიზე ეხმარა ცოტა ლიმონი,
 ზომიერად ჩაენურა ფინჯანში,
 და არცა ესტვინა, არცა ემღერა:

სიმფონია №2, სი მაჟორი
 თავადი იგორი
 ცენტრალური აზიის სტეპში.

ბატონი ბოროდინი, მუქი ქსოვილის ნაჭრით
 იფარავდა თვალებს – მხოლოდ ასე შეეძლო დაძინება.

1887 წელს, მუქ, თავშესაქცევ
 ნაციონალურ კოსტუმში გამონყობილი,
 სამედიცინო აკადემიას
 საცეკვაოდ ეწვია.
 ის გახლდათ, საოცრად გამოკვეთილი,
 როცა იატაკზე მოადინა ზღართან,
 მათ ეს ხუმრობად მიიღეს.
 შემდგომში, ბოროდინს უსმენდე,
 გახსოვდეს...

პუნტაპი

ჩემს ხსოვნაში ორჯერ დაიფერფლა
 ეს ქალაქი.
 ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა
 მაშინ მოხდა, როცა აქ პოლიტიკურ
 მოღვაწეთა ვიზიტი შედგა.
 როცა მათ, უმართლო-უვარგისად
 გამოაცხადეს მთელი სისტემა.
 როცა ლატაკთა მიმართ
 განახლებული
 ურთიერთდამოკიდებულება
 მოითხოვეს.

იმის აქეთ, არარაი აღარ
 შეცვლილა.
 და ამჯერადაც არ მოხდება,
 არაფრის შეცვლა.

უსანათოები დარჩებიან
 უსანათოებად.

უმუშევრები დარჩებიან
 უმუშევრებად.
 ამბოკარები დარჩებიან
 ამბოკარებად.

ხოლო პოლიტიკანები –
 ალტყმული მიწის ღმერთები,
 იცხოვრებენ,
 ძალიან ზორბად და ლაზათიანად.

ჯიანი

225 დღეა, მიწაში წევხარ.
 ამჟამად, შენ მეტი იცი, ვიდრე მე.
 შენ – დიდი ხნის სისხლდაცლილი.
 შენ – გამომშრალი ტბორი კალათაში.
 ამ ჩემს საცხოვრებელ თვალში,
 ჯერ კიდევ მოსიყვარულე
 წამ-წუთები
 ჩრდილებს მიმოაფენენ.

როცა შენ ნახვედი,
შენ თან წაიღე, რაც გაგაჩნდა
ყველაფერი.
მე ღამლამობით,
მუხლმოდრეკილი ვდგავარ
ვეფხვების წინაშე,
და ისინი სიცოცხლის უფლებას
არ მაძლევენ.

ჯეინ, შენ როგორც მოვლენა,
უკვე სამუდამოდ არ მოხდები.
ვეფხვებმა მიპოვეს მე,
მაგრამ ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს.

აღიარება

სიკვდილს მოველი
კატასავით
რომელსაც მზაობა აქვს
დაახტეს ზედ ლოგინს

ო როგორ მებრალება
მე ჩემი ცოლი

მან უნდა დაინახოს
ეს ჩემი თეთრი
გაყინული
სხეული
და შეანჯღრიოს
ერთხელ
მერე სავარაუდოდ კიდევ
ერთხელ

„ჰენკ!“

ჰენკი
არ უპასუხებს

მე განა სიკვდილზე ვჯავრობ
არამედ ცოლზე
რომელიც დარჩება
თავისი მკერდით
უმყოფობასთან ერთად

მე მაინც მინდა
იცოდეს მან –
ის რამეები
ჩვენ რომ გვეძინა
ერთმანეთის გვერდით

ჩვენი დავა-კამათიც კი
ყველაფერი იყო
მეტად საუცხოო

და ის სიტყვები
მე ყოველთვის
რომ მეშინოდა
მეთქვა
ამჯერად შეიძლება
უბრალოდ ითქვას:

მე შენ
მიყვარხარ

ღიას, ღიას – სხვანაირი ლექსი

„ძალმომრეობა, სიმდიდრე, ყოყმანი,
ფრჩხილების აქერცლილი ნუნა
და კლაუსტროფობია...
დამპალი კბილები, ყოვლად უვარგისი ქალები,
საძაგელი ტაროსი,
აჰა, ამ ქვეყანაზე, რაც შენ შეგემთხვევა,
ჩემო გვრიტო“.
ტაროს კარტი...
ქალი სიგარას უკიდებს, მე ფანჯარას ვუახ-
ლოვდები:
გარეთ წვიმა ცრის...
რა სიდამპლის გავლაა საჭირო ადამიანის-
თვის,
რომ თუნდაც ცოტაოდენი,
ასეთი მომენტები მოიხელოს.

ამ საღამოს

საღამოს
კედლების ნაბზარზე 2 ობობა გაიტრუნა.
აჰა, თავისთავს ატრიალებენ
ბუზები.

ჩემს სანოლზე წამოწოლილა ჩემი ახალი ქალი.
ის „ჰერალდ ეკუმერერის“ კითხვითაა გართული.
მან კერძები შეამზადა, გარეცხა ჭურჭლეული,
გააპრიალა აბაზანა.

რიგიანად მოანესრიგა ყველაფერი.

მე, ობობებზე და ბუზებზე მზერამიშტერებული,
განმარტოებულად ვზივარ.

მე მესმის, ჩემი ქალი, გაზეთიდან ამოკითხულ
რალაცისა გამო, ბედნიერების
მიმანიშნებლად იცინის.
მე იმის წარმოდგენა დავკარგე, ეს ობობები
რანაირად აპირებენ
მსხვერპლის გამოჭერას.

ელოდებიან. გამუდმებული
ლოდინით ელოდებიან.

ისე ჩანს, რომ მარტო
მე არ ვარსებობ,
ასე და ამნაირად?

შესანიშნავი პოეტი

რაც შეეხება ე.ე. კამინგს,
ძალიან მომწონდა მე ის.
მან გადაგვაფინყა ჩვენ,
ისე მიგველო სიტყვა,
როგორც ხელშეუხებელი პენით
და შეუპოვრობით,
ჩვენ მიგვანიშნა,
რანაირად შეიძლება გამოსვლა
ამ ხელშეუვალ წუმპედან.

სწორედ, ეს იყო ჩვენთვის
სასიცოცხლოდ აუცილებელი!

რადგან გვახრჩობდა ჩვენ
დანაკლებული და უფერული
სტილი.
მერე და მერე, მიმბაძველებიც
გამოჩნდნენ.
ისინი ბაძავდნენ ე.ე. კამინგს,
როგორც სხვები – კიტს, შელის,
სუინბერნს, ბაირონს, et
At.
და რა თქმა უნდა, იყო მხოლოდ
ერთი კამინგსი.

ერთადერთი მზე.
ერთადერთი მთოვარე.

თენგიზ კუბლაშვილი

ჭიდაობა და ქართველი მორკინალნი

წინასიტყვაობა

მსოფლიოს ხალხთა ეროვნულ რკინებათა შორის ჭიდაობა გამოირჩევა ილეთთა სიუხვით, მათი ეფექტურობითა და ილეთთა ჩატარების სილამაზით.

ისევე როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებში, ჭიდაობაშიც ვერ ნახავთ უცხოური კულტურის უმნიშვნელო გავლენასაც კი.

ინდოევროპული მოდგმის ხალხთა შორის ათასწლობით გარემოცული ქართველი ერი ყოველთვის ინარჩუნებდა თვითმყოფადობას და მისი ეროვნული სული ისევე აისახება ჭიდაობაში, როგორც ენაში, ფოლკლორში, ხალხურ მუსიკაში, ცეკვებში...

ქართველ ერს თავისი წვლილი შეჰქონდა საკაცობრიო კულტურის საგანძურში. ჰიმნოგრაფია და აგიოგრაფია, საერო ლიტერატურა, ფილოსოფია, მეცნიერება, სამხედრო ხელოვნება... აი, არასრული ჩამონათვალი, სადაც ქართველი კაცის ნიჭი გამობრწყინდა.

მცირერიცხოვან და მეომარ ერს არ შეეძლო უმაღლესი კულტურის შექმნა და შენარჩუნება, თუ არ ექნებოდა შორეული წინაპრებისგან მიღებული გენეტიკური კოდი, გენეტიკური ხსოვნა იმ პრეისტორიული ხანისა, როდესაც პროტოიბერიულმა მოდგმამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა შობა ცივილიზაცია და კულტურის აკვანი დაარწია.

ქართველი ერი სხვა ფასეულობებთან ერთად ქმნიდა სპორტულ და მოძრავ თამაშებს: ლელო და ისინდი, ცხენბურთი და მარულა, ყაბახი, დოლი, ფარიკაობა, მშვილდოსნობა და მრავალი სხვა, რომლებიც თანამედროვე სპორტული თამაშების არქაულ ფორმებს წარმოადგენენ და რომლებიც ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული, ფიზიკური, რაინდული ქცევების ფორმირებისა და აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ.

ქართველ ხალხს განსაკუთრებით უყვარდა და უყვარს ჭიდაობა.

თაობიდან თაობას გადაეცემა ჭიდაობის ილეთები, იხვენებოდა და მდიდრდებოდა, ამავე დროს არ იცვლებოდა ჭიდაობის იმანენტური ბუნება – ჰუმანურობა, მონინააღმდეგის ღირსების პატივისცემა.

ჭიდაობის პროცესში რაინდული სულის და სიჩაუქის გამოვლენა ხიბლავს მაყურებელს. ჭიდაობის ამ ბუნების გამო, საქართველოში ყველა ჯანმრთელი მამაკაცი ჭიდაობდა და მაყურებელი გამარჯვებულსა და დამარცხებულს პატივს მიაგებდა.

ნაშრომი ეძღვნება ჭიდაობის პირვანდელი ფუნქციის, მისი საკრალური ძირების, წარმართულ მისტიკებთან მისი კავშირის წარმოჩენას, ჭიდაობის როლს ქართველ მორკინალთა ტრიუმფალურ გამარჯვებებში.

ჭიდაობის საკრალური ძირები

თავდაპირველად ჭიდაობის დანიშნულება ღვთაებებთან კავშირის დამყარება იყო გარე სამყაროსთან ჰარმონიული თანაცხოვრების მიზნით.

უძველესი ცივილიზაციის ადამიანები ახლოს იყვნენ ბუნებასთან, საკუთარ თავს აღიქვამდნენ კოსმიური მთლიანის შემადგენელ ნაწილად და ამიტომ რეალური საგნებისა და მოვლენების მიღმა არსებულ სულიერ საწყისს უკეთ შეიგრძნობდნენ. მათი გაღმერთებით და მათდამი მიძღვნილი საკრალური რიტუალებით არა მათზე გაბატონებას, არამედ ჰარმონიული თანაცხოვრების პირობების შექმნას ცდილობდნენ. ამას აკეთებდნენ იმ სიბრძნის წყალობით, რომელსაც ნათელხილური აზროვნებით ფლობდნენ.

უძველეს დროში ჭიდაობის არსებობაზე მიუთითებს უამრავი არქეოლოგიური მონაპოვარი, ეთნოგრაფიული მასალები და ლიტერატურულ-ისტორიული წყაროები.

საყურადღებოა, ის, რომ ეს მასალები მოპოვებულია პროტოიბერიელთა განსახლების მთელ არეალზე. მათი განსახლების არეალი

კი მოიცავდა პირინეის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებს, იტალიას, საბერძნეთს, ეგეოსის ზღვის აუზს, კავკასიას, მცირე აზიას... ერთი მოდგმის და მონათესავე ენებზე მოლაპარაკე ბასკებს, ეტრუსკებს, პელაზგებს, კოლხებს, ხალიბებს, მოსხებს და სხვა ქართველურ ტომებს ჰომოგენური მსოფლმხედველობა ჰქონდათ და ამიტომ მათ მიერ შექმნილი უძველესი ცივილიზაცია და კულტურა ერთგვაროვნებით ხასიათდება.

პროტოიბერიელთა, პალეოკავკასიელთა მოდგმის დასუსტების შემდეგ მათ საცხოვრის ინდოევროპული მოდგმის ელინთა ტომი დაეპატრონა, რომელმაც აბორიგენი მოსახლეობის ცივილიზაცია და კულტურა აითვისა და ახალ დონეზე აიყვანა.

შლიმანისა და სხვათა არქეოლოგიურმა გათხრებმა სავესებით დაადასტურა ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბერძნებმა ანტიკური კულტურა ძველი ცივილიზაციის წიაღში და მასზე დაყრდნობით განავითარეს.

გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბერძნებმა ზოგიერთი ღმერთი და მითი გადაიღეს პროტოიბერიელებისგან, პალეოკავკასიელებისგან და გააბერძნულეს.

შემორჩენილია კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლეში კედელზე გამოსახული ჭიდაობის სცენები.

ანატოლიაში არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს დიდი სტელა (ჩვ. ნელთალრიცხვამდე 250 წ.), რომელზეც გამოსახულია ჭიდაობის მომენტი და რომელიც ქართულ ჭიდაობას ნააგავს.


მესოპოტამიაში ნაპოვნია ბრინჯაოს მცირე პლასტიკა (2600 წ. ჩვ. ნელთალრიცხვამდე), რომელსაც „შუმერ მოჭიდავეებს“ უწოდებენ. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შუმერ მოჭიდავეთა დგომის და ხელის ჩავლები მანერა ძალიან ჰგავს ქართულ ჭიდაობას. გარდა ამისა, „შუმერ მოჭიდავეებს“ საკულტო დანიშნულება ჰქონდა, რაზეც მორკინალთა თავებზე დადგმული ბარძიმები მეტყველებენ.

ბატონი კ. კოლუა მიუთითებს, რომ შუმერულად ჩაჭიდება, ჭიდება გადმოიცემა სიტყვა „გიდ“-ით. რადგან შუმერულში დამწერლობის ნიშნებით „ჭ“ არ გადმოიცემა, ამიტომ შეიძლე-

ბა ვივარაუდოთ, რომ „ჭიდ“ და „გიდ“ ერთი და იგივეა. შუმერული „გიდ“, „კიდ“ - ქართულად „გდება“, „მოკიდება“, „ჭიდება“ (კ. კოლუა „საინტერესო ნაპოვნის“, ჟურნალი „დროშა“, 1962 წ., №4).

ბატონი ვ. ელაშვილი თავის პედაგოგიურ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევებაში „ფიზიკური კულტურის ქართული ხალხური ტრადიციები და თანამედროვეობა“, იმონებს რა ავტორებს, აღნიშნავს, რომ შუმერი მორკინალეები იყენებდნენ ისეთ ილეთებს, რომლებიც ჭიდაობაში გვხვდება და რომ შუმერული და ქართული სიტყვები, რომლებიც ტანის ნაწილებს და ილეთის სახელწოდებებს აღნიშნავენ, თითქმის ერთნაირად ჟღერენ (В. Элашвили, «Традиции грузинской народной физической культуры и современность», Тб., 1973 г., с. 216).

შუამდინარეთში აღმოჩენილ ქვის ფილაზე გამოსახული რკინების მომენტი ძალიან ჰგავს ჭიდაობის სვანურ ვარიანტს „ლიბურგიელს“ (В. Элашвили.... იქვე).




ბრინჯაოს პლასტიკა: შუმერი მოჭიდავეები 2006 წ. ჩვენს ნელთალრიცხვამდე. ინახება ბალდადის მუზეუმში

არ არის გამორიცხული, რომ „შუმერული მოჭიდავეები“, რომლებმაც ათას წლებს გაუძლეს, „ლიბურგიელის“ სახით დღემდე შემორჩა მაღალმთიანი სვანეთის კონსერვატიულ საზოგადოებას.

შუმერული და ქართველური ენების ნათესაობა, აგრეთვე არქეოლოგთა მიერ მოპოვებული მასალების ანალიზი, ეთნოგრაფთა დაკვირვებანი შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა: შუმერებმა და კოლხ-იბერებმა კაცობრიობის ცივილიზაციის გარიჟრაჟზე შექმნეს ჭიდაობის სისტემა, რომელსაც თავდაპირველად საკრალური ფუნქცია ჰქონდა და ღვთაებებისადმი მიძღვნილი რიტუალების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა.

სვანეთში იმართებოდა წარმართული დღესასწაულები „მურყვამობა“, „ადრეკილა“, „საქმისა“, „მელა ტელეფია“, რომლებიც მთავრდებოდა ჭიდაობით, კრივით, ფარიკაობით. დამარცხებულის მხარეს თოვლის კოშკს გადააქცევდნენ და მომავალი მოსავლის ვითარებას არკვევდნენ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველების წარმართობა. თბზ. ტ. I თბ. 1979 წ.).

საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი წარმართული დღესასწაულები იმართებოდა, როგორც წესი, ჭიდაობითა და კრივით მთავრდებოდა.



ეტრუსკი მოჭიდავენი
330 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ჭიდაობის თავისებურ სახეობას წარმოადგენს სვანური ჭიდაობა „ლიბურგიელ“ და „ლიბურძგვალ“, რომლებიც გუნდური ჭიდაობაა.

ჭიდაობის საინტერესო ვარიანტებია დამონებული ხევისურეთში: „მოშ და მოშ“, „მუქასრისა ხელის ჩაველებით“, რაჭაში: „ლოჯური“.

წარმართული დღესასწაულების რიტუალებში ყველგან: სვანეთში, ქართლსა და კახეთში, ჯავახეთში, სამეგრელოში, ხევისურეთში ფალოსის კულტი ფიგურირებს. რიტუალები მთავრდებოდა ჭიდაობით, კრივით, ფარიკაობით, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჭიდაობა დაკავშირებული იყო როგორც შვილოსნობის, ასევე მამაკაცური ძალისა და მისი მეომრული სულის მფარველ ღვთაებებთან.

ქართველურ ტომებში გავრცელებული იყო ხართან რკინება. ხართან რკინებას მეგრულად „კურული“ ჰქვია (სიტყვა „კუროდან“).

სვანეთში წმინდა ხარს მსხვერპლად შეწირვის წინ ამ ხარს ერკინებოდნენ (Баргавелидзе В.В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тб., 1957).

სამეგრელოში კურულს მართავდნენ კვირადღეს. ხართან რკინების დროს წესებს მკაცრად იცავდნენ. არ შეიძლებოდა ხართან იარაღით ბრძოლა. მორკინალს უფლება ჰქონდა ხარისთვის ხელი რქებში, ყურებში, ბეჭებზე ჩაეფლო და მიწაზე ასე დაეგდო. ხართან რკინების შემდეგ იმართებოდა რიტუალში მონაწილეთა ჭიდაობა.

კურული ანალოგს ნახულობს კრეტა-მინოსის კულტურაში ხარის კულტთან დაკავშირებით.

ქალბატონი მანია ჩქვანავა სტატიის „კორიდა“ ქართულია?“ აღნიშნავს, რომ კუნძულ კრეტაზე მინოსის სასახლეში აღმოჩენილ ფრესკაზე დახატულია ხარი, რომელზეც ქალ-ვაჟი მაღაყს გადადის, ზოგიერთი კი ამ ხარის წინ დგას და მათი პოზა ძალიან მოგვაგონებს ესპანურ კორიდას.

ესპანურ „კორიდას“ ბასკურ ენაზე „კურიდა“ ჰქვია. თუ ბასკურ „კურიდას“ და ქართულ „კურულს“ მანარმოებელ სუ-

კაი ყმა

ფიქსებს ჩამოვაშორებთ, დაგვრჩება სიტყვის ძირი „კურ“, რომელიც ქართული „კუროდან“ წარმოდგება (მაია ჩქვანავა. გაზეთი „ლაშარის გორი“ №1, 1996 წ.).

ეს ბუნებრივია. ბასკები პროტოიბერიულ მოდემას ეკუთვნიან და ბასკური და ქართული მონათესავე ენებია.

პროტოიბერიელებისგან ინდოევროპელებმა ბევრი რამ გადაიღეს და მათ შორის ბასკებისგან ხართან ბრძოლა იმავე ტერმინით. თუმცა, ესპანური კორიდა და უძველესი კურული ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ კორიდაში ხარს დაშნით კლავენ, კოლხურ სამყაროში კი ხარს უიარაღოდ ერკინებოდნენ.

ქართლის სოფლებში ბოლო დრომდე შემორჩა ამგვარი ტრადიცია: ქორწილის დროს სიძე ან მყარი პატარძლის სოფლის ფალავანს ეჭიდებოდა.

ქორწინებას წარმართებთანაც საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა და იგი შესაბამისი რიტუალით სრულდებოდა. ზემოთ ნახსენები ტრადიცია ხომ არ არის წარმართული რიტუალის გამოძახილი?

შემორჩენილია აგრეთვე ასეთი ტრადიცია: მამაკაცის დაკრძალვის მეორე დღეს მის საფლავს ღვინოს მოაპკურებენ, შენდობას იტყვიან და შემდეგ ჭიდაობენ.

ვფიქრობთ, ყოველივე ეს წარმოადგენს კოლექტიურ არაცნობიერ ხსოვნას იმ შორეული წარსულისას, როდესაც ჭიდაობა დაკავშირებული იყო წარმართულ მისტიკებთან.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ქრისტიანული დღესასწაულების დროს ჭიდაობდნენ ეკლესიების ეზოებში ან მის შემოგარენში. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია თანდათან სუსტდება და იკარგება.

არცთუ შორეულ წარსულში შეჯიბრი ჭიდაობაში საერთო-სახალხო დღესასწაულის ხასიათს ატარებდა, არ იყო ორგანიზებული რომელიმე პიროვნების, საზოგადოების ან უწყების მიერ. არ არსებობდნენ პროფესიონალი მოჭიდავენი. ჭიდაობდა ყველა მამაკაცი, ვისაც კი რაიმე ფიზიკური ნაკლი ხელს არ უშლიდა.

ქართველი ერის მიერ ათასი წლების მანძილზე შექმნილმა სპორტულმა თამაშებმა დღემდე მოაღწია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ პედაგოგიურ ღირებულებას ბოლო დროს ნაკლები ყურადღება ექცევა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ცეკას მიერ წამოწყებული ბრძოლა „მავნე ტრადიციების“ წინააღმდეგ, გადასწვდა და თავისი მსახვრალი ხელი შეახო ფიზიკური აღზრდის ხალხურ ტრადიციებსაც.

ხალხის მიერ შექმნილი ფიზიკური ვარჯიშები და მოძრავი თამაშები ჩათვალეს ანაქრონიზმად, დრომოჭმულ და მავნე ტრადიციად, ისევე როგორც ხალხური მედიცინა.

ისტორიულად ჩამოყალიბებული ხალხური სპორტული და მოძრავი თამაშები იმ ხალხის ეთნოფსიქოლოგიურ თვისებებს ატარებს, რომელმა ხალხმაც შექმნა. იგი ხალხის კულტურის საკუთრებაა და დამუხტულია ნაციონალური ხასიათით. ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს კომუნისტურმა და ინტერნაციონალურმა ხელისუფლებამ უარი თქვა ეროვნულ ტრადიციებზე, მათ შორის ეროვნულ სპორტულ თამაშებზე.

არა მხოლოდ მშობლიური ენის ნახდენა, არამედ ხალხური მოძრავი თამაშების, ეროვნული ტანსაცმლის, ეროვნული სამზარეულოს დეფიციტიც კი უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდა თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის პროცესზე და ხელს უწყობს ეროვნული ნიჰილიზმის განვითარებას.

ბავშვის სოციალიზაციის პროცესი განსაკუთრებით გართულდა ურბანიზებულ საზოგადოებაში. თუ ადრე ბავშვის სოციალიზაცია მიმდინარეობდა ბუნებრივად, ხალხური პედაგოგიკის მეშვეობით, დღეს პიროვნების ჩამოყალიბების ფუნქცია ძირითადად საბავშვო ბაღებსა და სკოლას დაეკისრა, სადაც ხალხური მოძრავი თამაშები, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.

თამაშის პედაგოგიური მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ თამაშის პროცესი ბავშვს სიამოვნებს. თამაშისთვის დამახასიათებელია

ბელი სიტუაციების სწრაფი ცვლა, ახალი შთაბეჭდილებების მიღება აუცილებელია ბავშვის ფსიქიკის ნორმალური განვითარებისთვის.

ყოველ ერს აქვს საკუთარი მოძრავი თამაშები ეროვნული ნიშნით განპირობებული სიუჟეტებითა და ინვენტარით. სწორედ ეს თამაშები უნდა იქცნენ ეროვნულ სკოლაში ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებად.

სამწუხაროდ, ფიზიკური აღზრდის სასკოლო პროგრამიდან ხალხური სპორტული და მოძრავი თამაშები ამოღებულია და ამით ახალგაზრდა თაობის სულიერი და ფიზიკური აღზრდის უმნიშვნელოვანეს პროცესს ზიანი მიაყენეს.

ზნეობრივი და ფიზიკური აღზრდის ხალხური პედაგოგიკა წარმოდგენილი იყო მწყობრი სისტემის სახით, რომელსაც საფუძველი ადრეულ ეპოქაში ჩაეყარა და დასრულებულ სახეს ფეოდალიზმის ხანაში მიაღწია.

ფეოდალურ საქართველოში საზოგადოების იდეალი „კაი ყმა“ იყო – ზნეობრივად და ფიზიკურად სრულყოფილი მამაკაცი.

კაი ყმა იზრდებოდა ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის ქართულ ხალხურ ტრადიციებზე.

მოზარდი თაობის კაი ყმის ჩამოყალიბების პროცესში უდიდეს როლს ასრულებდა ჭიდაობა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული მისი ვარიანტები: „მოშ და მოშ“, „მუქასრისა ხელის ჩავლებით“, „ლიბურგიელ“, „ლიბურძგვალ“, „ლოჯური“, „მთიულური“.

ეთნოგრაფები ადასტურებენ, რომ „მთიულურს“ ქალებიც ჭიდაობდნენ (ვ. ელაშვილი, გაზეთი „ლელო“, 1963 წ. 6 ივნისი).

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ხასიათის კატაკლიზმება ხალხური პედაგოგიკის მნიშვნელობა შეასუსტეს ან საერთოდ უარყვეს.

დაიკარგა ან პირვანდელი სახით არ შემორჩა საბრძოლო სისტემები, ვარჯიშები. ამის ძირითადი მიზეზი სახელმწიფოებრიობის დაკარგვა იყო.

საქართველოს დამპყრობლები კრძალავენ სპორტულ-სამხედრო ხასიათის შეჯიბრებს: მუშტი-კრივს, ფარიკაობას, მშვილდოსნობას... დაიკარგა ილეთები, ფოლადის გამოდნობისა და წრთობის, ცივი და ცეცხლსასროლი ია-

რალის დამზადების ტექნოლოგია... დაიკარგა დამწვრობის, მოტეხილობის, ნაღძობის, დაჟეჟილობის მკურნალობის ცოდნა... ხევსურეთში დაიკარგა თავის ქალის ურთულესი ოპერაციის ცოდნა...

XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში მოღვაწეობდა სპორტული საზოგადოება „შეგარდენი“, რომელიც ცდილობდა კაი ყმის ტრადიციების აღდგენას, ეროვნული სპორტული თამაშების და საბრძოლო ხელოვნების დაკარგული ილეთების აღდგენა-განვითარებას, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციისა და ანექციის შემდეგ ბოლშევიკებმა სპორტული საზოგადოება „შეგარდენი“ გააუქმეს და მისი საქმიანობა აკრძალეს.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებისთანავე, ენთუზიასტებმა 1985 წელს დააარსეს „ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია“, ხოლო შემდეგ ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევის ცენტრი „ჯგირაგი“.

მკვლევარმა ენთუზიასტებმა ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, ასევე ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ქორეოგრაფიის, მეტალურგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, მხატვრობის, მუსიკისა და სხვა განსხვავებული დარგების მონაცემთა ანალიზის შედეგად შეძლეს დაგინყებული და ყველასგან მიტოვებული ქართული საბრძოლო ხელოვნების უნიკალური სახეობების გამოვლენა და დაფიქსირება.

აღდგენილია ფარიკაობის 5 სისტემა, კრივის 4, მცირე ზომის საჭრელი იარაღით ბრძოლის 7, საცემ-საკვეთელი იარაღით ბრძოლის 8, მათრახის 4 ტიპი და მათი მეშვეობით ბრძოლის 4 სისტემა და სხვა... აღდგენილია რკინების სახეობა „ხრიდოლი“.

თავისუფლებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, საქართველომ ბევრი რამ დაკარგა, მაგრამ დღეს, როდესაც სახელმწიფო დამოუკიდებლობა აღდგენილია, ჩვენი მთავარი ამოცანაა წინაპართა მიერ შექმნილი უნიკალური სპორტული თამაშების აღდგენა, მოვლა-პატრონობა და მათი პოპულარიზაცია.

კლასიფიკაცია

ჭიდაობა ათასი წლების მანძილზე იქმნებოდა და პრაქტიკით დახვეწილი ილეთები თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ჭიდაობის მრავალრიცხოვანი ილეთები საშუალებას გვაძლევს მოწინააღმდეგე წონასწორობიდან გამოიყვანო და ძირს დასცე რაც შეიძლება სწრაფად, ნაკლები ძალის ხარჯვით და ეფექტურად.

არსებობს ამ ამოცანის შესრულების განსხვავებული გზები. ეს განსხვავებები იძლევა ილეთების კლასიფიკაციის დადგენის საშუალებას.

ვფიქრობთ, ი. სვანელის მიერ დადგენილი კლასიფიკაცია, ტერმინოლოგია და ილეთების ჩატარების აღწერა სრულყოფილია და ჯერჯერობით არ არსებობს სვანელისეული კლასიფიკაციისა და ტერმინოლოგიის შეცვლის ან კორექტირების არავითარი ობიექტური მიზეზები (ი. სვანელი (თომაშვილი), ქართული ჭიდაობა, თბ., 1957 წ.).

ჭიდაობის ილეთები დაყოფილია 6 ჯგუფად. თითოეულ ამ ჯგუფს საკუთარი ძირითადი ილეთები აქვს.

ეს ჯგუფებია:

I სარმა

სარმის ილეთების შესრულება მოითხოვს სწრაფ ტემპს. მათი ჩატარება ორივე ფეხით შეიძლება. ეს ერთი შეხედვით მარტივი ილეთები ძალზე ეფექტურია.

სარმის ილეთებია: 1 გარე სარმა; 2. მუხლური გარე სარმა; 3. ამოსმული გარე სარმა; 4. განგამოკრული შუა სარმა; 5. შუა სარმა.

II კაური

კაურის ილეთების ჩატარებისას მოჭიდავე ფეხებს ხელებივით იყენებს და უფრო ეფექტურადაც. კაურის ილეთები სარმის ილეთებთან შედარებით უფრო ნელი ტემპით სრულდება.

კაურის ილეთებია: 1. ჩაკეტილი შუა კაური (უკუგდებით); 2. ჩაკეტილი შუა კაური (წინგდებით); 3. მუხლქვეშა შუა კაური; 4. მხარული მუხლქვეშა შუა კაური; 5. მკლაური გარე კაური.

III ლოჯური

ლოჯურის ილეთები სხვა ილეთებთან შედარებით ძალისმიერია და ძირითადად თავდაცვი-

სა და სანინააღმდეგო ილეთებს წარმოადგენენ, რომლებიც მეტწილად სარმებისა და კაურების ჩატარების დროს გამოიყენება.

ლოჯურის ილეთებია: 1. წინა ლოჯური; 2. უკუ ლოჯური; 3. გვერდითი ლოჯური.

IV მოგვერდი

მოგვერდის ილეთების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ილეთების ჩატარებისას შემტევი თედოსა და ბარკლის ბიძგებს იყენებს, აგრეთვე ხელებით ქნევებს.

მოგვერდის ილეთებია: 1. ნელმოგვერდი; 2. ზურგმოგვერდი; 3. ღრმა მოგვერდი; 4. მკლავჩაკეტილი მოგვერდი; 5. გარე ფეხჩაკეტილი მოგვერდი; 6. მოგვერდსარმა.

V თედო

თედოს ილეთები ტარდება ბიძგებით და ქნევებით ადგილზე და მოძრაობის დროს.

თედოს ილეთებია: 1. გარე თედო; 2. ორმხრივი თედო; 3. მხარული თედო; 4. თედო.

VI კისრული

კისრულის ილეთები მოითხოვენ ბრუნვების დიდი სისწრაფით შესრულებას. ეს ილეთები ტარდება როგორც ფეხზე მდგომ ანუ ზეზელა მდგომარეობაში, ასევე ჩოქელა მდგომარეობაში.

კისრულის ილეთებია: 1. ზეზელა კისრული; 2. მკლავკისრული; 3. ჩოქელა კისრული; 4. ჯვარედინი კისრული.

ჭიდაობის ილეთები ამით არ ამოიწურება. ჩამოთვლილი ილეთები მხოლოდ ძირითადი ილეთებია. არსებობს ძირითადი ილეთების კონტრილეთები და კომბინაციური ილეთები.

ბატონი ს. მაისურაძე ჭიდაობის ილეთებიდან გამოყოფს ილეთების ორ დიდ ჯგუფს: 1. რთული კომბინაციური ილეთები და 2. მარტივი კომბინაციური ილეთები (ს. მაისურაძე, ქართული ჭიდაობა, თბ., 1984 წ.).

კომბინაციური ილეთები ორი ან რამდენიმე ძირითადი ილეთის სინთეზს წარმოადგენენ. მოჭიდავის ოსტატობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს კომბინაციურ ილეთებს ძირითად ილეთებთან ერთად.

ძირითადი ილეთები ადვილად დაითვლება, მაგრამ კომბინაციური ილეთების არსენალი ძალზე მდიდარია. ოსტატი მოჭიდავე ახალ-ახალ კომბინაციურ ილეთებს იყენებს კონ-

კრეტული ვითარების შესაბამისად. ეს მისი გადამწყვეტი უპირატესობაა.

ტერმინ „ქართული ჭიდაობის“, ტალავრისა და მუსიკის შესახებ

ქართულ და უცხოურ ენებში დამკვიდრებულია ტერმინი „ქართული ჭიდაობა“ („გრუზინსკაია ბორბა“) რაც, ვფიქრობ, არასწორია.

არსად არ არის დაფიქსირებული ის, რომ ჩვენი წინაპრები ხმარობდნენ ტერმინ „ქართულ ჭიდაობას“. ეს ტერმინი მას შემდეგ დამკვიდრდა, როცა საქართველოში ევროპიდან და რუსეთიდან შემოსული რკინების სხვა სახეობა გავრცელდა, კერძოდ ბერძნულ-რომაული. ეს მოხდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როცა საქართველო რუსეთის გუბერნიას წარმოადგენდა. რუსულმა პრესამ და უცხოელმა მორკინალებმა დანერგეს ტერმინი „ქართული ჭიდაობა“, რათა იგი რკინების სხვა სახეობებისგან განესხვავებინათ.

ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა „რკინება“, რაც ზოგადად ყველა სახეობის ჭიდაობას აღნიშნავს, ხოლო „მორკინალი“ რკინებაში მოასპარეზეს ნიშნავს.

„ჭიდაობა“ რკინების ერთ-ერთი სახეობაა, ხოლო „მოჭიდავე“ ის არის, ვინც ამ სახეობაში ასპარეზობს.

განა შეიძლება „ძიულოს“ „იაპონური ძიუდო“ ვუნოდოთ? მას არა სჭირდება „იაპონურის“ დამატება.

ტერმინი „ჭიდაობა“ და მისი ილეთების აღმნიშვნელი სახელწოდებები უცხოურ ენებში უნდა შევიდეს თარგმანის გარეშე, ისევე როგორც აღმოსავლური ორთაბრძოლების, რკინებათა და მათი ილეთების აღმნიშვნელი სახელწოდებები სხვა ენებში შესულია თარგმნის გარეშე.

ჭიდაობით მონიჭებული ესთეტიკური ტკბობა არ შეიძლება შესუსტდეს მოჭიდავეთა ტანსაცმლით (ტალავრით).

ევროპულ პიჯაკში გამონყობილ მოცეკვავეთა მიერ შესრულებული ცეკვა ხანჯლური ის არ არის, რაც ეროვნულ ტალავრით შემოსილ მოცეკვავეთა როკვა. იგივე ითქმის ჭიდაობის

შესახებაც. საჭიროა საჭიდაო ტალავარს (ჩონას) პირვანდელი სახე დაუბრუნდეს.

თუ გავითვალისწინებთ ტრადიციას, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე გადაღებულ ფოტოებს, ვნახავთ, რომ მოჭიდავეებს აცვიათ შავი, ლეგა ფერის გრძელსახელოებიანი ჩოხები და შარვლები.

დღეს ჭიდაობენ მოკლე, ქრელ, სხვადასხვა ფერის ტრუსებში, რაც ჭიდაობის ესთეტიკისთვის უცხოა. როგორც ჩანს, ევროპიდან შემოსულმა ბერძნულ-რომაულმა რკინებამ, რომელიც ჩვენში პოპულარული გახდა და ქართველი ფალანგები ტოლს არავის უდებდნენ რკინების ამ სახეობაში, გავლენა მოახდინა და მოკლე ტრუსებმა ქართული ჩოხა თანდათან განდევნა.

ჭიდაობა და ცეკვა ხორუმი მეომარმა ერმა შექმნა და ერთი და მეორეც ეროვნული სულის მიერ ჩამოყალიბებული ესთეტიკური ნორმების და გემოვნების ეტალონს წარმოადგენს. როგორც არ შეიძლება ხორუმი იცეკვო რუსული ხიფთანით, ზაპოროჟიელი კაზაკების განიერი შარვლებით, ევროპელთა სმოკინგით, ასევე არ შეიძლება ჭიდაობა ტრადიციული ჩოხის გარეშე.

მოჭიდავეებს უნდა ეცვათ ლეგა ფერის გრძელსახელოებიანი ჩოხები, შარვლები და პაჭიჭები. ამგვარი ფორმა დააკმაყოფილებს ჭიდაობის ესთეტიკურ ნორმებს, ასევე იგი ხელს შეუწყობს ილეთების ეფექტურ ჩატარებას.

ჭიდაობის შეჯიბრის ორგანიზატორები წუნუნებენ: შეჯიბრის ჩატარება ძალზე ჭირს იმის გამო, რომ საჭიდაო მუსიკის შემსრულებლები, დამკვრელები ცოტანი დარჩნენო. სამწუხაროდ, ეს ასეა, მაგრამ იმის გამო, რომ დამკვრელები ცოტანი არიან, ჭიდაობა უნდა გაქრეს?

საჭიდაო მუსიკა დაბრკოლებად არ უნდა იქცეს. მან ხელი არ უნდა შეუშალოს ჭიდაობის მასობრივ სწავლებას და შეჯიბრის ჩატარებას.

მადლობა ღმერთს, თანამედროვე ტექნიკა საშუალებას გვაძლევს ჩანერილი საჭიდაო მუსიკა ავაჟღეროთ ნებისმიერი დროს, ნებისმიერ დარბაზში და ღია ცის ქვეშ.

რკინების დიდოსტატები

ისტორიის ბედუკუღმართობამ საქართველოს ოდესღაც ძლიერი, ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო დაასუსტა და სამეფოებად და სამთავროებად დაშალა. მიუხედავად ამგვარი დაყოფისა, ქართველი ერის ცნობიერება, სარწმუნოება, ტრადიციები, ცხოვრების წესი, ეთნოფსიქოლოგია კვლავ მთლიანობას ინარჩუნებდა.

სპარსებისა და არაბების, მონღოლებისა და თურქების შემოსევების მიუხედავად საქართველოს ხერხემალი არ გადამტყდარა. მტერმა ვერ შეძლო ქართული სულის ჩაკვლა იმის გამო, რომ ქართველ ერს აერთიანებდა უძველესი თვითმყოფადი კულტურა, თავისუფლებისმოყვარეობა, ენის, მამულის და სარწმუნეობისათვის თავგანწირვა.

ქართული ხალხური პოეზია სავსეა შედეგრებით, სადაც ქართველი კაცი თავის სიყვარულსა და ერთგულებას გამოხატავს იმ ხმლის მიმართ, რომლითაც სამშობლოს იცავდა:

ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო,
აღვანში თუშმა გაგფერა,
გაკურთხა მეფე ერეკლემ,
საომრად ჯვარი დაგწერა!

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ქართველი კაცის მეომრულ ნიჭს სათანადოდ აფასებდნენ. ქართული ხმლის ელვარება შორეულ ავღანეთს და ინდოეთს სწვდებოდა. ქართველი მეომარი მამლუქები სამასი წლის მანძილზე მართავდნენ ერაყსა და ეგვიპტეს, ხმლით იცავდნენ ამ სახელმწიფოთა ინტერესებს.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებამ ქართველთა ხმალი რუსეთის მეფის სამსახურში ჩააყენა. XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ყველა დიდსა და პატარა ომში, სადაც რუსეთის ინტერესები სხვა სახელმწიფოთა ინტერესებს ეჯახებოდა, რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველი მხედრობა თავისი ნიჭით და მამაცობით გამოირჩეოდა.

ქართველი მეომრები იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ ეროვნული ორთაბრძოლების, სამხედრო და სპორტული თამაშების საშუალებით. მათ შორის ჭიდაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ისტორიამ შემოგვინახა ცნობები სახელგანთქმული ფალავნების შესახებ.

XVI საუკუნის ქრონიკებში ლაპარაკია ძმები ყვარყვარე და მანუჩარ ათაბეგების შესახებ, რომლებიც თურქეთის სულთანმა სტამბოლში გამოიძახა და წინადადება მისცა: თუ დამარცხდებოდნენ თურქ ფალავანთან შერკინებაში, მაშინ მათ მაჰმადიანობა უნდა მიეღოთ, გამარჯვების შემთხვევაში ქრისტიანებად დარჩებოდნენ.

ყვარყვარემ ადვილად დაჯაბნა თურქი ფალავანი, ხოლო მანუჩარი დამარცხდა და მაჰმადიანობა მიიღო. მოღწეული ცნობებით, მანუჩარმა განგებ წააგო, რათა სულთნის კეთილგანწყობა მოეპოვებინა.

ფრანცისკანელი ბერი ჯოვანო პლანო კარპინა აღწერს, თუ როგორ წააქცია ორმა ქართველმა ფალავანმა ორი თათარი ფალავანი. ეს 1246 წელს მონღოლთა ურდოში მომხდარა.

XV საუკუნის მატეანეში შეტანილია ცნობა ათაბეგ მზეჭაბუკისა და თათარი ფალავნის რკინების შესახებ: „იყო უსჯულოსა მის მთავრისა კაცი ერთი... ფალავანთა თავი, დიდი და გოლიათი, რომელსაც სახელი გალანი ეწოდებოდა... მზეჭაბუკმა, ვითარცა ლომმან მსწრაფლ შექმნა, აღიყვანა და პატიოდ მიწასა ზედა დასცა.“

გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ (2011 წ. 31 იანვარი — 6 თებერვალი) გამოაქვეყნა საინტერესო ისტორია რაჭველ სპირიდონ გოციორიძეზე.

კეჭოუკა (სპირიდონი) 1905 წელს პორტ-არტურში ცნობილ იაპონელ ძიუდოისტებს შერკინებია და დაუმარცხებია. კეჭოუკა რუსი გენერლის ანატოლი სტრესელის მზარეული ყოფილა. პორტ-არტურის ჩაბარების დროს, როდესაც გენერალმა სტრესელმა კაპიტულაციაზე ხელი მოაწერა, იაპონელ გენერალს ჰეიპატრო ტაგოს მისთვის შეუთავაზებია, რუსი და იაპონელი ჯარისკაცები რკინებაში შევაჯიბროთო.

იაპონელ ფალავანს 12 რუსი ჯარისკაცი წაუქცევია. ბოლოს, კეჭოუკას უფაჟკაცია და იაპონელი მონინაალმდევე სარმის ილეთებით დაუმარცხებია.

ამ ამბავს შესწრებია რუსულ გარნიზონში სამბოს დამამკვიდრებელი ანატოლი ხარლამ-

პიევი და აღფრთოვანებულს თავის დღიურში სპირიდონ გოცირიძის და მის მიერ გამოყენებული ილეთების შესახებ საქებარი სიტყვები ჩაუნერია.

----- * -----

გასული საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ საბჭოთა კავშირი აქტიურ მონაწილეობას იღებს ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო ჩემპიონატებში. ამ პერიოდიდან ქართველი ფა-

ლანები თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ რკინების ყველა სახეობაში ოლიმპიადებზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე, სხვადასხვა უმაღლესი დონის საერთაშორისო შეჯიბრებებზე ფიდაობის ილეთების გამოყენებით.

ქართველმა ლეგენდარულმა ფალავანმა სახელი გაითქვეს არა მხოლოდ უმაღლესი ტიტულების და ჯილდოების მოპოვებით, არამედ რკინების დროს გამოვლენილი რაინდული ზნეობით და ქცევებით, რითაც მილიონობით გულშემატკივრების პატივისცემა დაიმსახურეს.



ნათელა ჰაპუნაშვილი

ქართველ ერს გადაშენება არ უნერია!

ედღენება ნინო ხაინდრავას

ათეული წლებია, რაც ხშირად გაისმის: ასე ცუდები ვართ ქართველები. არასოდეს დავთანხმებულვარ ამ აზრს. ზოგჯერ დამინყია კიდეც საწინააღმდეგო მტკიცება, ხან კი მიფიქრია, მაინც ვერაფერს გახდები, არ ღირს ამ პიროვნებასთან პაექრობა. ასე რომ არ იყოს, საქართველო ამ დღეში არ იქნებოდა. არ იქნებოდა ხალხის დაყოფა იმ 90-იან წლებში ზვიადისტებად და მის მოწინააღმდეგეებად, ანუ შევარდნაძისტებად... ის დრო, სამწუხაროდ, ახლა სანატრელიც კი გაგვიხდა. მხოლოდ ძალიან მცირე დროის განმავლობაში იყო გაერთიანებული ქართველობა, როდესაც სააკაშვილმა შეცვალა შევარდნაძე. მართალია, ეს არ იყო არჩევნების გზით მოსვლა, მაგრამ უმრავლესობას ისე სძულდა შევარდნაძე, რომ ხალხმა არაფრად ჩააგდო სააკაშვილის თავხედობა – შეჭრა პარლამენტში, სხვისი ჩაის დაღვევა და ასე შემდეგ.

გამოხდა ხანი და ამ იმედისმოცემმა სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა ისეთი ამბები დაატრიალეს, რომ მალე ისევ დაიყო ქართველობა. მართალია, ამჯერად სააკაშვილისტები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ისეთი თავხედები აღმოჩნდნენ, რომ მოასწრეს უამრავი საშინელების ჩადენა. ახლა ამ საშინელებებს არ მოვყვები, გადავალ იმაზე, რამაც ეს წერილი დამანერინა.

სულ ახლახანდ მოგხვდი თბილისის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში ჩემს დასთან ერთად. ჩემი და რენტგენის გადასაღებად წაიყვანეს, მე კი მის ლოჯინში თურმე ისეთი შეწუხებული სახე მქონდა, რომ მიმღების ერთ-ერთი

თანამშრომელი, სახელად ნინო, მომიახლოვდა და დამინყო დამშვიდება: ნუ ხართ ასეთი დამწუხრებული, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო. შევხედე ამ გოგონას და სახე გამინათდა, იმდენი სიკეთე გადმოდიოდა მისგან. ვერ მოვითმინე, წამოვხტი და მადლობასთან ერთად გადავკოცნე. არც დავფიქრებულვარ, ესია მოვინებოდა თუ არა მას ჩემი კოცნა. თუმცა მგონია, ასეთ პიროვნებას არ შეიძლება არ სიამოვნებოდა ჩემი მადლიერების ამ გზით გამოხატვა. შემდეგ კი დავძინე მადლობასთან ერთად: აი, თქვენნაირები უნდა მუშაობდნენ სამედიცინო დაწესებულებებსა და სკოლებში-მეთქი; ნინომ კი დაუმატა, – საბავშვო ბაღებშიც.

იქიდან ისეთი ბედნიერი წამოვედი, თითქოს ჩემს დას უკვე მოურჩა ხელი, თითქოს აღარ არსებობდა ჩემს ირგვლივ ცუდი, მხოლოდ სიკეთემ და სიყვარულმა დაისადგურა გარშემო. ერთი სული მქონდა, კიდეც როდის ვნახავდი ამ გოგონას თუ ქალბატონს. ასეთ ანგელოზს ვინ დატოვებდა გაუთხოვარს. ახლა კი უცბად ამ წერილის დაწერის სურვილი გამიჩნდა, თანაც ნინოს ნახვის მიზეზიც გაჩნდა, ხომ უნდა გავიგო მისი გვარი. შემდეგ კი მივხვდი, რომ ასეთივე წერილი შემიძლია ვუძღვნა ჩემს ირგვლივ ძალიან ბევრ ადამიანს: ბევრ ჩემს მეგობარს თუ ახლობელს, ჩემი დის მეგობრებს, რომლებიც სიკეთესა და სიტბოს თესავენ.

აბა, მითხარით, როდესაც ასეთი ადამიანები არსებობენ, როგორ შეიძლება ეს ერი გადაშენდეს?!



ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია; თეკლე შონია

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვანოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

აიწყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

☒ ტაშკენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში

☒ ჭავჭავაძის გამზ. №19, ტელ. 2-22-36-09



წელი

საქართველოს პირველი
დემოკრატიული ტრანზიციის
წინაშესწრებ

